ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

საქართველოს პარლამენტის გაზეთი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 ნოემბერი ოთხშაბათი 2011

№258 (13555) ფასი 80 თეთრი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ᲐᲑᲣᲠᲗᲘ, ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, ᲞᲝᲔᲚᲘ

ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲑᲐᲠᲡᲚᲐᲛ ᲨᲔᲐᲑᲘᲯᲐ

9

ᲔᲚᲘ-ᲭᲐᲨᲘ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲓᲐ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐᲛ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲔᲠᲘ ᲠᲕᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲔᲡ

13

ᲓᲔᲓᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲘᲜᲐᲠᲡ ᲨᲐᲒᲐᲨᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲝᲩᲩᲔᲛᲘᲓᲐᲜ ᲓᲔᲓᲘᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ

12

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲑᲝᲘᲡᲐᲡᲗᲐᲜ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲝᲘᲡᲐ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ?

12

ლეგიონერები

კარპატი გამოირიცხა, რა გადაწყდება მოსკოვში?

დათო თარგამაძე კიევის დინამოსთან დაბრუნდება

2011 წელი მალე წარსულს ჩაბარდება და მოვლენებიც შეჯამდება. თუმცა დღესვე შეიძლება ითქვას, რომ, თუ ვინმე იმსახურებს ჩვენს საფეხბურთო სამყაროში აღნიშვნა-დაფასებას, მათ შორის უპირველესი **დავით თარგამაძეა**. ფლანგის შემტევი **თემურ ქეცბაიამ** საქართველოს ნაკრებში წლეულს მიიწვია და გულშემატკივარს მოულოდნელი იმედი გაუჩნდა – სწრაფ, აგრესიულ და ვერცხლისწყალივით მოძრავ 22 წლის ფეხბურთელს პერსპექტივა ეტყობა და უიმედოდ დასრულებულ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების აღმოჩენა და ერთ-ერთი იშვიათი ნათელი წერტილი თამამად შეიძლება ვუწოდოთ.

განსაკუთრებით სამახსოვრო იყო ევრო 2012-ის შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩში საბერძნეთის ნაკრებთან. 11 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაში უკრაინული "ოლექსანდრიას" გარემარბმა სტუმრებს ჯარიმიდან საუცხოო გოლი გაუტანა. მაგრამ პირველი სანაკრებო გოლის სიხარული ბერძენთა კაპიტნის **გეორგოს კარაგუნისის** უხეშობამ ჩაუმწარა და მოედანი 64-ე წუთზე დატოვა - დათოს კოჭის მყესები დაეჭიმა.

საბედნიეროდ, თარგამაძე სერიოზულ ტრავმას გადაურჩა - მკურნალობას ორი კვირა დასჭირდა. არადა, თავიდან ეგონა, მოტეხილობა ჰქონდა. დათომ სამი-ოთხი დღე თბილისში იმკურნალა, შემდეგ უკრაინაში გაემგზავრა, მკურნალობა დაასრულა და მსუბუქად ვარჯიში დაიწყო.

„ტრენაჟორებზე ვარჯიშით დავიწყე და უკვე ძუნძულზე გადავედი. იმედია, მოედანს მალე დავუბრუნდები. ექიმები მაიმედებენ, რომ თამაშს წლეულსვე შევძლებ. სავარაუდოდ, ეს 20 ნოემბერს კიევის "დინამოსთან" მოხდება", – გვ-ითხრა თარგამაძემ.

ფაქტია, რომ გერმანიის ბუნდესლიგის "ფრაიბურგიდან" უკრაინის პირველი ლიგის "ოლექსანდრიაში" გადასულ ქართველს დრო ტყუილად არ დაუკარგავს, ფორმაც აღიდგინა, ფიზიკური კონდიციებიც და სათამაშო პრაქტიკა და გამოცდილება შეიძინა.

მისი გუნდი უკრაინის პრემიერლიგაში თამაშობს და შემდეგ ტურში პოლტავის "ვორსკლას" ხვდება. ტურის წინათქმაში "უაფუტბოლი" წერს, "ოლექსანდრიას" ლიდერი თარგამაძე დააკლდებაო.

დათოს თემურ ქეცბაიაც ენდობა და პირველივე შეხვედრის შემდეგ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა. ეროვნულში გამოძახებისა და ოთხი შეხვედრის ძირითადში ჩატარების შემდეგ კლუბშიც სხვა თვალით შეხედეს. მისი პროგრესი მხედველობიდან მენეჯერებსაც არ გამორჩენიათ. თარგამაძე დღეისთვის ერთ-ერთი საინტერესო ქართველი ფეხბურთელია. მართალია, "ტრანსფერმარკტი" მას 350 ათას ევროდ აფასებს, მაგრამ უკრაინული კლუბის პრეზიდენტი **ნიკოლაი ლავრენკო** ამ ფასის შემთავაზებელს არც დაელაპარაკება – სექტემბერში ქართველის გადაყვანით დაინტერესებულ ლვოვის "კარპატის" 2 მილიონი დოლარი მოსთხოვა.

დავით თარგამაძე (ბურთით)

თარგამაძის ტრანსფერის ყველაზე რეალურ გამომსყიდველად სწორედ ლვოვის „კარპატი" მიიჩნეოდა, კლუბებმა თანხაზეც მოილაპარაკეს, მაგრამ ფეხბურთელმა სხვა წინადადებებიც მიიღო.

რაც მთავარია, დათოს მენეჯერმა „ოლექსანდრიას" პრეზიდენტი ლავრენკო ტრანსფერზე დაითანხმა და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ზამთარში გუნდს გამოიცვლის, რაც ძალიან გვახარებს, რადგან "ოლექსანდრია" ბოლოდან მეორე ადგილზეა, ასეთ გუნდში კი შემდგომი ზრდა გაუჭირდება, მაგრამ სად ითამაშებს, დეკემბერში გაირკვევა. შევიტყვეთ, რომ "კარპატისთან" მოლაპარაკება უკვე ჩაიშალა და ფეხბურთელს კომენტარი ვთხოვეთ.

- დიახ, ასეა, "კარპატიში" ჩემი გადასვლა უკვე გამოირიცხა, რადგან უფრო საინტერესო წინადადებები მივიღე.

- ისე ვიცით, რომ მოსკოვის ცსკასთან გაქვს მოლაპარაკება. მცდარი ინფორმაციაა?

- ცსკა არა, სხვა გუნდებზეა ლაპარაკი. მაგრამ ის კი შემიძლია გითხრათ, რომ მოსკოვის გუნდები ნამდვილად დაინტერესდნენ და ვნახოთ, რა გადაწყდება, მეც მოლოდინში ვარ. მითხრეს, რომ ერთ-ერთი დაინტერესებული მოსკოვის "დინამოა", მაგრამ სანამ უშუალოდ არ დამელაპარაკებიან, მაინც ვერ ვიტყვი, ეს ინტერესი რამდენად რეალურია.

- კახა კალაძის "ჯენოაც" იყო ნახსენები.

- ეგ მეც გაზეთში წავიკითხე, "ჯენოა" იწვევსო, მაგრამ ვერაფერს გეტყვით. ევროპაში მითამაშია და, ცხადია, იქ მსურს გადასვლა. მაგრამ ახლა მეტი დაინტერესება უკრაინული და რუსული კლუბებიდან არის. დეკემბრამდე ბევრი არაფერი დარჩა და ვნახოთ.

მერაბ მამულაშვილი

ირაკლი ჩირიკაშვილი: ცნობები ქსამაქსის გაკოტრების შესახებ გადაჭარბებულია

ახლახან შვეიცარიულ მედიაზე დაყრდნობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ ქვეყნის სუპერლიგის "ქსამაქსი" გაკოტრების პირასაა.

კლუბი ჩეჩენმა ბიზნესმენმა **მარატ ჩაგაევმა** იყიდა და ცნობილი ფეხბურთელები და მწვრთნელი მიიწვია.

მაგრამ, შვეიცარიული მედიის ცნობით, ჩაგაევს კლუბთან ვალი დაუგროვდა (4 200 000 შვეიცარიული ფრანკი), საფეხბურთო აგენტმა კი სასამართლოში უჩივლა, ტრანსფერებიდან კუთვნილი 400 000 ფრანკი დროულად არ გადამიხადაო.

შვეიცარიის სასამართლომ ჩეჩენ ბიზნესმენს ამ ხუთშაბათამდე საფინანსო გარანტიები მოსთხოვა, სხვაგვარად, კლუბი ბანკროტად გამოცხადდებაო.

ირაკლი ჩირიკაშვილი

"ქსამაქსში" ამ ზაფხულს 24 წლის ქართველი ნახევარმცველი **ირაკლი ჩირიკაშვილი** ჩაირიცხა და, ცხადია, კლუბის ამბებზე მას დავეკითხეთ.

"ჩვენს კლუბზე გავრცელებული ინფორმაციები ჭორია და მეტი არაფერი. ჩაგაევს რა გააკოტრებს, როდესაც მილიარდების პატრონია. არც "ქსამაქსს" ეტყობა რაიმე გაკოტრებისა. შესაძლოა, ხელფასები დააგვიანა, მაგრამ დავალიანება უკვე გაისტუმრა. მე კლუბთან კონტრაქტი მაისამდე მაქვს და არსად წასვლას არ ვაპირებ, სულ ცოტა, ზაფხულამდე აქ ვიქნები და მერე ვნახოთ", – გვითხრა ჩირიკაშვილმა.

მერაბ მამულაშვილი

U 16

რა ამბავია?! 0:9

0:9 – ამ ანგარიშით დამარცხდა საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები ბელგიაში იქაურ თანატოლებთან. მატჩი ამხანაგური კი იყო, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს - როცა გუნდი ასეთი ანგარიშით მარცხდება, მის პერსპექტივაზე ლაპარაკი, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, ძალიან ძნელია.

არადა, ამ ნაკრებმა გაისად ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე მოსახვედრად უნდა იბრძოლოს...

ნიკა გვათუა

კოლხეთი

სანაია დღეს გააფორმებს

ფოთის "კოლხეთი" ეროვნული ჩემპიონატის გასული ტურის მატჩზე მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა **დავით მახარაძემ** გაიყვანა, **სოსო ფილიას** კი უკვე შეგვიძლია ვუწოდოთ გუნდის ყოფილი მთავარი მწვრთნელი, რადგან რამდენიმე დღეა, "კოლხეთის" ხელმძღვანელობა აქტიურად მუშაობს მისი შემცვლელის მოძიებაზე.

გელა სანაია თავიდანვე გამოიკვეთა ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად და, როგორც შევიტყვეთ, კლუბის მესვეურებმა არჩევანი სწორედ მასზე შეაჩერეს. ეს საკითხი უფრო "მაღლა", ქალაქის მუნიციპალიტეტშიც შეთანხმდა და, უდიდესი ალბათობით, დღეს სანაია "კოლხეთთან" კონტრაქტს გააფორმებს.

ეს ინფორმაცია სანაიამ "ლელოსთან" საუბარში არც უარყო და არც დაადასტურა, თუმცა ის კი გვითხრა, რომ "კოლხეთთან" აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს და ეს წინადადება მისთვის საინტერესოა. მან ისიც გვაცნობა, რომ უკვე წამოვიდა პირველლიგელი ხობის "კოლხეთიდან", სადაც სულ რამდენიმე კვირა გაატარა. რაღა თქმა უნდა, ესეც მრავლისმთქმელი ინფორმაციაა...

უკვე გაცნობეთ ისიც, რომ ფილიას გათავისუფლებამ "კოლხეთის" ფეხბურთელებში უკმაყოფილება გამოიწვია. მოთამაშეებს გუშინ პირადად შეხვდა ფოთის მერი **ვახტანგ ლემონჯავა** და მათ აღუთქვა, რომ ფილია კლუბს არ ჩამოშორდება და "კოლხეთში" მუშაობას განაგრძობს, სავარაუდოდ, მწვრთნელ-კონსულტანტის თანამდებობაზე. ფილია თანამდებობიდან მოხსნით განაწყენებულია, მაგრამ, სავარაუდოდ, მაინც არ მიატოვებს კლუბს, სადაც ათწლეულები გაუტარებია და შეთავაზებას მიიღებს.

სანაიას კი, შეგახსენებთ, აქამდე ორ უმაღლესლიგურ კლუბში უმუშავია – "ლოკომოტივსა" და "სამტრედიაში". სხვათა შორის, პოპულარულ ვებგვერდ "ტრანსფერმარკტზე" იგი უკვე "კოლხეთის" მთავარ მწვრთნელადაა მოხსენიებული.

ლევან ჯანეზაშვილი

გელა სანაია

მეტოქე

მოლდოვა შვიდი დებიუტანტით

რამდენიმე დღის წინ ის შემადგენლობა გაგაცანით, რომელსაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** მოლდოვასთან ამხანაგური მატჩისთვის უხმო. გუშინ კი მოლდოველთა შემადგენლობაც გახდა ცნობილი. მეტოქის თავკაცმა **გავრილ ბალინტმა** სათბილისოდ შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები: **არტიომ გაიდუკევიჩი** (დაჩია), **ალექსანდრ ზვიაგინცევი** (შერიფი), **გენადი მოშნიაგა** (სფინტულ გეორგე);

მცველები: **პიოტრ რაკუ** (ნორჩეპინგი, შვედეთი), **სემიონ ბულგარუ** (ალანია, რუსეთი), **ალექსანდრ ეპურიანუ** (დინამო, რუსეთი), **იგორ არმაში** (ყუბანი, რუსეთი), **ალექსანდრ კელტუიალე** (ზიმბრუ), **ადრიან კაშკავალი** (აკადემია), **ვიქტორ გოლოვატენკო** (სიბირი, რუსეთი);

ნახევარმცველები: **ალექსანდრ დედოვი** (დაჩია), **სტანისლავ ივანოვი** (ლოკომოტივი, რუსეთი), **ვალერი ანდრონიკი** (სკა-ენერგია, რუსეთი), **ვალენტინ ფუნდუი** (მილსამი), **დენის ზმეუ** (ვასლუი, რუმინეთი), **რადუ კატანი** (ზიმბრუ), **ევგენი ჩებოტარი** (ჩაჰლაული, რუმინეთი), **დან პისლე** (აკადემია);

თავდამსხმელები: **გეორგი ოვსიანიკოვი** (ოლიმპია), **ალექსანდრ სუვოროვი** (კრაკოვია, პოლონეთი), **ანატოლი დოროში, იგორ ბუგაევი** (ორივე – ასტანა, ყაზახეთი).

მოლდოვის ნაკრებს ერთბაშად შვიდი დებიუტანტი ჰყავს – ზვიაგინცევი, მოშნიაგა, კაშკავალი, ფუნდუი, კატანი, პისლე და დედოვი. მოლდოვაში განსაკუთრებით ამ უკანასკნელისა ეიმედებათ. 22 წლის დედოვი კიშინიოვის "დაჩიას" ერთ-ერთი ლიდერია და თავი "ზესტაფონთან" კარგი თამაშით დაგვამახსოვრა.

მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ პირდაპირ განაცხადა, რომ ბალინტის ბედი ამ მატჩის შედეგზეა დამოკიდებული. შეგახსენებთ, საქართველო-მოლდოვა 11 ნოემბერს "მიხეილ მესხზე" გაიმართება და 18 საათზე დაიწყება.

ლევან ჯანეზაშვილი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონერი

გიორგი განუგრავას პარადოქსული დაბრუნება

გიორგი განუგრავა 17 წლის იყო, ეროვნულ ნაკრებში რომ ათამაშეს და 18 წლისას უკვე უჩვეულო სანაკრებო სტატისტიკა ჰქონდა - გიორგიმ "ჯვაროსნების" ფორმით 8 შეხვედრა ჩაატარა.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ტრავმების გამო დიდხანს ვერ თამაშობდა, ახლა კი უნგრეთის "დიორი ეტომ" ამავე ქვეყნის "ლომბარდ პაპაში" გაანათხოვრა, სადაც მიმდინარე სეზონში 14-ივე შეხვედრა ჩაატარა და თემურ ქეცბაიამ ნაკრებშიც მიიწვია. პარადოქსი კი ის არის, რომ 23 წლის ცენტრალური ნახევარმცველი ნაკრებს ხუთწლიანი შესვენების შემდეგ უბრუნდება.

გიორგის უნგრეთში დავუკავშირდით და ნაკრებში მიწვევაზე ვესაუბრეთ.

- დიდი ხანია, ნაკრებში არ გითამაშია და, ალბათ, თემურ ქეცბაიას მიწვევა მოულოდნელი იქნებოდა.

- ეს ამბავი ძალიან გამიხარდა, ყველა ფეხბურთელის ოცნება ხომ ნაკრებში თამაშია, თუმცა ახლა შანსს ნამდვილად ველოდი.

- შენს ამჟამინდელ კლუბში სისტემატურად თამაშობ და ეტყობა, იოლად შეეწყვე.

- კლუბში ყველაფერი კარგად არის, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ბოლო თამაშებში გუნდი დაფრინავს. მაგრამ ბევრი ისეთი შეხვედრა ჩავატარეთ, ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად ვიქეცით.

- "ლომბარდ პაპაში" იჯარა როდის გიმთავრდება?

- კონტრაქტი 6 თვე + 6 თვე პრინციპით გაფორმდა, თუმცა დიდი ალბათობაა, რომ პირველი წრის დასრულების შემდეგ ისევ "დიორი ეტოში" დავბრუნდე.

– ხანგრძლივი ტრავმიანობის შემდეგ ფორმა თუ აღიდგინე?

- თუ არ ჩავთვლით სისტემატური თამაშისას მიღებულ, ანუ, ასე ვთქვათ, მიმდინარე ტრავმებს, სრულიად ჯანმრთელი ვარ და სერიოზულად არაფერი მაწუხებს, მუდმივი სათამაშო პრაქტიკით კი ფორმა აღვიდგინე.

– ორიოდე სიტყვა ლაშა თოთაძეზეც გვითხარი.

- მე და ლაშა "დიორიდან" ერთად წამოვედით, მასზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის, გუნდისთვის დიდი ძალაა და მისი ეიმედებათ. ახალ სეზონში 12 შეხვედრა ჩაატარა და ფორმაშია.

– ერთი ხანობა "დიორიში" ბევრი ქართველი იყავით - რატომ დაიშალეთ?

- ერთი პერიოდი მართლაც საკმაონი ვიყავით, თუმცა ბიჭებმა კარიერის გაგრძელება სხვადასხვა კლუბში ამჯობინეს.

– უკეთეს გუნდში მოხვედრის პერსპექტივა თუ ჩანს?

- ამის დიდი იმედი მაქვს. რაც ყველაზე მეტად მახარებს, ჯანმრთელად ვარ და სრული დატვირთვით ვთამაშობ. ამის გარეშე უკეთეს გუნდში მოხვედრაზე ფიქრი უაზრობაა, ახლა ეს პრობლემა არ მაწუხებს და უკეთეს კლუბზეც შემიძლია ვიფიქრო, ვნახოთ, რა იქნება.

- ანუ ჯერჯერობით ახალ კლუბზე ახალი არაფერია.

- ჯერ მართლაც არაფერია და ვფიქრობ, ყველაზე რეალური "დიორიში" დაბრუნებაა.

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ

გოგიჭა გოგუას სიმართლის დრო: ნაკრები საქართველოსია და არა თემურ ქეცბაიასი!

გოგიჭა გოგუას ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ რედაქციაში ბევრმა დარეკა. ხალხის სურვილი ერთი იყო, სიმართლე ოდესმე მაინც უნდა თქმულიყო, ამიტომ კიდევ ერთხელ დავუკავშირდით ფეხბურთელს რუსეთში და ვთხოვეთ, ერთადერთი გამონაკლისი „ლელოსთვის“ დაეშვა. გოგიტა დაგვთანხმდა და ექსკლუზიურად „ლელოს“ მკითხველისთვის მასსა და ქეცბაიას შორის მომხდარი ინციდენტის დეტალებზე გულახდილად ისაუბრებს. „აქამდე თავს ვიკავებდი, არ მინდოდა კომენტარის გაკეთება, მაგრამ ყელში ამოვიდა თემურ ქეცბაიას კომენტარები. მას თუ ევროპაში გასდიოდა ფეხბურთელებთან ასეთი დამოკიდებულება, აქ ასე არ უნდა მოიქცეს, რადგან ეს საქართველოა და ყველას თავისი თავმოყვარეობა აქვს“, - ასე დაიწყო საუბარი 28 წლის ფეხბურთელმა.

- ამ ხნის განმავლობაში ჩემთან ბევრმა ჟურნალისტმა დარეკა, მაგრამ არაფრის თქმა არ მინდოდა. ვიცი ქეცბაიას ტელევიზორში გამოსვლები და გული მწყდება, თუ როგორ ლაპარაკობს ჩემზე, ფეხბურთელი არ არისო. მაინცდამაინც სასიამოვნო მოსასმენი არ არის ეს. ნაკრებში რამდენი შეხვედრაც მითამაშია, ცუდად - არც ერთი, ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი. ამას გულშემატკივარიც კარგად ხედავს და მთელი საქართველოც, სამწუხაროა, მარტო ქეცბაიამ რომ ვერ დაინახა ეს.

- კონფლიქტის მიზეზი რა იყო?

- წინადღეს ხორვატიას მოვუგეთ, იმის მაგივრად, რომ კარგ ხასიათზე ყოფილიყო და ფეხბურთელებთან სხვანაირად მოქცეულიყო, პირიქით, შეურაცხყოფაზე გადავიდა. თუ ფეხბურთელი არ ვარ, მაშინ ხორვატიამდე რატომ არ გამიშვა? ვარჯიში იყო, ბურთი დავკარგე თუ რაღაც ასეთი და, ბურთი როგორ დაკარგეო, ამიტეხა ერთი ამბავი, მაგარი ფეხბურთელი თუ იყო, რა, ბურთი არ დაუკარგავს?

- კონკრეტული ვარჯიშის შესრულებაზე თქვა უარი გოგუამ, მსმენია კულუარებში. რატომ არ შეასრულე მწვრთნელის მითითება?

- მანდ იმასაც ამბობდნენ, რომ თურმე ხორვატიასთან თამაში არ მინდოდა. არის პოზიციები, სადაც ვერ ვითამაშებ. კი, ნაკრებს სადაც სჭირდები, იქ უნდა დადგე, მაგრამ, როცა ეთამაშები ძლიერ მეტოქეს და ამა თუ იმ ამპლუისთვის კარგად და სათანადოდ ხარ მომზადებული, იქ უნდა გათამაშონ. ახლა რომ მითხრას, კარში ჩადექიო, როგორ ჩავდგები, თუ არ ვიცი ეს საქმე. მწვრთნელი პოზიციებში კარგად უნდა ერკვეოდეს, უნდა იცოდეს, ვინ სად და როგორ თამაშობს. მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის უთანხმოება ხდება ხოლმე, მაგრამ ეს ყველას გასარჩევი არ უნდა გახდეს და ისევ მწვრთნელმა უნდა გაანეიტრალოს სიტუაცია. ეგ კიდევ ჩემზე ამდენს და ასე ლაპარაკობს. ხმის ამოღება არ მინდოდა, ვიფიქრე, საქმე მოგვარდება-მეთქი. ხორვატიის მერე არ მოუგია, სულ ფეხბურთელებში ეძებს დამნაშავეს. თავის თავში ჩაიხედოს, იქნებ თვითონაა დამნაშავე? ხორვატიის მერე სხვა მწვრთნელი რომ ჰყოლოდა ნაკრებს, შესაძლოა, დღეს ევროპის ჩემპიონატზეც გვეთამაშა...

- შენ წამოხვედი ნაკრებიდან თუ მან გამოგიშვა?

- როგორც თვითონ ამბობს, გამომაგდო, მაგრამ მე წამოვედი. მოგებული თამაშის შემდეგ იმას რომ გაიძახის, მე გავუშვი ნაკრებიდანო, მაშინ თქვას, რატომ? ვფიქრობ, ხორვატიასთან ძალიან კარგად შევედი შეცვლაზე. მისგან შეურაცხყოფა იყო და წამოვედი. „რუსთავი 2“-ზე გამოვიდა, რა შეჭამეს ამ გოგუაზე ტვინიო, რა გააკეთაო. როცა ვიგებდით, მეც ხომ ვმონანილეობდი იმ თამაშებში და, თუ ფეხბურთელი არ ვარ, ესე იგი, ათი კაცით იგებდა თამაშებს?

- თუ ქეცბაია ფეხბურთელებს აგინებს, სხვები რატომ არ იღებენ ხმას?

- ქეცბაიაა და იმიტომ! მის მოსვლამდე მოგება არ გვქონდა, დავინახეთ, რომ ამდენი მარცხის შემდეგ რაღაც წარმატებას მივაღწიეთ და უცებ ხატი შეიქმნა ქეცბაიასი. „ძაან“ ქეცბაია გახდა.

- შეკრებიდან რომ წამოხვედი, სნორად მიგაჩნია?

- ეს ჩემი შეცდომა იყო. იმ დონეზე ვიყავი შეურაცხყოფილი, ღამით თვალი ვერ მოვხუჭე. შესაძლოა, თავი უნდა დამეხარა, მაგრამ მე ასე ვფიქრობ: ნაკრები საქართველოსია და არა ქეცბაიასი.

- ახლა როგორ ფიქრობ, ხომ არ იჩქარე გადაწყვეტილების მიღება?

- ახლაც რომ მოხდეს მსგავსი, შესაძლოა, ისეთივე ნაბიჯი გადავდგა. ძნელი მოსასმენია ის სიტყვები, რომელიც მან იკადრა.

- არავინ გამოგესარჩლა?

- არ მინდა, კონკრეტული გვარები დავასახელო. ქეცბაიას ხასიათი არა მარტო მე, სხვებმაც გაიცნეს. ბიჭები მაწყნარებდნენ, ხომ იცი, ემოციური კაციაო. ეგ მეც ვიცოდი, მაგრამ, რომ დავრჩენილიყავი და თვალი დამეხუჭა, შესაძლოა, იგივე განმეორებულიყო, იმ დღეს თუ არა, მომავალში მაინც. ის უფრო მწყინს, ჩემზე რომ ამბობს, ფეხბურთელი არ არისო. არ ყოფილა თამაში, გოგიტა გოგუა მოედანზე გასულიყო და თამაშისთვის რამე დაეკლო.

- ნაკრების თავკაცმა განაცხადა, რომ შენ მძიმე ხასიათი გაქვს და ყველასთან პრობლემა ამიტომ გექმნება...

- ხასიათი, კი ბატონო, მძიმე მაქვს, არა-მეთქი, ვერ ვიტყვი. ტოპმიოლერის მწვრთნელობისას შოტლანდიასთან 92-ე წუთზე გავუშვით გოლი. შუაში ვიდექი და მე დამაბრალა, თავდასხმაში ხარ და, მინც შენ გბრალდება, მაშინ ისეთი სიტუაცია იყო, არ იცოდა, ვისთვის რა ეთქვა და პირველი მე შევეფეთე. მერე მქონდა ამაზე ლაპარაკი მასთან და მითხრა, ასე და ასე იყო, უფრო კარგად შეგეძლო თამაშო, ვითომ, რადგან თურქეთთან წინა შეხვედრაზე შეცვლაზე შემიყვანა, ამიტომ არ მითამაშია კარგად.

- იმასაც ამბობდნენ, ქეცბაიაზე იმიტომ იყო ნაწყენი, ძირითად შემადგენლობაში რომ არ დააყენა ხორვატიასთანო...

- სათადარიგოდ ჯდომა თუ ვინმეს სიამოვნებს, ის ფეხბურთელი არ არის და მე რატომ უნდა მრცხვენოდეს ამისგან? ლა და სკამზე ჯდომა? მაგრამ, თუ სკამზე ვზივარ, მერე შევდივარ მოედანზე და კარგადაც, ამაში რა პრობლემაა? ხშირად ვმჯდარვარ სკამზე და თუკი შეცვლაზე შევდივარ, ფეხბურთი არ უნდა ვითამაშო?

- თემურ ქეცბაიას მოსვლას ნაკრებში დადებითი რა მოჰყვა?

- ერთადერთი — ჟინი მოიტანა.

- დისციპლინა არ დამყარდა?

- დისციპლინაც დამყარდა. ეს ორი ფაქტორი ფეხბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რაც მისი მოსვლისთანავე იგრძნობოდა გუნდში. მის მიერ დამყარებული დისციპლინის გარეშე ის შედეგი არ მიიღწეოდა, მაგრამ, რაც დღეს ნაკრებში ხდება, ესეც მისგანაა. მარტო ფეხბურთელებს რომ აბრალებს, ეგრე არ არის. უმჯობესია, თავის თავში ჩაიხედოს და ფეხბურთელების არცოდნაზე შემდეგ თქვას რამე.

- ამ ინციდენტის შემდეგ მწვრთნელთან კონტაქტი გქონდა?

- არა, არავითარი კონტაქტი.

- შენი აზრით, ნაკრების დღევანდელი შემადგენლობა ოპტიმალურია?

- არიან ფეხბურთელები, რომლებიც იმსახურებენ ნაკრებში თამაშს. როცა თავდასხმაში პრობლემები გაქვს, როგორ შეიძლება, სირაძე არ გამოიძახო, თუ ვინმეს გააქვს, ეს სირაძეა, ვუყურებ თამაშებს და ამდენი ხანია, კარში არ დაგვირტყამს. ან მუჯირისნაირი ფეხბურთელი ნაკრებში რატომ არ უნდა იყოს? ხალხი ხედავს ამ ყველაფერს, ქეცბაიას ჰგონია, რომ მარტო მას ესმის ფეხბურთი. 20-25 წელინადია, ეს ბიჭები ერთად ვართ და ფეხბურთს ვთამაშობთ, ჩვენც გვესმის და მწვრთნელები ხომ არიან, რომლებსაც ასევე ბევრი ესმით. ერთი თავდამსხმელი თამაშს ვერ მოიგებს.

- თაობის შეცვლით პროგრესი იქნება?

- ფეხბურთელების შეცვლაზე რომ ვლაპარაკობთ, იქნებ, მწვრთნელი შევცვალოთ? ამაზე არ გიფიქრიათ? ესენი რომ წავიდნენ, ვინ ჰყავს ნაკრებს ამათზე უკეთესი?

- წაგებული თამაშების შემდეგ მუდამ იმაზეა ლაპარაკი, რომ ფეხბურთელების დეფიციტია და ქეცბაია მესის და პელეს ვერ გააჩენს...

- როცა გუნდი აგებს, მე ვიცი, რომ ყველას უნდა დაბრალდეს. ჩვენთან ჯოხი მარტო ფეხბურთელებზე ტყდება. არ დაფიქრებულა ვინმე, რომ მოთამაშეების მიმართ მიდგომა უნდა შეიცვალოს? მესი შეიძლება არ ჰყავს, მაგრამ კარგი ფეხბურთელები ჰყავს.

- ანუ ნაკრებში კადრების დეფიციტი არ არის?

- მეკარე გვყავს, რევიშვილია თუ ლორია, მშვენივრად დგანან, შეცდომა ვის არ დაუშვია. მცველები არ გვყავს? გვყავს! თავდასხმაში გვიჭირს, მაგრამ მარტო დვალიშვილმა და სირაძემ რა უნდა ქნან? ფეხბურთელებს რომ აბრალებს წარუმატებლობას, ტაქტიკა ხომ უნდა არსებობდეს?

- ნაკრებში შენი დაბრუნების პერსპექტივა არსებობს?

- ამას რომ წაიკითხავს ქეცბაია, როგორ გგონიათ, ნაკრებში დაბრუნების შანსი მაქვს? მას არ ვჭირდები? მოვა სხვა, ვისაც დავჭირდები. დღესაც ვამბობ - ყოველთვის მზად ვარ, გულით და სულით ვითამაშო საქართველოს ნაკრებში. შეიძლება, თამაში არ გამომივიდეს, მაგრამ, როცა მითამაშია, ზედმეტი ჩემთვის არავის უთქვამს. ყოფილა შემთხვევები, ცუდად ვყოფილვარ, ჩამოვსულვარ ნაკრებში და ამას ჩემთვის იმდენი თავდაჯერება მოუცია, ძალა მიორმაგდებოდა, მერე, კლუბში რომ ვბრუნდებოდი, უკეთესად ვთამაშობდი.

- „ვოლგაში“ რა ხდება, დღემდე ვერ გაარკვიეთ მიზეზები, რატომ მოიკვეთეთ გუნდიდან?

- „ტერეკთან“ გვქონდა თამაში, მე და გოჩა ხოჯავამ გავიტანეთ, მეორე დღეს მოვიდა მწვრთნელი და გვითხრა, რომ მას არ ვჭირდებოდით. ხელმძღვანელობა შეიცვალა და მწვრთნელის გემოვნებაში არ „ვჯდებით“. ესაა და ეს.

- მალე თბილისის „დინამოში“ ხომ არ გიხილავთ?

- სურვილი მაქვს, მაგრამ რამდენად რეალური იქნება ეს, არ ვიცი.

მაგდა კლდიაშვილი

ქართული ფეხბურთი

● მწვრთნელთა განათლება

სწავლა მასწავლებელთა

ცხრა საკლუბო და ერთი სანაპრეზო

უკვე გაცნობთეთ, რომ 7-11 ნოემბერს ჰოლანდიის ქალაქ ზეისტში, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრში, უეფას გაცვლითი პროგრამის, Stydy Group Scheme-ის მორიგი ღონისძიება გაიმართება, რომლის მთავარი თემაც მწვრთნელთა განათლება იქნება. დამსწრეებს მიაწვდიან ინფორმაციას Pro და A ლიცენზიის თაობაზე და გაუზიარებენ ევროპული ქვეყნების საფეხბურთო გამოცდილებას.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე ჰოლანდიაში წამსვლელ მწვრთნელთა სია გამოქვეყნდა:

გიორგი ჭიაბრიშვილი (ზესტაფონი), ზურაბ ბერიძე (ვიტ ჯორჯია), ელგუჯა ქომეთიანი (ბაია), ზვიად ჯელაძე (გაგრა), გიორგი ცეცადე (დილას ყოფილი მთავარი მწვრთნელი), ვახტანგ ჩაგელიშვილი (სიონი), გურამ ასპინძელაშვილი (ტორპედო), დავით მახარაძე (ფოთი), არჩილ ჩხაბერიძე (მარტვილი), გელა შეყილაძე (საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი).

ჰოლანდიაში 12-დან 9 უმაღლესი-გელი კლუბის მწვრთნელი მიემგზავრება, გამონაკლისი არიან თბილისის "დინამო", რუსთავის "მეტალურგი" და ცხინვალის "სპარტაკი". თუმცა ისიც სათქმელია, რომ რეალურ მთავარ მწვრთნელთაგან ღონისძიებაზე მხოლოდ 4 მიემგზავრება – ჭიაბრიშვილი, ბერიძე, ქომეთიანი და ჯელაძე. ცეცაძე "დილაში" უკვე აღარ მუშაობს, მაგრამ, რაკი უეფაში განაცხადის გაგზავნის მომენტში გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო, დელეგაციაშიც სნორედ ის მოხვდა. ჩაგელიშვილი და ჩხაბერიძე მხოლოდ "დე იურე" მთავარი მწვრთნელები არიან, მახარაძე კი "კოლხეთის" დროებითი თავკაცია. "ტორპედოს" ასპინძელაშვილი იმიტომ წარმოადგენს, რომ **გია გეგუჩაძე** Pro-ლიცენზიას უკვე ფლობს და უპრიანი იქნებოდა, ცოდნა ამჯერად მის თანაშემწეს გაეღრმავებინა.

დელეგაციაში ერთადერთი სანაკრებო მწვრთნელია. **გელა შეყილაძის** 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ბრძოლას გაისად დაიწყებს და ჰოლანდიური გამოცდილება ამ გუნდის თავკაცსაც წაადგება.

ქართულ დელეგაციას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა განათლების განყოფილების მენეჯერი **ვარლამ დარსაძე** უხელმძღვანელებს.

ლევან ჯანეზაშვილი

ჩვენ და მასობრივი ფეხბურთი

სფფ-ის ვებგვერდის ცნობით, 8 ნოემბერს შვეიცარიის ქალაქ ნიონში გაიმართება უეფას მასობრივი ფეხბურთის კომისიის სხდომა, რომელსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა განათლების განყოფილების უფროსი **გაიოზ დარსაძე** დაესწრება.

კომისიის სხდომაზე განხილული იქნება სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ, შეფასდება ევროპის ყველა ქვეყანაში მასობრივი ფეხბურთის განვითარებისთვის აუცილებელი ღონისძიებების მიმდინარეობა. კომისიაზე ასევე იმსჯელებენ მასობრივი ფეხბურთის ქარტიით გათვალისწინებულ საკითხებზე.

ნიკა გვათუა

● საქართველოს თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

სპარტაკი-მერანი პირველი მატჩი 0:2	02.11. ტექნიკური ცენტრი ბასა	14:00
ტორპედო-ბათუმი პირველი მატჩი 2:0	02.11. ქუთაისი ცენტრალური	14:00
ვიტ ჯორჯია-ჭიათურა პირველი მატჩი 3:2	02.11. მცხეთა მცხეთა-პარპი	14:00
დილა-დინამო პირველი მატჩი 2:2	02.11. გორი ქართლი	14:00
კოლხეთი-ზესტაფონი პირველი მატჩი 1:2	02.11. ლანჩხუთი ევ. შევარდნაძე	14:00
სიონი-ბაია პირველი მატჩი 0:3	02.11. ბოლნისი თ. სტეფანია	14:00
მეტალურგი-ჩიხურა პირველი მატჩი 1:1	02.11. რუსთავი ფოლადი	14:00
გაგრა-სულორი პირველი მატჩი 2:1	02.11. თბილისი მერანი (ზეემან)	14:00

● საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა. XI ტური

A ზონა

ჭიათურა-დინამო 1:1

29. 10. ჭიათურა. „სეფერალური". 200 მაყურებელი

0:1 მ. ჯორბენაძე (47), 1:1 ნ. გაფრინდაშვილი (85)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, გ. ბრეგვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ზ. ნოზაძე, ლ. ცუცქირიძე, გ. ქირია, შ. ფირცხალავა (62. გ. ვაშაძე), ლ. ბარათაშვილი (72. ო. კურტანიძე), დ. ქირია, ზ. ხაჭიპერაძე, ა. სევასტოპულო

სათადარიგოები: ლ. ქურდაძე, გ. გაგნიძე, ლ. მაჩაიძე, დ. ჭუმბურიძე, ზ. ჯაფარიძე

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

დინამო: შ. მამინაშვილი, მ. ფარტენაძე, ნ. სუხია, დ. სამსეფიშვილი (73. ა. ბაციკაძე), კ. მაკარიანი, დ. მალაზონია (90. ვ. ქორიძე), მ. ყვანია, ა. მუჯირი (70. ი. ცანავა), ზ. ლობჟანიძე, გ. გოგიტიძე, მ. ჯორბენაძე

სათადარიგოები: თ. კაკალაძე, ნ. ნასუაშვილი, ვ. თევდორაძე, ნ. დიასამიძე

მწვრთნელი: ი. ნასუაშვილი

გაფრთხილება: ლ. ცუცქირიძე, დ. ნოზაძე, ნ. გაფრინდაშვილი; დ. სამსეფიშვილი, დ. მალაზონია, ზ. ლობჟანიძე, ი. ცანავა

არბიტრი: ო. ხეცაძე

კოლხეთი-მეშახტე 0:0

29. 10. ხობი. „სენტრალური". 200 მაყურებელი

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, ბ. ბუკია, ლ. ჩაჩიბაია, ლ. მეფიშვილი, მ. ბესარაშვილი, ი. გერგაია (65. რ. ცოტეხია), მ. ჭკადუა (72. გ. ლომაია), ი. კუტალია (46. კ. ალანია), პ. ბაკარანძე

სათადარიგოები: გ. ხუნჭუა, რ. ადონია, გ. პაჭკორია, ჰ. გაბრაგა

მწვრთნელი: გ. სანაია

მეშახტე: დ. ოდიშარია, თ. ხარებავა, ზ. ენდელაძე, ნ. ხარაბაძე, მ. კოპალიანი, კ. ხუჯაძე, ი. ღიბრაძე (90. გ. უგლავა), ა. მეტონიძე, ვ. ჭრელაშვილი, დ. კუტალია (43. ვ. ხეცურიანი), ჯ. ავალიშვილი (90. თ. ჭელიძე)

სათადარიგოები: ა. სახელაშვილი, ბ. ჯიშიაშვილი, თ. ჯოხაძე

მწვრთნელი: დ. რუხაძე

გაფრთხილება: პ. ბაკარანძე, ლ. მეფიშვილი; თ. ხარებავა

არბიტრი: ბ. ნინუა

ლოკომოტივი-მესხეთი 1:0

29. 10. საგურამოს სპორტკომპლექსი. 100 მაყურებელი

1:0 გ. შარანგია (25)

ლოკომოტივი: ბ. საჯაია, ნ. ჭანტურია, გ. გურეშიძე, დ. ბაქრაძე, ლ. მიქავა, გ. გოროზია, დ. ჯიქია, მ. ცინცაძე, გ. მაისურაძე (64. ბ. მახარაძე), გ. შარანგია (73. ა. გუგუშვილი), გ. კაპანაძე (83. გ. ბაქრაძე)

სათადარიგოები: გ. მაკასარაშვილი, გ. გაბაძე, ლ. კვარაცხელია, გ. ასლამა ზიშვილი

მწვრთნელი: გ. ჩიტაური

მესხეთი: გ. ძამუნაშვილი, ლ. სალარიძე, დ. ხანიშვილი, დ. ლეკიშვილი, მ. მურმანიშვილი, კ. ხანიშვილი, ზ. ბარძიმაძე, დ. ინასარიძე (81. მ. მელაძე), ი. ცნობილაძე, დ. ტლაშაძე, გ. წინამძღვრიშვილი (68. მ. ლეკიშვილი)

სათადარიგოები: ი. მურადაშვილი, ზ. სუდაძე

მწვრთნელი: პ. გოგოლაძე

გაფრთხილება: დ. ჯიქია, გ. კაპანაძე, დ. მიქავა

არბიტრი: ი. ურუშაძე

სამგრელია-მერცხალი 0:1

29. 10. სამტრედია. „ერროსი მანჯგალაძე". 100 მაყურებელი

0:1 ნ. მაჭავარიანი (73

სამტრედია: ი. შენგელია, დ. ჩხიკვაძე, ლ. ხაჭაპურიძე, ზ. მიქელთაძე, ლ. სუთიძე, შ. კერძევაძე, გ. რუხაძე, ს. მიქაძე (79. ბ. ახობაძე), რ. ნინუა, ი. ხვადაგიანი (81. ს. ლეჟავა), პ. შათირიშვილი

სათადარიგოები: კ. ღაღანიძე, ა. გუბელაძე, ვ. ლეკვეიშვილი, ნ. ბანძავა

მწვრთნელი: გ. ბენდელიანი

მერცხალი: გ. გოგუა, ლ. კალანდაძე, ზ. ვარდუაშვილი, მ. ქობულაძე, ს.გ. ჩიგოგიძე (52. ნ. მაჭავარიანი), ზ. ტუღუში, თ. ვარდუაშვილი, ლ. ათუაშვილი (81. ზ. ხურციძე), ლ. კოტრიკაძე 46. ი. ბაჯელიძე), გ. ტყეშელაშვილი, ი. ტაკიძე

სათადარიგოები: გ. კაშია, ი. მურუსიძე

მწვრთნელი: ნ. ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: ზ. ტუღუში, თ. ვარდუაშვილი, მ. ქობულაძე, ლ. კალანდაძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

სტუ-ჩხერიმელა 2:1

30. 10. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 200 მაყურებელი

1:0 ა. ბაგაშვილი (16), 1:1 დ. კოსტავა (47, პენალტით), 2:1 ლ. ჯიქიძე (75)

სტუ: ა. აბულაძე, გ. კვახაძე, ა. ლაღაძე (56. ჯ. კოლუა), ლ. თვალავაძე, ნ. მაღრაძე, ნ. ბინკინაშვილი, გ. ბიბილეიშვილი (66. ლ. ცხოიძე), ლ. ციკოლია, ლ. ჯიქიძე, ა. ბაგაშვილი (90. ა. ლეჟავა), გ. ჯიმკარიანი

სათადარიგოები: გ. გოგატიშვილი, ზ. ჭაკჭაკაძე, დ. მეფარიძე

მწვრთნელი: გ. ყორეოლიანი

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, დ. ბერუაშვილი, ი. გვეტაძე, გ. თურმანიძე (72. ლ. მახარაძე), ი. ჭანკვეტაძე, ა. დოლონაძე, გ. გოგიჩაიშვილი, გ. ზაქარაშვილი, დ. კოსტავა, ო. გიორგობიანი (46. ბ. ახალაია), გ. ბოხუა (80. გ. ივანაშვილი)

სათადარიგოები: ჯ. არეკვაძე, ი. გვარჯალაძე, ი. ორბელაძე

გაფრთხილება: ნ. ბინკინაშვილი, ა. აბულაძე, ა. ბაგაშვილი; დ. ბერუაშვილი, ო. გიორგობიანი, ბ. ახალაია

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბათუმი	11	8	2	1	16-6	26
2. მერცხალი	11	7	2	2	17-11	23
3. ჭიათურა	11	6	3	2	17-9	21
4. სტუ	10	5	2	3	20-18	17
5. ჩხერიმელა	11	5	2	4	14-14	17
6. მესხეთი	11	4	1	6	10-11	13
7. მეშახტე	11	2	3	6	11-15	9
8. ლოკომოტივი	9	2	3	4	10-14	9
9. კოლხეთი (ხ)	11	2	3	6	8-13	9
10. სამტრედია	10	0	3	7	5-17	3

ბომბარდირები

გიგა ბოხუა (ჩხერიმელა)	6
ირაკლი ცნობილაძე (მესხეთი)	6
ავთანდილ ბაგაშვილი (სტუ)	5
ლევან ჯიძიძე (სტუ)	5
დაჩი კოსტავა (ჩხერიმელა)	5
გიორგი ძირია (ჭიათურა)	5

მომდევნო ტური. 5 ნოემბერი

დინამო (ბათუმი)-სტუ (თბილისი)
ჩხერიმელა (ხარაგაული)-სამტრედია
მერცხალი (ოზურგ.)-ლოკომოტივი (თბ.)
მესხეთი (ახალციხე)-კოლხეთი (ხობი)
მეშახტე (ტყიბული)-ჭიათურა (ჭიათურა)

B ზონა

გურია-იმერეთი 3:0

28. 10. ლანჩხუთი. „ევგრაფი შევარდნაძე". 200 მაყურებელი

1:0 იაგო დეისაძე (15), 2:0 ვ. ბრეგაძე (52, საკუთარ კარში), 3:0 გ. კვერენჩხილაძე (77)

გურია: დ. კეკელიძე, ჯ. გოგიბერიძე, ა. დვალიშვილი, გ. ნათენაძე, ზ. რაზმაძე (72. გ. შენრული), გ. მელქაძე, ლ. კობახიძე (72. გ. კვიტაიშვილი), ტ. კუკულაძე (78. ლ. რუსიეშვილი), ი. კილაძე, იაგო დეისაძე, გ. კვერენჩხილაძე

სათადარიგოები: გ. გოგუაძე, ნ. ეგრალიძე, ნ. ტორორტაძე, ს. ფირცხალაიშვილი

მწვრთნელი: გ. იმნაძე

იმერეთი: გ. ნიქაბერიძე (46. ს. მეძველია), ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, დ. გოდერიძე, გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი, გ. გენძეხაძე (46. ე. რუხაძე), ბ. ჩხეტიანი, თ. დანელია, იაკობ დეისაძე (71. დ. სულაბერიძე)

სათადარიგოები: დ. ხაბურზანია, დ. ქუთათელაძე, ნ. ჩაჩიბაია

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: ტ. კუკულაძე; იაკობ დეისაძე

არბიტრი: კ. ჭაჭუა

ჩიხურა-ზოოვეტი 3:0

28. 10. საჩხერე. „ძველი სტადიონი". 300 მაყურებელი

1:0, 2:0, 3:0 თ. მუმლაძე (57, 75, პენალტით, 80)

ჩიხურა: რ. თევდორაძე, ლ. ჩიკვაიძე, ჯ. ბერიანიძე, ნ. გუშარაშვილი, ი. ზაბახიძე, ლ. ჭელიძე, ლ. ნოზაძე (82. გ. ქიმაძე), გ. სილაგავა (60. გ. სალარიძე), ნ. კვასხვაძე, ა. ივანიშვილი (72. ი. ლილუაშვილი), თ. მუმლაძე

სათადარიგოები: ზ. მწყერაშვილი, გ. ცარციძე

მწვრთნელი: ს. ფრუიძე

ზოოვეტი: მ. ძიძიგური, თ. ჯიმშელეიშვილი, ი. ალასანია, გ. პატარქალიშვილი. შ. ფარულავა, უ. მამულაშვილი (67. ლ. ლობჟანიძე), ი. ჯოჯიშვილი, ბ. ბარბაქაძე (70. ბ. მამარდაშვილი), ი. სვანიძე (67. მ. მახათაძე), ზ. ტიელიძე, ლ. ჯოხაძე

სათადარიგოები: ი. მღებრიშვილი, ს. ლორთქიფანიძე, შ. გალეკვაშვილი, გ. კუხალაშვილი

მწვრთნელი: ვ. გუგუშვილი

გაფრთხილება: ს. ფარულავა, ი. სვანიძე

არბიტრი: თ. ხუჭუა

აეტი-სკური 0:4

28. 10. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 100 მაყურებელი

0:1 გ. ჭკუასელი (6), 0:2 ლ. ბოჯგუა (20), 0:3, 0:4 გ. ჭკუასელი (54, 81)

აეტი: ლ. ეზიეშვილი, გ. თავბერიძე, გ. სოსელია (46. გ. ბაკურაძე), გ. ბაგალიშვილი, დ. ლობჟანიძე, გ. ნარსია, პ. კვიკვინია, გ. ჯაჭვლიანი, ლ. არაყიშვილი, ნ. ზაქარიაძე (52. თ. მეტრეველი), გ. მარგიანი

მწვრთნელი: ო. სოხაძე

სკური: ნ. ჯოლოგუა, ი. ფაცაცია, ჯ. ყურუა (54. ა. სოხინი), ა. მიქენაია, გ. შელია, შ. გაბუნია, ლ. გაბუნია (77. ზ. მოლაშხია), ბ. სვანიძე, ლ. ბოჯგუა (81. გ. კვირკვია), გ. სართანია, გ. ჭკუასელი

სათადარიგოები: კ. გაბელია, დ. რაფავა, ზ. გახარია, ზ. ღარიბაშვილი

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

გაფრთხილება: დ. ლობჟანიძე, ლ. არაყიშვილი; ბ. სვანიძე

არბიტრი: დ. სანოძე

სამგურალი-სულორი 1:0

28. 10. წყალტუბო. „ბავშვთა ფეხბურთის ცენტრი". 100 მაყურებელი

1:0 ი. შალიკაშვილი (89)

სამგურალი: დ. მემარნიშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ბიბილაშვილი, ზ. ჩიხლაძე (86. გ. გელენიძე), ზ. ხალინაძე (67. გ. ძაგანია), ი. შალიკაშვილი, ლ. ცხადაძე (46. ლ. ნავერიანი), ხ. უგრეხელიძე, თ. შეყრილაძე, გ. ბუხაიძე, ზ. კუხალაშვილი

სათადარიგოები: ლ. გორდეზიანი, ნ. უგრეხელიძე, გ. გორგოძე, რ. ჩიხლაძე

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

სულორი: დ. ხურციძე, ლ. გაბუნია, ვ. ნუცუბიძე, ა. ქებულაძე, პ. ბელთაძე, ნ. გიორგაძე (83. ბ. სულაბერიძე), თ. ძაგნიძე, თ. მაღლაკელიძე, გ. ორბელაძე (88. გ. ნიკოლეიშვილი), მ. ნაფეტარიძე, ბ. ბელეკანია

სათადარიგოები: კ. კვიმსაძე, ბ. დვალიშვილი, ი. დვალიშვილი, ბ. მჭედლიძე

მწვრთნელი: მ. კორძაძე

გაფრთხილება: ხ. უგრეხელიძე; დ. ხურციძე, ა. ქებულაძე

არბიტრი: მ. ურუშაძე

ადელი-ნორჩი დინამოელი 0:3

28. 10. ბათუმი. „ადელი". 100 მაყურებელი

0:1 ვ. ჭანტურიშვილი (4), 0:2 ი. ქავთარაძე (57), 0:3 ბ. შუბითიძე (82)

ადელი: თ. ცინცაბაძე, მ. ფუტკარაძე, ს. კახიძე, გ. ხაჩიძე, ნ. წულუკიძე, ლ. კვანტალიანი (41. დ. ჯალაღანია), გ. ფალავანდიშვილი, ლ. მამეიშვილი, ა. ლორია, ა. აბუსელიძე (60. ჯ. მერაბიშვილი), გ. სირაბიძე (69. ზ. მჟავანაძე)

სათადარიგოები: გ. რომანაძე, ს. მამისეიშვილი, გ. ზოიძე, ნ. დავითაძე

მწვრთნელი: ჯ. ჯორბენაძე

ნ. დინამოელი: ა. ნონოსი, ა. ჩუენსუ, გ. ლომიძე, გ. ბერიშვილი, გ. თანიაშვილი (35. ა. ღვთისავრიშვილი), ა. შენგელია, ზ. ძაგანია, გ. ქვარაია, გ. ოქრუაშვილი (46. ბ. შუბითიძე), ი. ქავთარაძე, ვ. ჭანტურიშვილი

სათადარიგოები: ა. ბილიხოძე, ზ. ქარდავა, გ. ჩუბინიძე

მწვრთნელი: რ. ბარამიძე

გაფრთხილება: გ. ფალავანდიშვილი, მ. ფუტკარაძე, გ. ხაჩიძე; გ. ლომიძე, ა. ღვთისავრიშვილი

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჩიხურა	11	10	1	0	28-2	31
2. გურია	11	8	2	1	30-8	26
3. ნ/დინამოელი	11	6	1	4	22-11	19
4. სკური	11	5	2	4	16-15	17
5. იმერეთი	11	5	1	5	15-16	16
6. ზოოვეტი	11	5	1	5	13-20	16
7. სამგურალი	11	4	4	3	14-10	16
8. ადელი	11	2	1	8	10-22	7
9. სულორი	11	1	2	8	3-27	5
10. აეტი	11	1	1	9	5-25	4

ბომბარდირები

იაგო დეისაძე (გურია)	13
თორნიკე მუმლაძე (ჩიხურა)	10
გიგა კვერენჩხილაძე (გურია)	6
ზურაბ ძაგანია (ნ. დინამოელი)	6
ნიკოლოზ ჩიხლაძე (იმერეთი)	6
გელა ჭკუასელი (სკური)	6
გიორგი ბუხაიძე (სამგურალი)	6

მომდევნო ტური. 6 ნოემბერი

იმერეთი (ხონი)-აეტი (სოხუმი)
სკური (წალენჯიხა)-ჩიხურა (საჩხერე)
ზოოვეტი (თბ.)-სამგურალი (წყალტ.)
სულორი (ვანი)-ადელი (ბათუმი)
ნ/დინამოელი (თბ.)-გურია (ლანჩხუთი)

II ლიგა. აღმოსავლეთი ზონა

VIII ტური

აბული (ახალძ.)-35-ე სკოლა (თბილისი)	1:0
ლაგოდეხი (ლაგოდეხი)-ივერია (ხაშ.)	0:6
იუსი გესტი (თბილისი)-სასკო (თბ.)	2:0
იბერია (თბილისი)-ლიახვი (აჩაგეთი)	7:1
დუშეთი-ალგეთი (მარნეული)	3:0

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. სასკო	8	6	1	1	22-5	19
2. ივერია	8	4	2	2	21-9	14
3. 35-ე სკოლა	8	4	1	3	17-17	13
4. აბული	8	4	1	3	11-13	13
5. იუსი გესტი	8	3	4	1	13-8	13
6. დუშეთი	8	3	3	2	13-11	12
7. ლიახვი	8	3	2	3	21-21	11
8. იბერია	8	2	1	5	15-21	7
9. ლაგოდეხი	8	1	2	5	5-19	5
10. ალგეთი	8	1	1	6	2-16	4

● ოლონდ თქვენ ითამაშეთ და...

ბურთები კლუბებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჩვენი უმაღლესი და პირველი ლიგების კლუბებს საჩუქრად ბურთებს გადასცემს. სფფ-ის პირველი აქცია დღეს რუსთავში „ფოლადის" სტადიონზე გაიმართება, აქციები მთელი თვის განმავლობაში გაგრძელდება.



ნიკა გვათუა

● ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲥᲐᲯᲐᲜᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ მილიარდერი და „არსენალის“ ძირითადი მეწილე, **სტენ კროენკი** ყველას „მუნჯი“ რომ ეგონა, ასეც არ ყოფილა საქმე. რამდენიმე დღის წინ მან ქართული ფილმის, „ქაჯანას“ მთავარი გმირივით მოულოდნელად ხმა ამოიღო. ჯერ ერთი, კროენკმა „მეთოფეთა“ სხვა მეწილეებს დაუგზავნა მიმართვები, შემდეგ კი, ყველას გასაოცრად, ფეხბურთელებს ესტუმრა. „ლონდონ კოლნის“ საწვრთნელ ბაზაზე ამერიკელი მწვრთნელ **არსენ ვენგერს** გვედრით დაუდგა და უპირველეს ყოვლისა, ბოლო ტურში, „ჩელსისთან“ 5:3 მოგება მიულოცა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, რადგან ცუდი სტარტის შემდეგ,

გუნდმა ძალების სრული მობილიზაცია შეძლო და, ყველა შეჯიბრებაში ერთად, ბოლო ცხრა შეხვედრიდან რვა მოიგო — ერთადერთი, 2 ოქტომბერს „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ დამარცხდა. ცნობისათვის: აქ „მარსელთან“ წუხანდელი შეხვედრა ნაგულისხმები არ არის.

კროენკი „არსენალის“ 66 პროცენტის მფლობელია. ამ წილში მან 500 მილიონი ფუნტი გადაიხადა. ფეხბურთელებთან შეხვედრისას მილიარდერმა თქვა, რომ კლუბის ბიუჯეტში არ ჩაერევა და „მეთოფეთა“ სატრანსფერო პრინციპს არ დაარღვევს, რაც იმას ნიშნავს, რომ იანვრის ბაზარზე მისგან ჯიბეზე ხელის გაკვრას არ უნდა ველოდეთ. ბიზნესმენმა, რომელიც „არსენალის“ ბოლო ტრიუმფის დროს, 2005 წელს, კლუბთან არანაირ კავშირში არ იყო, თქვა:

„მეამაყება, რომ „არსენალი“ სტაბილური ბიზნესის მოდელს მისდევს. რასაკვირველია, კლუბი შეიძლება დაეყრდნოს ისეთ ადამიანებს — და ჩვენ ამერიკაში ასეთების მოძებნა არ გაგვიჭირდება — რომელთაც ფულის ხარჯვა შეუძლიათ. მაგრამ, ასეთ ხალხზე მინდობას ცუდი გაგრძელება მოსდევს ხოლმე. მათ, ადრე თუ გვიან, ჯიბეში ხელის ჩაყოფა ბეზრდებათ და კლუბიც ცუდ დღეში ვარდება. განა ასეთ ურთიერთობას შეიძლება სწორი, გრძელვადიანი პროექტი ეწოდოს? დოლარების კედლისთვის შეყრის პრინციპს ინტელექტსა და შრომისუნარიანობაზე დაყრდნობა სჯობს.

სწორი მუშაობის ჩინებული მაგალითი კი არსენ ვენგერი გახლავთ. ის უკვე 15 წელიწადია „არსენალშია“ და ყველამ კარგად ვიცით, ამ ხნის განმავლობაში რასაც მიაღწია. გუნდი ყოველ წელიწადს ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობს. დიახ, კლუბი ყოველთვის ერთ კაც ზე მეტია, თუნდაც ის კაცი ფულიანი იყოს და ამ კლუბს გულშემატკივრობდეს კიდეც.

კარგად ვიცი, რომ „არსენალს“ რამდენიმე წელიწადია ტიტული არ მოუპოვებია, მაგრამ, მე ამერიკაში მყავს მეგობრები, რომლებიც სპორტის ამა თუ იმ სახეობაში კლუბებს ფლობენ და არასდროს არაფერი მოუგიათ. ამის მიუხედავად ისინი თავიანთ კლუბებს თავს არ ანებებენ, 30-40 წელიწადია მათ მესაკუთრეებად რჩებიან. ჩვენ ბედმა გაგვიღიმა, მწვრთნელად არსენი რომ გვყავს. მის ხელში რამდენიმე ტიტული მოვიპოვეთ“.

„მდუმარე სტენმა“, როგორც მას ინგლისურ პრესაში შეარქვეს, ვენგერის ქებისთვის დამატებითი დრო და ენერგიაც გამონახა:

„არსენ ვენგერი უდიდესი მწვრთნელი და პიროვნებაა. მასზე უკეთესის პოვნა შეუძლებელია. ხანდახან ვაგებთ? შიგადაშიგ დიდი ანგარიშითაც? მერე რა, ხდება ხოლმე. მწვრთნელის შეფასება არც ერთი მატჩით შეიძლება და არც ერთმანეთს გადაბმული რამდენიმე შედეგით. მწვრთნელი დროის ხანგრძლივი მონაკვეთით უნდა შეფასდეს“.

სხვათა შორის, „ქაჯანამ“ კიდევ ერთი მოულოდნელი რამ გააკეთა — თავის თანამემამულეებს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეპატრონეებს, **გლეიზერების** ოჯახს გამოესარჩლა. მოგეხსენებათ, „იუნაიტედის“ საუცხოო შედეგების მიუხედავად გუნდის ფანებს გლეიზერები სძულთ.

„ამ ხალხმა ტიტულებიც მოიგო და შემოსავალიც გაზარდა. მე, რომ ამ კლუბის გულშემატკივარი ვიყო, აღფრთოვანებული ვიქნებოდი“.

დაბოლოს, 24 წლის **სამირ ნასრის** „მანჩესტერ სიტიში“ გაქცევის შესახებ:

„როდესაც კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ერთი წელიწადი რჩება, ყველაფერი მარიფათზეა დამოკიდებული. ეს ბიჭი მარიფათიანი გამოდგა“.

● ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚ ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓᲘ



ᲑᲐ! ᲑᲐ! ᲑᲐ!

ᲓᲐ ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲐ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ პრემიერლიგის მე-10 ტურის ბოლო მატჩი გაიმართა. „ნიუკასლ იუნაიტედმა“ სტუმრად 3:1 მოუგო „სტოკ სიტის“. „კაჭკაჭთაგან“ სამივე გოლი 26 წლის საფრანგეთში დაბადებულ-გაზრდილმა სენეგალელმა თავდამსხმელმა, **დემბა ბამ** გაიტანა. ამ გამარჯვების წყალობით, დაუმარცხებელი „ნიუკასლი“ მესამე ადგილზე გადავიდა. გახარებულმა მწვრთნელმა **ალან პერდიუმ** თქვა:

„ბა დიდებული ფეხბურთელია. მას ამ სეზონში შეხვედრა არ გამოუტოვებია და, რაც მთავარია, დასამტკიცებელი არავისთვის აღარაფერი აქვს. ის მთელი სეზონის განმავლობაში ასე თამაშობს“.

საინტერესოა, რომ ბამ იანვარში სწორედ „სტოკში“ ვერ გაიარა სამედიცინო შემოწმება. სტოკელმა ექიმებმა ის დაიწუნეს, ორშაბათს კი მაყურებელმა უსტვინა. მაგრამ, ფრანგი, უფრო სწორად კი სენეგალელი (ბას სენეგალის ნაკრებში 10 თამაში აქვს ჩატარებული), ამ სტვენას მშვიდად შეხვდა:

„თუ სტოკელებს ასე ძალიან უნდათ ვინმესთვის „ბუუს“ დაძახება, უპირველეს ყოვლისა, თავის დირექტორატსა და სამედიცინო პერსონალს უნდა დაუძახონ. მე მათ გუნდში ვაპირებდი თამაშს, ამ ადამიანებმა კი არ მიმიღეს. ისე კი, აქ, ამ ქალაქში სამი გოლის გატანა ძნელი საქმეა და მიღწეულით ძალიან ვამაყობ“.

შემდეგ კი ისევ პერდიუმ ილაპარაკა. მან შემდეგ ორ ტურზე გაამახვილა ყურადღება და თქვა, რომ შაბათს „ევერტონთან“ მოგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება:

„ახლა კონკრეტული და ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე ვდგავართ. ეს ამოცანა შაბათს „ევერტონთან“ გამარჯვებაა. თუ მას თავს გავართმევთ, მომდევნო ტურში „მანჩესტერ სიტის“ დაუმარცხებელი გუნდის რანგში შევხვდებით და ეს ფანტასტიკური იქნება. წარმომიდგენია, როგორ გადაივსება ჩვენი სტადიონი. ჩემი ფეხბურთელები ამ სეზონში იმდენად კარგად თამაშობენ, რომ გადავსებული ტრიბუნების მხარდაჭერას ნამდვილად იმსახურებენ“.

● ᲗᲔᲤᲘᲚᲓ ᲣᲔᲜᲡᲓᲘ

ᲥᲐᲚᲘ, ᲠᲐ ᲥᲐᲚᲘ!

ᲡᲘᲑᲘᲚ ᲓᲔᲜᲘᲜᲒᲘ ის ქალი გახლავთ, რომელსაც ტრადიციებით მდიდარი ინგლისური კლუბის, დღეს პირველ ლიგაში მესამე ადგილზე მყოფი „შეფილდ უენსდის“ აღორძინება და მისთვის ძველი დიდების დაბრუნება სურს. დღეს უკვე 64 წლის ქალბატონი 1980-იან წლებში „ჰოლივუდში“ მოღვაწეობდა, „პლეიბოის“ ყდაზეც ხვდებოდა და ერთხელ, წლის სექს-სიმბოლოდაც კი აღიარეს. ამჟამად დენინგი მულტიმილიონერია და „უენსდის“ აყვავებაზე ფიქრობს.

ეს ამბავი მართლაც დაუჯერებელი ჩანს, მით უფრო, რომ სიბილ დენინგი ავსტრიაშია დაბადებულ-გაზრდილი, მაგრამ რა გინდა ქნა, როდესაც თავად ირწმუნება, რომ სავსებით სერიოზულად არის განწყობილი. კლუბის ახლანდელ მეპატრონეს აღარ ეკითხებიან? — გაუკვირდება მავანს. მოგახსენებთ: ახლანდელი მეპატრონე, **მილან მანდარიჩი** მზად არის გაყიდოს „შეფილდ უენსდი“, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ დარწმუნდება, რომ კლუბის ახალი მესაკუთრე ფულიანი და ამბიციური იქნება.

აღსანიშნავია, რომ დენინგისა და მისი მეუღლისთვის, **ჰორსტ ლასესთვის** სპორტული ბიზნესი უცხო ხილი არ არის. ათი წლის წინ წყვილმა ჰოკეის გერმანული კლუბი, „რიესერსეე“ გაკოტრებისგან იხსნა. ქალბატონი დენინგი ამბობს:

„ჩვენ ვარჩევდით ინგლისურ კლუბს, რომელსაც ძირძველი ფანობა ეყოლებოდა და პერსპექტივა ექნებოდა. „შეფილდ უენსდი“ ამ პირობებს სრულიად აკმაყოფილებს. ამ კლუბს ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში დიდი სახელი აქვს და ვფიქრობთ, ჩვენც გვეყოფა საიმისო ენერგია, ეს კლუბი პრემიერლიგაში რომ გადავიყვანოთ. საკითხს მთელი თვის განმავლობაში ვსწავლობდით და ახლა საქმე მოლაპარაკებებზეა მიმდგარი. იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი კარგად აეწყობა“.

გვერდი მოამზადა
ილია ᲑᲐᲒᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

სიბილ დენინგი

● ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ

ᲕᲐᲜ ᲓᲔᲠ ᲕᲐᲐᲠᲢᲘ ᲡᲘᲢᲘᲡ ᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲡ

„ᲢᲝᲢᲔᲜᲰᲔᲛ ᲰᲝᲗᲡᲞᲣᲠᲘᲡ“ ვარსკვლავი, 28 წლის ჰოლანდიელი **რაფაელ ვან დერ ვაარტი** „მანჩესტერ სიტიზე“ ლაპარაკის იშტაზე მოვიდა და პრემიერლიგის ლიდერზე თქვა, შესაძლოა სეზონი განბილებულმა დაასრულოსო. ვან დერ ვაარტი ამბობს, რომ ისტლენდელთა ყველაზე დიდი პრობლემა მისი ფეხბურთელების ვეებერთელა ეგოა:

„ისინი რეალური პრობლემის წინაშე დგანან და ეს პრობლემა მათი ფეხბურთელების მედიდურობაა. ნებისმიერი გუნდი, რომელშიც ბევრი დიდი ვარსკვლავი თამაშობს, პრობლემის წინაშე დგას. რასაკვირველია, ამას რომ ვამბობ, იმასაც კარგად ვხედავ, რომ დღეს „სიტი“ საუცხოო ფორმაშია და თამაშებს ძალიან ადვილად იგებს. ისტლენდელებმა „მანჩესტერ იუნაიტედს“ დამაჯერებლად აჯობეს და, თან 6:1“.

მოგეხსენებათ, **რობერტო მანჩინის** გუნდი ათი ტურის შემდეგ პრემიერლიგას ხუთი ქულით ლიდერობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იტალიელ მწვრთნელს მალიმალ აქვს კონფლიქტები ფეხბურთელებთან: **ედინ ჯეკოსთან, ადამ ჯონსონთან** და, ყველაზე მეტად, **კარლოს ტევესთან**.

ვან დერ ვაარტს ვარსკვლავებით გადავსებული გუნდის პრობლემები საკუთარი თვალით აქვს ნანახი. 2010 წლის აგვისტოში „ტოტენჰემში“ გადასვლამდე ის „რეალში“ თამაშობდა:

„დიდ კლუბებში ასეა: როდესაც ახალი ძლიერი ფეხბურთელების ჯგუფს ყიდულობენ, ძველი ვარსკვლავები უკმაყოფილოები რჩებიან. „რეალში“ ექვსი ჰოლანდიელი ვიყავით და დაახლოებით ნახევარ წელიწადში ყველამ დავტოვეთ იქაურობა. იგივე პროცესები მიმდინარეობს „მანჩესტერ სიტიში“. შეხედეთ ემანუელ ადებაიორს. ის „ტოტენჰემში“ საუცხოოდ თამაშობს, არადა „სიტიში“ შემადგენლობაშიც კი ვერ ხვდებოდა“.

● ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲝ ᲥᲝᲠᲘ

ᲞᲝᲓᲝᲚᲡᲙᲘᲡ ᲗᲝᲤᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲔᲜ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚ ტაბლოიდებში დაინერა, რომ „არსენალი“ მზად არის 26 წლის პოლონური წარმოშობის გერმანელ თავდამსხმელ **ლუკაშ პოდოლსკიში** 20 მილიონი ფუნტი გადაიხადოს. ეს თანხა ევროებში 34,36 მილიონს უდრის. ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ ცდილობენ „მეთოფეები“ პოდოლსკის გადაბირებას. მათ თავიანთი გამოკვეთილი ვარსკვლავის, 28 წლის ჰოლანდიელი **რობინ ვან პერსის** ნასვლისა ეშინიათ. მოგეხსენებათ, ჩრდილოლონდონელებისა და ვან პერსის ხელშეკრულებას ვადა წელიწადნახევარში გაუდის და თუ ახალი კონტრაქტი უახლოეს პერიოდში არ გაფორმდება, ფორვარდი, რომელსაც ამ სეზონში გოლი გოლზე გააქვს, „ემირეიტ სთედიუმს“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დაემშვიდობება.

პოდოლსკი „კიოლნში“ თამაშობს. 2004 წლიდან გერმანიის ნაკრების წევრია და ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 93 შეხვედრაში 43 გოლი აქვს გატანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● ბაიერნი

ერთი ბედნიერია, მეორე არა: ფრანკ რიბერი და ივიცა ოლიჩი

რიბერი რჩება, ოლიჩი გარბის

ფრანკ რიბერი ამბობს, გამორიცხული არაა, რომ „ბაიერნიდან" არასდროს წავიდე და კარიერა მიუნხენში დავასრულო. ეს ინფორმაცია რეკორდმაისტერის ქომაგებსა და ხელმძღვანელებს ნამდვილად გაახარებს, რადგან ფრანგი ნახევარმცველი 28 წლისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ კარიერის პიკშია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ფეხბურთს უმაღლეს დონეზე კიდევ მინიმუმ 3-4 წლის მანძილზე ითამაშებს.

„მიუნხენში თავს იმდენად კარგად ვგრძნობ, რომ აქედან წასვლაზე ერთი წუთითაც არ მიფიქრია. გამორიცხული არაა, რომ ბუცები ლურსმანზე სწორედ „ბაიერნის" ფეხბურთელის რანგში ჩამოვკიდო. თუ ჩემი ფიზიკური კონდიცია ამის საშუალებას მომცემს, მინიმუმ 35 წლამდე ვითამაშებ," - ამბობს რიბერი „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

რიბერის მიუნხენურ გრანდთან კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული და მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დიდი დროა დარჩენილი, ახლავე ახლის გაფორმებაზე ფიქრობს. ხსენებულ ინტერვიუში რიბერი არ მალავს, რომ **ლუის ვან გაალის** მწვრთნელობის დროს „ბაიერნიდან" აბარგებაზე სერიოზულად ფიქრობდა, მაგრამ მას მერე, რაც ჰოლანდიელი წავიდა, მისი ადგილი კი **იუპ ჰაინკესმა** დაიკავა, რიბერი ისევ ბედნიერია. ფრანგი ამბობს, იმედი მაქვს, რომ ჰაინკესი „ბაიერნის" მწვრთნელის პოსტზე ძალიან დიდხანს დარჩებაო.

რიბერისგან განსხვავებით, თავს ცუდად გრძნობს ხორვატი თავდამსხმელი **ივიცა ოლიჩი**, რომელსაც მძიმე ტრავმამ „ბაიერნის" ძირითადში ადგილი დაეკარგვინა. 32 წლის ფორვარდი ხმამაღლა ამბობს, მიუნხენიდან წასვლაზე სერიოზულად ვფიქრობო. *„მხოლოდ ბოლო წუთებზე თამაშით ვერ დავკმაყოფილდები. თანაც, ჰაინკესი ჩემს ადგილს ფლანგზე ხედავს, მე კი გარემარბის პოზიციაზე თამაში არ მიყვარს. ერთი სიტყვით, თუ ზამთარში ნორმალურ წინადადებას მივიღებ, მიუნხენიდან წავალ,"* - ამბობს ოლიჩი.

გოტფრიდ ლენცი

● ვარსკვლავი

ეტოო არ გამორიცხავს

მახაჩყალის "ანჟის" კამერუნელმა თავდამსხმელმა **სამუელ ეტოომ** პერმის "ამკართან" შეხვედრის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ პოდმოსკოვიეში, კრატოვოში კლუბის სანვრთნელ ბაზაზე წასულიყო და დაესვენა, დაადო თავი და პარიზში გაფრინდა, რათა "კანალ პლუსისთვის" ინტერვიუ პირდაპირ ეთერში მიეცა, სადაც არ გამორიცხა, რომ ზამთარში, როცა რუსეთის ჩემპიონატში ხანგრძლივი პაუზა დადგება (თითქმის ორთვიანი), იჯარის წესით სათამაშოდ ევროპას დაუბრუნდეს. ყველაზე მეტად მას თურმე "პარი სენ-ჟერმენში" ძალების მოსინჯვა სურს. *"თუკი ასეთი წინადადება იქნება, აუცილებლად დავფიქრდები. ლეონარდოსთან კონტაქტი ხშირად მაქვს, თუმცა ჩემი შესაძლო იჯარის საკითხს ჯერ ერთხელაც არ შევხებივართ,"* – თქვა აფრიკელმა ვარსკვლავმა.

ფეხბურთელის აზრით, თუკი კლუბმა მას ნება მისცა, ამით ყველა მოიგებს. "ანჟიში" ჯერჯერობით ამაზე კომენტარს არავინ აკეთებს. ტრავმის მიღების რისკი ბუნებრივია ყველგან არსებობს და აქედან გამომდინარე, დათანხმდება თუ არა ჩრდილოკავკასიური კლუბი ამ იდეას, ძნელი სათქმელია. თეორიულად ამ საკითხის გადაწყვეტა რთული არ უნდა იყოს, რადგან კამერუნის ნაკრები აფრიკის თასის ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა (რასაც **ხავიერ კლემენტეს** თანამდებობაც შეენირა), რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელი მთელი არდადეგების განმავლობაში სათამაშო პრაქტიკის გარეშე რჩება. ეტოოს მხრიდან ეს უკვე მეორე მცდელობაა, რათა რუსეთის ჩემპიონატის პაუზისას სადმე თავშესაფარი მონახოს. "ანჟიში" გადასვლიდან ძალიან მალე სწორედ ის ალაპარაკდა, "ინტერში" იჯარით სიამოვნებით დავბრუნდებოდიო.

როგორც ცნობილია, სამუელის გადაბირებას პსჟ ზაფხულში ცდილობდა, მაგრამ კამერუნელს "ანჟიზე" უფრო სარფიანი წინადადება ვერ შესთავაზა და ეს გასაკვირი სულაც არ არის. მოგეხსენებათ, ამჟამინდელი კლუბი ეტოოს წელიწადში 20 მილიონ ევროს უხდის.

ლევან ბიბილაშვილი

სამუელ ეტოო ევროპაში დაბრუნების გზებს ეძებს

● ამბები

ლიონის პრობლემა

"ლიონის" მთავარ მწვრთნელ **რემი გარდს** პრობლემა კარზე მოადგა. გუნდმა რამდენიმე დღის ინტერვალით ორი მეკარე დაკარგა. ტრავმა მიიღო ჯერ **ანტონიო ლოპესმა**, მალევე მის "გზას დაადგა" **რემი ვერკუტრიც**, რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ კლუბს **უგო ლორისის** შემცვლელად სკამზე დასასმელადაც კი აღარ ჰყავდა კვალიფიციური მეკარე. კლუბმა სასწრაფოდ გაუფორმა კონტრაქტი **მატიე ვარვერდს**. *"მოხარული ვარ, რომ "ლიონში" ამოვყავი თავი. ივნისის შემდეგ ხომ უმუშევარი ვიყავი და ფორმას "ლივერპულის" დუბლებთან ვარჯიშით ვინარჩუნებდი. თუკი საჭირო გახდება, შემიძლია კვირაში ერთი თამაშიც კი ჩავატარო, ჩემი ფიზიკური კონდიციები ამის საშუალებას მომცემს,"* – განაცხადა გოლკიპერმა, ვისაც "ბორდოს", "ტულუზისა" და "ბულონის" ღირსება დაუცავს.

ახალი რიბერი საფრანგეთში

"ნანტის" ტუნისელი შემტევი ნახევარმცველი **საად ტრაბელსი** ევროპული კლუბების ინტერესის სფეროში მოექცა და შესაძლოა "იადონებიდან" მისი აბარგების საკითხი უკვე იანვარში დადგეს დღის წესრიგში. "ეკიპის" ცნობით, ფეხბურთელის გადაბირება "კიევოს", "ჰამბურგსა" და "მარსელს" სურთ. "ნანტი" პრაქტიკულად იძულებულია ფეხბურთელი გაყიდოს, რადგან ტრაბელსი თავისუფალი აგენტის სტატუსს ივნისში მიიღებს და კლუბი ამით სერიოზულად იზარალებს.

რონალდინიოს იაპონური პერსპექტივა

იაპონიის უმდიდრესი კლუბი "კავასაკი" "მილანთან" მოლაპარაკებების წამოწყებას აპირებს, რათა "როსონერისგან" **რონალდინიოს** სატრანსფერო უფლებები გამოისყიდოს. მოგეხსენებათ რონი "ფლამენგოში" იტალიელებს იჯარით ჰყავს გაშვებული. თუკი მხარეთა შორის ფასზე შეთანხმება ვერ მოხდება, იაპონური კლუბი მზადაა, თავადაც იჯარით გადაიბიროს 31 წლის ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი. აღნიშნული ინფორმაცია გამოცემა "სანკეი სპორტს" კლუბის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა მიაწოდა: *"ჩვენ გვჭირდება ისეთი გამოცდილი ფეხბურთელი, როგორიც რონალდინიოა. ვიცით, რომ მისი ტრანსფერი ძვირი დაგვიჯდება, მაგრამ ფულს აუცილებლად გამოვნახავთ. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ფეხბურთელი ამ ფულს უკან მალევე ამოიღებს".*

ლევან ბიბილაშვილი

● საგანგაშო ამბავი

ანტონიო კასანო

ანტონიო გულს უჩივის

და შეიძლება კარიერა დაასრულოს

ერთ-ერთ წინა ნომერში გაცნობეთ იმის შესახებ, რომ „რომა"-"მილანის" შემდეგ **ანტონიო კასანო** მოულოდნელად შეუძლოდ გახდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. „როსონერის" თავდამსხმელი დღემდე მძიმე მდგომარეობაშია, გადაადგილება და ლაპარაკი უჭირს, ზუსტი დიაგნოზი კი ჯერაც არ დასმულა. ჟურნალიტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ დიაგნოზი უკვე ცნობილია, მაგრამ ასაიდუმლოებენ და ჯერჯერობით არ აცხადებენ. მოკლედ, კასანოს გარშემო დიდი აურზაურია და ბუნებრივია, ეს თემა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია იტალიურ სპორტულ პრესაში.

ამასობაში, ცნობილმა იტალიელმა ტელეწამყვანმა **ალდო ბისკარდიმ** განაცხადა, რომ **სილვიო ბერლუსკონისთან** ჰქონდა რამდენიმეწუთიანი საუბარი და მას სწორედ კასანოს შესახებ დაუსვა კითხვა - მოვუსმუნოთ ჟურნალისტს და ყველაფერს უკეთესად გავიგებთ: *„ბერლუსკონის სულ რამდენიმე წუთით შევხვდი და მაშინვე კასანოს მდგომარეობის შესახებ ვკითხე - სილვიოს თქმით, ანტონიოს გულის პრობლემები აქვს და დიდია შანსი, უახლოეს მომავალში სერიოზული ოპერაცია დასჭირდეს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეიძლება კარიერის დასრულებამაც კი მოუწიოს. ჩემთვის ამ ამბის გაგება ძალიან მტკივნეული იყო, რადგან კასანოს დიდი თაყვანისმცემელი ვარ, მაგრამ სიმართლეს ვერ დავმალავ და სათქმელი უნდა ვთქვა. დავიტოვოთ იმედი, რომ ანტონიო მალე გამოჯანმრთელდება".*

კასანოს ავადმყოფობამ მთელი საფეხბურთო იტალია შეძრა, მათ შორის „სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელი **ჩეზარე პრანდელი**, რომელმაც „კორიერე დელო სპორტთან" შემდეგი კომენტარი გააკეთა: *„პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ, რა სჭირს ანტონიოს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დავინტერესდეთ, როდის დაუბრუნდება მოედანს და ითამაშებს თუ არა ეროვნულ ნაკრებში. ყველამ კარგად იცის, რომ კასანო „აძურას" საკვანძო ფეხბურთელია და თუ ჯანმრთელად იქნა, მისთვის ადგილი ყოველთვის მოიძებნება. დიდი იმედი მაქვს, რომ საგანგაშო არაფერია და ანტონიო მალე დაუბრუნდება ფეხბურთს".*

ლაშა წიკლაური

● მოსაზრება

ლიპის ფავორიტები: იუვე და მილანი

უქმად მყოფ მარჩელო ლიპის ისღა დარჩენია, რომ პერიოდულად, იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვას. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ამჯერად რაისპორტს გაუზიარა მოსაზრებები და განსაკუთრებულად ვრცლად ყოფილი გუნდის, „იუვენტუსის" შესახებ ისაუბრა...

იუვენტუსი

როგორც იქნა, „იუვენტუსს" ჰყავს ისეთი შემადგენლობა, რომელსაც უმაღლესი მიზნებისთვის შეუძლია ბრძოლა. ტურინულ გრანდს ანდრეა პირლოს ტიპის მოთამაშე სჭირდებოდა, რომელმაც ლიდერობა აიღო თავის თავზე და გუნდს წარმატებებისკენ გაუძღვა. ბევრი რამ დაემთხვა ერთმანეთს საიმისოდ, რომ „იუვემ" ძველი დიდება დაიბრუნოს, მათ შორის ახალი სტადიონი და ახალი, ძალიან ნიჭიერი მწვრთნელი. ანტონიო კონტე შესანიშნავად უძღვება საქმეს და ეს უკვე აისახა კიდეც შედეგებზე. რაღაცით ის ჩემს თავს მაგონებს, როდესაც ახალგაზრდა ვიყავი და სწორედ „იუვეს" ჩავუდექი სათავეში. დარწმუნებული ვარ, კონტეს ფორმაციის „იუვენტუსი" დიდ წარმატებებს მიაღწევს.

სკუდეტო

პრაქტიკულად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ სკუდეტოსთვის ორი გუნდი იბრძოლებს: „მილანი" და „იუვენტუსი". „ვეკია სენიორას" შესახებ უკვე გითხარით, „მილანი" კი მოქმედი ჩემპიონია და ობიექტურად მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი. მასიმილიანო ალეგრის განკარგულებაში ორი ათეული უმაღლესი კლასის ფეხბურთელია, რომლებიც ოპტიმალურ ფორმაში შედიან და გუნდიც სატურნირო ცხრილის სათავისკენ მიიწევს.

ვგონებ, „იუვენტუსსა" და „მილანს" შორის ბრძოლა ბოლო ტურებამდე გაგრძელდება და სკუდეტოს ამ ორიდან ერთ-ერთი დაიპაკუთრებს. „მილანის" მხარეს უდიდესი გამოცდილება და კლასია, ტურინელებს კი განსაკუთრებული მოტივაცია აქვთ, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია წარმატების მისაღწევად.

ლაშა წიკლაური

მარჩელო ლიპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. დიდიე დეშამი

ჩემი ფავორიტები

ლიგა 1-ის XII ტურში "დიჟონთან" მოგებული მატჩის (3:2) შემდეგ "მარსელის" თავკაცმა დიდიე დეშამმა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხა. აი, რაზე ილაპარაკა 47 წლის ფრანგმა სპეციალისტმა:

- "მარსელს" ზედიზედ უკვე სამი მოგებული თამაში დაუგროვდა – თქვენი გუნდი თავს უკეთ გრძნობს?

- ეს ჩვენთვის პირველი წარმატებული კვირა იყო. სამიდან ორი შეხვედრა ლიგა 1-ში მოვიგეთ. "დიჟონმა" თავი საუკეთესო კუთხიდან წარმოაჩინა და ასეთ მეტოქესთან გამარჯვება ფეხბურთელებს საკუთარი ძალების რწმენას შემატებს. კრიზისის დაძლევის საუკეთესო გზა ხომ გამარჯვებებია.

- მატჩის მიმდინარეობისას წაგების არ შეგშინებიათ?

- მატჩის სცენარი "ოსერთან" შეხვედრას ჰგავდა (II ტურში "მარსელი" 2:0-ს იგებდა და ბოლოს 2:2 ითამაშა. რედ.). არა მგონია, რომ ბევრი შეცდომა დაგვეშვა, მაგრამ ორი გოლი კი გავუშვით. ასეთი ფრეები მებრძოლი სულის გამტკიცებას ხელს დიდად არ უწყობს. აბსოლუტურად განსხვავებული განწყობაა ხელიდან გაძოგლეჯილი გამარჯვების შემდეგ. მოხარული ვარ, რომ ალუ დიარამ გაიტანა მესამე გოლი, ეს მისთვისაც კარგია და გუნდისთვისაც. სამი ქულა ამ ეტაპზე ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

- ალუ დიარა მწყობრშია?

- ბოლო ორ შეხვედრაში მან ნორმალურად ითამაშა. ვილაცები ამბობენ, რომ გუნდში თურმე ფავორიტები მყავს, ასახელებენ ალუს, ლუჩოს, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, ჩემი საყვარელი ფეხბურთელები არიან ყველანი ერთად. დიარას ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, თუმცა ნელ-ნელა ყველაფერი გვარდება. კონკურენცია ყველასთვის თანაბრად არსებობს. მჭიდრო სათამაშო გრაფიკის პირობებში კი მე ყოველ ფეხბურთელს განსაკუთრებულად ვუფრთხილდები.

- 4-4-2 სქემა გამოიყენეთ...

- დიახ და ვფიქრობ, სწორადაც მოვიქეცით. ორი თავდამსხმელი შეტევაში მრავალფეროვნების საშუალებას იძლევა, შეიძლება ეს გარკვეულწილად დაცვაში ბალანსის დარღვევას უწყობდეს ხელს, მაგრამ დიჟონში ხომ ჩვენ შემტევი ფეხბურთის სათამაშოდ წავედით და არა დაცვაში ჩასადგომად.

- მოგწონთ ადრენალინით სავსე მატჩის სცენარი?

- ასე ვიტყოდი, უკეთესი იქნებოდა, 3:0 ყოფილიყო პირველი ტაიმის შემდეგ. ეს ახლა მიხარია, როცა მატჩი დამთავრდა, მაგრამ 2:2-ის შემდეგ სულ სხვა ფიქრები მიტრიალებდა თავში.

- ეს შედეგი "არსენალთან" მატჩამდე უფრო იმედიანად განგაწყობთ?

- ჩემი გუნდი ისედაც კარგ განწყობაზეა, მოთამაშეთა დიდი არჩევანიც მაქვს და ამ ყოველივემ ბოლო პერიოდში კარგი შედეგები მოიტანა, თუმცა სამშაბათს სულ სხვა თამაში იქნება, სულ სხვა ისტორიით.

ლევან გიგილაშვილი

სკანდალი

გლადიატორების არენა რუმინეთში

ბუქარესტის "სტიაუას" მცველი **გეორგე გალამაზი** "პეტროლულის" წინააღმდეგ რუმინეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის შემდეგ საავადმყოფოში მოხვდა. იმიტომ კი არა, რომ თამაშისას ტრავმა მიიღო, არამედ იმის გამო, რომ მას მინდორზე გადმოჭრილმა გულშემატკივარმა ისეთი ალიყური უთავაზა, რომ ბედშავი გეორგე ნოკაუტში ჩავარდა. ექიმებმა მას ყურის ბარაბნის სერიოზული დაზიანება დაუდგინეს. თუმცა ეს არ იყო ყველაფერი, რაც იმ დღეს მოედანზე მოხდა. "სტიაუას" ფეხბურთელები მეგობარს გამოესარჩლნენ, თავდამსხმელი დაიჭირეს და წიხლები კარგად გვარიანად ურტყეს. მსაჯმა შურის მაძიებელთაგან ორი კაცი მოედნიდან მიაბრძანა. სიტუაცია რომ დაწყნარდა, "სტიაუამ" პენალტი დაარტყა (სწორედ პენალტის დანიშვნა გახდა კიდეც არეულობის საფუძველი) და 2:0 გახადა. ამან ადგილობრივი გულშემატკივრის კიდევ უფრო გაღიზიანება გამოიწვია. ერთ-ერთმა დამსწრემ მეკარე **რაზვან სტანკას** ანთებული პიროტექნიკური საშუალება სნაიპერის სიზუსტით ესროლა და ზურგში გაარტყა. კამერებმა დააფიქსირეს, რომ მეკარემ სერიოზული დამწვრობა მიიღო. იყო რეალური საშიშროება, რომ მოვლენები უკონტროლო ხასიათს მიიღებდა, რის გამოც მსაჯმა მატჩი შეწყვიტა. საბოლოო გადაწყვეტილებას მატჩთან დაკავშირებით რუმინეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტი მიიღებს. სავარაუდოდ "პეტროლულის" სტადიონს ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ელის, ხოლო თავად გუნდს ალბათ ტექნიკურ წაგებას ჩაუთვლიან.

ლევან გიგილაშვილი

სტიაუას ფეხბურთელები ხულიგან გულშემატკივარს მინდორზევე გაუსწორდნენ

ესპანეთი. ლა ლიგა. X ტურის შეჯამება

რა შანსი აქვს ჯონ ტერის, მოიგოს ნობელის პრემია?

მეტი, ვიდრე ლევანტეს – მოიგოს ლა ლიგა

ერთმა ცნობილმა ტოტალიზატორმა, რომელსაც უცნაური ფსონების მიღება ჩვევად აქვს, ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე „ლევანტეს" ჩემპიონობა შეიყვანა სიაში. და აღმოჩნდა, რომ, ტოტალიზატორის აზრით, **ჯონ ტერის** უფრო დიდი შანსი ჰქონია, მოიგოს ნობელის პრემია, ვიდრე „ლევანტეს" - ლა ლიგა. მართლაცდა, ვალენსიურმა კლუბმა შესანიშნავი გამღიზიანებელის როლი შეასრულა და რბოლას (ალბათ, საბოლოოდ) ჩამოსცილდა. რისთვისაც მას ესპანური ფეხბურთის მოყვარულთაგან მადლობა ეკუთვნის. მხოლოდ ათი ტურის მერე მივიღეთ ის რეალობა, რაც უნდა მიგვეღო - მსოფლიო ფეხბურთის ორი გრანდი პირველ-მეორეზეა, ახლა მათი იქიდან ჩამოგდება ძალზე ძნელი იქნება. დავაზუსტებთ, სტარტზე **ჟოზე მოურინიომ ხოსეპ გვარდიოლას** ქულით აჯობა, მაგრამ ეს ქულა ზღვაში წვეთია, ბევრს არაფერს ნიშნავს...

ანდალუსიური შოკი

შეჯამებას ტრადიციულად, ორშაბათის მატჩით დავიწყებთ. ეს იყო ანდალუსიური დერბი „სანჩეს პისხუანზე", სადაც ერთმანეთს აქამდე დაუმარცხებელი „სევილია" და ბოლოადგილოსანი „გრანადა" შეხვდნენ. ასეთ თამაშებში საფეხბურთო ლოგიკა ყოველთვის არ ამართლებს, არც ამჯერად გაამართლა - „სევილიამ" მწარედ ნააგო, ბოლო წუთებზე, არადა, **მანუ დელ მორალის** მიერ გატანილით დაწინაურდა - 1:2.

მსაჯმა ჩასტვინა თუ არა, **ხესუს ნავასმა ფრედერიკ კანუტეს** ჩაუნოდა, ფორვარდმა, რომელიც ამას წინათ **სესკ ფაბრეგასს** რასისტობაში ადანაშაულებდა, დაარტყა, მაგრამ მეკარე **რობერტომ** მოიგერია, დამატებულზე კი დელ მორალმა ივარგა. მთლიანად ამას 38 წამი დასჭირდა, დაახლოებით იმდენი დრო, რაც ამ ეპიზოდის ქაღალდზე გადმოტანას ჩვენთვის. ამის შემდეგ „სევილიას" ვარსკვლავები უმოწყალოდ ანიავებდნენ შანსებს, რაც ბოლოს გუნდს ძალზე ძვირი დაუჯდა. თამაშის დასრულებამდე 10 წუთი რჩებოდა, როცა შვეიცარიელ-ესპანელმა **ალექს ხეიხომ** ბრწყინვალე საჩუქარი მიიღო - **ფრანკო ხარას** დარტყმული მასპინძელთა კარის ხარიხამ აიცილა და პირდაპირ ხეიხოს ნადავლი გახდა, რომელმაც თავით ანგარიში გაათანაბრა. ბოლოს კი **მიკელ რიკომ** საკმაოდ მახვილი კუთხიდან გაუტანა **ხავი ვარასს**.

ლეო vs რონი

ანგარიში **ლეო მესის** სასარგებლოდ შეიცვალა - არგენტინელის ჰეთ თრიკს („მალიორკას" კარში), პორტუგალიელმა **კრიშტიანო რონალდომ** ვერაფერი უპასუხა („რეალ სოსიედადთან" თამაშში). მესიმ სამჯერ დაარტყა კარისკენ, სამივეჯერ ზუსტად და სამივეჯერ გაიტანა (1 პენალტის ნიშნულიდან). მას 2-ჯერ ეუხეშნენ, ერთხელ კი თავად დაარღვია წესი. რონალდომ კარისკენ 5-ჯერ დაარტყა, აქედან 2-ჯერ ზუსტად, ის სამჯერ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში, ერთხელ წააქციეს, თავად კი 3-ჯერ იუხეშა. დღეისთვის მესი იგებს 5:4-ს.

ოქტომბრის სტატისტიკა

–	ლეო	რონი
წუთი	470	446
გოლი	5	3
პენალტი	1	0
საგოლე პასი	1	4
დარტყმა (ზუსტი)	32 (13)	22 (10)
პასი (ზუსტი)	405 (331)	241 (193)
ჯარიმა (მასზე)	16	8
გოლ.კომ (საშუალო)	7,40	6,90

ტურის სტატისტიკა

27 გოლი ტურში (2,7 მატჩში). 7 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 1 ფრით დასრულდა, სტუმრებმა 2 მოიგეს. ტურში მსაჯებმა 48 ყვითელი და 1 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი - ლიონელ მესი (ბარსელონა)

დუბლი - **ადრიან ლოპესი** (ატლეტიკო), **სოფიან ფეგული** (ვალენსია)

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ჟერარდ დეულოფეუ** (ბარსელონა, 17 წლის)

ლეო მესი, ტურის ტრიუმფატორი

ტურის სიმბოლური ნაკრები

GOALCOM 4-4-2

კრისტიან ალვარესი (ესპანიოლი, 1) - დანიელ ალვეში (ბარსელონა, 1), დიეგო მაინსი (გრანადა, 1), სერხიო რამოსი (რეალი, 1), ხორდი ალბა (ვალენსია, 1) - ანხელ დი მარია (რეალი, 2), ეკერ ბანეგა (ვალენსია, 3), რაულ გარსია (ოსასუნა, 2), სოფიან ფეგული (ვალენსია, 1) - ლიონელ მესი (ბარსელონა, 5), მანუ დელ მორალი (სევილია, 1).

ტურის გმირი

გონსალო იგუაინი (რეალი)

მისი ერთადერთი გოლის წყალობით „რეალმა" „ანოეტაზე" დაამარცხა „რეალ სოსიედადი" და პირველ ადგილზე გადავიდა.

მარკოს სენამ (ვილიარეალი) ვერ გაიტანა პენალტი

■ ■ ■

ყველაზე მეტი მაყურებელი: **80 600 - „კამპ ნოუ"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **10 000 - „ელ მადრიგალი"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **31 - სევილია**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **15 - სევილია**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **21 - ბილბაო, რასინგი**

ყველაზე მეტი კუთხური: **9 - რეალ სოსიედადი**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **5 - რასინგი, რეალი**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **68% - ბარსელონა**

ნიკოლოზ ნეფარიძე

ტრავმა

წყალქვეშა ლაზარეთი

გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო, ისეა „ვილიარეალის" საქმე - „ელ სუბმარინო" ერთ დიდ ლაზარეთად იქცა. ტრავმიანობის ეპიდემიის მორიგი მსხვერპლი კოლუმბიელი მცველი **კრისტიან საპატაა**. „რაიო ვალეკანოსთან" 2:0 მოგებული შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ საპატამ მუხლი დაიზიანა, რის გამოც 5 კვირას გამოტოვებს. 25 წლის ფეხბურთელი ამ ზაფხულს გადავიდა „უდინეზედან" „ვილიარეალში" და ეგრევე დაიბევა ძირითადში ადგილი.

თუმცა „წყალქვეშა ნავს" განსაკუთრებით შეტევაში უჭირს - დამტვრეული ჰყავს სამივე ძირითადი ფორვარდი: **ნილმარი, ჯუზეპე როსი** და **მარკო რუბენი**. „ვილიარეალი" „ატლეტიკოს" მიადგა და 23 წლის **ადრიან ლოპესის** 6 მილიონ ევროდ დათმობა შესთავაზა, მაგრამ მადრიდელებისგან უარი მიიღო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

უცხოური ფეხბურთი

● ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ოთხშაბათის მატჩების წინ

ნაპოლი და ლიონი იბრძოლებენ!

იტალიელებს ალიანს არენაზე კაპიტნისა და დაცვის ბურჯის გარეშე გაძლება გაუჭირდებათ

A ჯგუფი

ბაიერნი-ნაპოლი

„ნაპოლისა“ და „ბაიერნის“ ორიკვირისწინანდელი დაპირისპირება „სან პაოლოზე“ 1:1 დასრულდა – რეკორდმაისტერმა იმ მატჩში 1147-ნუთიანი მშრალი სერია კი შეწყვიტა (**ბადშტუბერის** ავტოგოლით), მაგრამ ჯგუფში ლიდერობა შეინარჩუნა. ნეაპოლურ ფრეს „ბაიერნმა“ ჰანოვერში წაგება (1:2) მოაყოლა და ის-ის იყო ყველამ იფიქრა, გერმანულ გრანდს კრიზისი ეწყებაო, რომ **იუპ ჰაინკესის** შეგირდები გამოსწორდნენ: 6:0 გერმანიის თასზე, „ინგოლშტადტთან“ და 4:0 ბუნდესლიგაში „ნიურნბერგთან“. შესაბამისად, საუბრები რეკორდმაისტერის კრიზისის შესახებ მაშინვე მოკვდა.

„ჩვენი მიზანი ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაა. აქედან გამომდინარე, „ნაპოლის“ საკუთარ მოედანზე აუცილებლად უნდა მოვუგოთ,“ - ეს მიუნხენური კლუბის პრეზიდენტ **ული ჰოინესის** სიტყვებია. **ბასტიან შვაინშტაიგერისა** და **დანიელ ვან ბუიტენის** თამაში საეჭვო იყო, მაგრამ ორივე გამოჯანმრთელდა და დღეს მოედანზე გასვლა შეეძლებათ, თუმცა ჰაინკესი ამ ორიდან, სავარაუდოდ, მხოლოდ ძალიან კარგ ფორმაში მყოფ შვაინის ათამაშებს.

„ნაპოლიმ“ გასულ უქმეებზე „კატანიასთან“ 1:2 წააგო და ამ მატჩს **ვალტერ მაძარის** გუნდისთვის მხოლოდ ერთი დადებითი მხარე ჰქონდა: ის ერთადერთი გოლი **ედინსონ კავანიმ** გაიტანა, რაც მისთვის ხუთმატჩიანი უგოლო სერიის შემდეგ პირველი ხეირი გახლდათ. გასვლით შეხვედრებში კი, კავანის ბოლო გოლი სულაც 24 აპრილს (!) ჰქონდა გატანილი. სხვა მხრივ, მაძარის უნიჭო როტაციის გამო ჩვენი იტალიელი კოლეგებისგან კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა. ამ მარცხის შემდეგ, „სკუდეტოს“ მოგების კანდიდატად მიჩნეული „ნაპოლი“ ლიდერ „იუვენტუსს“ უკვე ხუთი ქულით ჩამორჩება. მაძარი დღეს დისკვალიფიცირებულ კაპიტან **პაოლო კანავაროს** ვერ გამოიყენებს.

სავარაუდო შემადგენლობები

ბაიერნი (4-2-3-1): ნოიერი – რაფინია, ჟ. ბოატენგი, ბადშტუბერი, ლამი – ლუის გუსტავო, შვაინშტაიგერი – თ. მიულერი, კროოსი, რიბერი – გომესი.

ნაპოლი (3-4-2-1): დე სანკტისი – კამპანიარო, ფერნანდესი, არონიკა – მაჯო, ინლერი, ჯემაილი, დოსენა – ჰამშიკი, ლავეცი – კავანი.

არბიტრი: ბიორნ კუიპერსი (ჰოლანდია)

ვილიარეალი-მანჩესტერ სიტი

ჯგუფის პარალელურ მატჩში „მანჩესტერ სიტი“ „ვილიარეალს“ სტუმრობს (წინა ტურში ინგლისელებმა ესპანელები 2:1 დაამარცხეს). თუკი მანჩესტერელები მერვედფინალს უმიზნებენ, „ვილიარეალი“ 0 ქულით ბოლო ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ესპანელებმა სამი ქულისთვის ბოლომდე უნდა იბრძოლონ – წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოლო ადგილის დაკავება პრაქტიკულად გარანტირებული ექნებათ. არადა, **რობერტო მანჩინის** გუნდი ძალიან კარგ ფორმაშია: „სიტიმ“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ისტორიულ 6:1-ს „ვულვერჰემპტონთან“ 3:1 მოაყოლა, რაც მეათე მატჩში მეცხრე გამარჯვება გახლდათ. „ვილიარეალის“ წარმატების შანსს მინიმუმამდე ამცირებს ის ფაქტი, რომ **ჯუზეპე როსიმ** სერიოზული ტრავმა მიიღო და რამდენიმეთვიანი იძულებითი პაუზა გამოიწერა.

სავარაუდო შემადგენლობები

ვილიარეალი (4-4-1-1): ლოპესი – გასპარი, გონსალო, მუსაკიო, კატალა – კამუნიასი, ბრუნო, მარჩენა, დე გუზმანი – ბორხა ვალერო – რუბენი.

მანჩესტერ სიტი (4-2-3-1): ჰარტი – რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, კლიში – იაია ტურე, ბერი – ჯონსონი, აგუერო, სილვა – ბალოტელი.

არბიტრი: პედრო პროენსა (პორტუგალია)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბაიერნი	3	2	1	0	5-1	7
2. ნაპოლი	3	1	2	0	4-2	5
3. მანჩესტერ სიტი	3	1	1	1	3-4	4
4. ვილიარეალი	3	0	0	3	1-6	0

B ჯგუფი

ტრაბზონი-ცსკა

პირველი ორი ტურის შემდეგ „ტრაბზონსპორს“ ყველასათვის მოულოდნელად, მერვედფინალისკენ ჰქონდა გეზი აღებული, მაგრამ წინა ტურში თურქები მოსკოვში 0:3 განადგურდნენ და მართალია, ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერაც კარგი აქვთ, მაგრამ ხასიათი კი გვარიანად ნაუხდათ. ტრაბზონში შესანიშნავი საფეხბურთო გარემო იქნება და **ილმაზსა** და კომპანიასაც გულშემატკივრების მხარდაჭერის იმედი აქვთ, რადგან ცსკას დამარცხება ძნელია. გასულ უქმეებზე „ტრაბზონმა“ „გაზიანთეფი“ **ჰალილ ალთინთოფის** გოლით 1:0 დაამარცხა, ცსკა-მ კი ნალჩიკის „სპარტაკი“ 4:0 გაანადგურა და რუსეთის ჩემპიონატის ლიდერ „ზენიტს“ ორი ქულით ჩამორჩება.

სავარაუდო შემადგენლობები

ტრაბზონი (4-2-3-1): თოლგა – ჩელუსტკა, კაჩარი, გლოვაცკი, ჩეხი – ბალჩი, ზოკორა – ალთინთოფი, კოლმანი, ალანზინიო – ბ. ილმაზი.

ცსკა (4-4-2): გაბულოვი – ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, ნაბაბკინი – ძაგოევი, ალდონინი, მამაევი, ტოშიჩი – დუმბია, ვაგნერ ლავი.

არბიტრი: ალბერტო უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

ნაპოლიმ და ბაიერნმა წინა ტურში 1:1 ითამაშეს

ინტერი-ლილი

„ინტერმა“ პირველ ტურში, „ტრაბზონთან“ განცდილი მოულოდნელი მარცხის (0:1) შემდეგ, ჩემპიონთა ლიგაში მდგომარეობა ზედიზედ ორი გამარჯვებით (ცსკასთან და „ლილთან“) გამოისწორა, აი, იტალიის ჩემპიონატში კი „ნერაძური“ ძალიან ცუდად გამოიყურება. ამ უქმეებზე **კლაუდიო რანიერის** ბიჭებმა საკუთარ მოედანზე „იუვენტუსთან“ უპრინციპულესი დერბი წააგეს (1:2), რის შემდეგაც „ინტერი“ მე-17 (!) ადგილამდე დაქვეითდა. თუმცა არც საფრანგეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი „ლილი“ გამოიყურება კარგად – ეს მოსაზრება ამ უქმეებზე „ვალანსიენთან“ 0:0-მა გაამყარა. მოკლედ, ჩემპიონთა ლიგა ორივე გუნდისთვის გამოსაფხიზლებელ ტურნირად იქცა. დღეს „ინტერი“ ფავორიტია და ლოგიკურად, უნდა მოიგოს.

სავარაუდო შემადგენლობები

ინტერი (4-3-1-2): კასტელაცი – ხ. ძანეტი, ლუსიო, კივუ, ნაგატომო – სტანკოვიჩი, კამბიასო, ობი – სნეიდერი – პაცინი, სარატე.

ლილი (4-3-3): ლანდრო – დებუში, შედიუ, როზენალი, ბერია – გეიე, მავუბა, პედრეტი – კოული, სოუ, ჰაზარი.

არბიტრი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ინტერი	3	2	0	1	4-3	6
2. ცსკა	3	1	1	1	7-5	4
3. ტრაბზონსპორი	3	1	1	1	2-4	4
4. ლილი	3	0	2	1	3-4	2

C ჯგუფი

მანჩესტერ იუნაიტედი-ოსელული

„ბენფიკასთან“ და „ბაზელთან“ ფრეების შემდეგ, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჩემპიონთა ლიგაში, როგორც იქნა, მოიგო – „ოცელულთან“ გასვლით მატჩში სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭებმა ისევ ვერ იფრინეს, მაგრამ შედეგი კი ისეთი დააფიქსირეს, როგორიც უნდოდათ. წესით, „იუნაიტედს“ არც „ოლდ ტრეფორდზე“ უნდა გაუჭირდეს „ოცელულის“ დამარცხება – მიუხედავად იმისა, რომ ფერგიუსონი კაპიტან **ნემანია ვიდიჩს** ვერ გამოიყენებს. ეს უკანასკნელი ორი კვირის წინანდელ მატჩში გააძევეს და დისკვალიფიცირებულია. ინგლისის ჩემპიონატში, „სიტისთან“ განცდილ ისტორიულ მარცხს (1:6) ევერტონში მოგება (1:0) მოაყოლა და ცოტათი ამოისუნთქა. ვიდიჩთან ერთად, მანკუნიანელებს დღეს **სმოლინგიც** (ტრავმა) დააკლდებათ.

სავარაუდო შემადგენლობები

მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-2): რდე ხეა – ფაბიო, ჯონსონი, ფერდინანდი, ევრა – ვალენსია, ქერიკი, ანდერსონი, ნანი – რუნი, ჩიჩარიტო.

ოცელული (4-5-1): გრაჰოვაცი – რაპა, ლიუბინკოვიჩი, კოსტინი, სარგი – ანტალი, ვილიანტი, იბე, გიურგიუ, ილიე – პენა.

არბიტრი: მარიო შტრაჰონია (ხორვატია)

ბენფიკა-ბაზელი

„იუნაიტედის“ ბედოვლათობის გამო, სამი ტურის შემდეგ C ჯგუფს „ბენფიკა“ ლიდერობს. ლისაბონელებმა წინა ტურში „ბაზელი“ სტუმრად დაამარცხეს (2:0) და ლოგიკურად, მწვრთნელშეცვლილი (**ტორსტენ ფინკმა** „ჰამბურგს“ მიაშურა) „ბაზელი“ ლისაბონშიც უპრობლემოდ უნდა დაამარცხონ. ასეთ შემთხვევაში, „ბენფიკა“ მერვედფინალისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამს.

სავარაუდო შემადგენლობები

ბენფიკა (4-1-4-1): არტური – მაქსი პერეირა, ლუიზაო, გარაი, პეიშოტო – მატჩიჩ – გაიტანი, ვიტესელი, აიმარი, ნოლიტო – კარდოსო.

ბაზელი (4-4-1-1): ზომერი – შტაინჰიოფერი, კოვაჩი, დრაგოვიჩი, იუ-ჰუ – ფ. ფრაი, ჰუგელი, კაბრალი, შაქირი – შიპერფილდი – ზუა.

არბიტრი: კარლოს ველასკო კარბალიო (ესპანეთი)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბენფიკა	3	2	1	0	4-1	7
2. მანჩესტერ იუნ.	3	1	2	0	6-4	5
3. ბაზელი	3	1	1	1	5-6	4
4. ოცელული	3	0	0	3	1-5	0

D ჯგუფი

ლიონი-რეალი

ეს „ლიონისა“ და „რეალის“ საიუბილეო დაპირისპირებაა – ბოლო ექვს წელინადში რიგით მე-10 დუელი. წარსულს ჩაბარდა დრო, როცა „ლიონი“ „სამეფო გუნდისთვის“ ურთულეს მეტოქედ ითვლებოდა: ორი კვირის წინ ფრანგული გრანდი მადრიდში 0:4 განადგურდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ლიონს“ უკვე უჭირს და დღეს ამ გუნდისთვის წაგება არ შეიძლება.

სავარაუდო შემადგენლობები

ლიონი (4-2-3-1): ლორისი – რევეილერი, კრისი, ლოვრენი, დაბო – კალსტრიომი, გონალონსი – ბრიანი, გურკუფი, ლაკასეტე – გომისი.

რეალი (4-2-3-1): კასილიასი – სერხიო რამოსი, ვარანე, პეპე, მარსელო – ხედირა, ჩაბი ალონსო – კ. რონალდო, იოზილი, დი მარია – ბენზემა.

არბიტრი: ნიკოლა რიცოლი (იტალია)

აიაქსი-დინამო (ზ)

მიუხედავად „როდას“ განადგურებისა (4:0), „აიაქსი“ ჰოლანდიის ჩემპიონატში მხოლოდ მეხუთეა, ჩემპიონთა ლიგაში კი „ლიონს“ მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდების გამო უსწრებს. ამსტერდამელებმა ორი კვირის წინ ზაგრებში უპრობლემოდ მოიგეს და „დინამოსთან“ საშინაო მატჩშიც მხოლოდ სამი ქულა სურთ. ხორვატიის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი ლიგაში არა მარტო უქულოდ, არამედ ჯერჯერობით უგოლოდაცაა.

სავარაუდო შემადგენლობები

აიაქსი (3-4-3): ვერმეერი – ალდერვეირელდი, ოოიერი, ვერტონგენი – ანიტა, ენო, ერიკსენი, იანსენი – სულეიმანი, ს. დე იონგი, ბოერიგტერი.

დინამო ზ. (4-4-2): კელავა – ვიდა, შიმუნიჩი, კუფრე, იბანიესი – ლეკო, კოვაჩიჩი, ბადელი, სამირი – ბექირაი, კრსტანოვიჩი.

არბიტრი: მარტინ ატკინსონი (ინგლისი)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	3	3	0	0	8-0	9
2. აიაქსი	3	1	1	1	2-3	4
3. ლიონი	3	1	1	1	2-4	4
4. დინამო (ზ)	3	0	0	3	0-5	0

გოტფრიდ ლენცი

● საუკეთესოები ფეხბურთში

პრეზენდენტთა სიები გაირკვა

ხოსეპ გვარდიოლა

ფიფამ "ოქროს ბურთის" მომავალი მფლობელისა და 2011 წლის საუკეთესო მწვრთნელის პრეტენდენტთა სიები გამოაქვეყნა. ამ ჯილდოებს ასოციაცია გამარჯვებულებს ერთდროულად გადასცემს.

ჯერ მწვრთნელებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ამჟამად ჯილდოს მოგების 10 კანდიდატია. ესენი არიან: **ვისენტე დე ბოსკე** (ესპანეთის ნაკრები), **იოახიმ ლიოვი** (გერმანიის ნაკრები), ოსკარ ტაბარესი (ურუგვაის ნაკრები) სერ **ალექს ფერგიუსონი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **რუდი გარსია** (ლილი), **ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა), **იურგენ კლოპი** (დორტმუნდი), **ჟოზე მოურინიო** (რეალი), **ანდრე ვილაშ-ბოაში** (პორტუ/ჩელსი), **არსენ ვენგერი** (არსენალი). ამ სიიდან 3 საუკეთესოს 5 დეკემბერს პარიზში დაასახელებენ, გამარჯვებულის სახელი კი 2012 წლის 9 იანვარს ციურიხში გაირკვევა. ჟურნალისტები გამარჯვების ყველაზე რეალურ პრეტენდენტად, რა თქმა უნდა, ხოსეპ გვარდიოლას ასახელებენ.

მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ დაასახელა ასევე "ოქროს ბურთის" ნომინანტი 23 ფეხბურთელიც. ისევე როგორც მწვრთნელთა შემთხვევაში, სამი საუკეთესო 5 დეკემბერს გაირკვევა, გამარჯვებულს კი 9 იანვარს დაასახელებენ. გაგაცნობთ მსოფლიო ფეხბურთში ყველაზე პრესტიჟულ საფეხბურთო ჯილდოზე წარდგენილ ფეხბურთელთა სიას: **ერიკ აბიდალი, ქარიმ ბენზემა** (ორივე საფრანგეთი), **სერხიო აგუერო, ლიონელ მესი** (ორივე არგენტინა), **იკერ კასილიასი, სესკ ფაბრეგასი, ანდრეს ინიესტა, ჟერარდ პიკე, დავიდ ვილია, ჩაბი ალონსო, ჩავი** (ყველა ესპანეთი), **კრიშტიანო რონალდო, ნანი** (ორივე პორტუგალია), **დანი ალვეში, ნეიმარი** (ორივე ბრაზილია), **სამუელ ეტოო** (კამერუნი), **დიეგო ფორლანი, ლუის სუარესი** (ორივე ურუგვაი), **თომას მიულერი, მესუთ იოზილი, ბასტიან შვაინშტაიგერი** (ყველა გერმანია), **უეინ რუნი** (ინგლისი), **ვესლი სნეიდერი** (ჰოლანდია).

ლევან ბიბილაშვილი

● ჩემპიონთა ლიგა. IV ტური

F ჯგუფი

ვალენსია–ლევერკუზენი 3:1

ვალენსია (4-4-1-1): დიეგო ალვეში - მიგელი, რამი, რუისი, მატიო - პ. ერნანდესი, მ. თოპალი, ბანეგა (24. ტ. კოსტა), ფეგული (59. პიატი) - ჟონასი (74. ალბა) - სოლდადო.

ლევერკუზენი (4-2-3-1): ლენო - კასტრო, ფრიდრიხი, თოპრაკი, კადლეეი - ბენდერი (79. რაინარტცი), როლფესი - სემი (84. იორგენსენი), ბალაკი, შიურლე - კისლინგი (76. დერდიოკი).

გოლები: 1:0 ჟონასი (1), 1:1 კისლინგი (31), 2:1 სოლდადო (65), 3:1 რამი (75)

გაფრთხილება: კოსტა, მატიო - ბალაკი, თოპრაკი, სემი

კუთხური: 2-7; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 9-5 (5-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

მაყურებელი: 40 000

ბენკი–ჩელსი 1:1

ბენკი (4-1-3-2): კოტელესი - ვენდენ ბორე, ჰილანდი, ნადსონი, ნგკონგკა - ტოცერი - ბუფელი (69. დიუგარი), კამუსი, დე ბრუინი - ვოსენი (86. ბარდა), ნვანგანგა (82. ლიმბომბი).

ჩელსი (4-3-3): ჩეხი - ბოსინგვა, ლუიზი, ივანოვიჩი, კოული - რამირესი (66. ლამპარდი), რომეუ (77. მატა), მეირელეში - მალუდა, ტორესი, ანელკა (66. სტარიჯი).

გოლები: 0:1 რამირესი (26), 1:1 ვოსენი (61)

გაფრთხილება: დე ბრუინი - მირალიაში

კუთხური: 5-5; **ჯარიმა:** 8-8; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11-15 (7-7); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

მაყურებელი: 20 500

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩელსი	4	2	2	0	9-2	8
2. ლევერკუზენი	4	2	0	2	5-6	6
3. ვალენსია	4	1	2	1	5-4	5
4. ბენკი	4	0	2	2	1-8	2

F ჯგუფი

არსენალი–მარსელი 0:0

არსენალი (4-2-3-1): შჩესნი - ჯენკინსონი, მერტეზაკერი, ვერმაელენი, სანტოსი - სონგი, არტეტა - უოლკოტი, რემსი (66. როსიცკი), ჟერვინიო (76. არშავინი) - პარკი (62. ვან პერსი).

მარსელი (4-5-1): მანდანდა - ფანი, დიავარა, ნკულუ, მორელი - ჯ. აიუ (84. ჟინიაკი), ვალბუენა (74. ლუჩო გონსალესი), დიარა, შეირუ, დ. აიუ - რემი (68. ამალფიტანო).

გაფრთხილება: როსიცკი - დიარა

კუთხური: 2-4; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 9-10 (6-1); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

მაყურებელი: 59 000

დორტმუნდი–ოლიმპიაკოსი 1:0

დორტმუნდი (4-5-1): ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - გროსკროიცი, გიოტცე (66. კაგავა), კელი, ლიტნერი (86. სანტანა), პერიშიჩი (75. ბლაშჩიკოვსკი) - ლევანდოვსკი.

ოლიმპიაკოსი (4-2-3-1): მეგიერი - მოდესტო, მელბერგი, პაპადოპულოსი, მარკანო (67. აბდუნი) - ფეისა (59. მაკუნი), ორბაისი - მირალიაში, იბგასა (79. პანტელიჩი), ჰოლებასი - ჯებური.

გოლი: 1:0 გროსკროიცი (7)

გაფრთხილება: პერიშიჩი - მელბერგი, პაპადოპულოსი, ორბაისი

კუთხური: 2-5; **ჯარიმა:** 17-19; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 6-8 (4-2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

მაყურებელი: 65 590

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. არსენალი	4	2	2	0	4-2	8
2. მარსელი	4	2	1	1	4-1	7
3. ბორუსია (დ)	4	1	1	2	3-7	4
4. ოლიმპიაკოსი	4	1	0	3	4-5	3

ბარსელონა ზეიმობს

აპოელ-ი ჯგუფში ისევ პირველია

G ჯგუფი

ზენიტი–შახტარი 1:0

ზენიტი: მალაფეევი – ანიუკოვი, კრიშიტო, ლომბერტსი, გუბოჩანი, შიროკოვი, ზირიანოვი, ფაიზულინი, დენისოვი, დანი (ლაზოვიჩი 85), ბუხაროვი (სემაკი 81)

შახტარი: რიბკა – კუჩერი, შევჩუკი, რაკიცკი, ჰიუბშმანი, ვილიანი, ტეიშეირა (კოსტა 68), სრნა, მხითარიანი, Адриано (სელეზნიოვი 77), ედუარდო

გოლი: 1:0 ლომბერტსი (45),

გაფრთხილება: დენისოვი, ლაზოვიჩი – სრნა, ვილიანი, ადრიანო

კუთხური: 3-5; **ჯარიმა:** 18-24; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 19-5 (9-1); **ბურთის ფლობა:** 52%-48%

მაყურებელი: 21 405

აპოელ–პორტუ 2:1

აპოელ: პარდო – ჟორჟე, ოლივეირა, პურსაიტიდისი, მორაიში, ხარალამბიდესი, მანდუკა (ალექსანდრი 90), პინტუ, სოლომუ, აილტონი (იაჰიჩი 77), ტრიჩოვსკი (სოლარი 85)

პორტუ: ელტონი – პერეირა, ფუსილე, როლანდუ, მანგალა, ბელუჩი (დეფური 76), მოუტინიო, ფერნანდო (გუარინი 60), კლებერი, ჰალკი, ვარელა (როდრიგესი 60)

გოლები: 1:0 აილტონი (42) პენ, 1:1 ჰალკი (89) პენ, 2:1 მანდუკა (90)

გაფრთხილება: პურსაიტიდისი, მანდუკა, ხარალამბიდესი – ვარელა, მანგალა

კუთხური: 3-9; **ჯარიმა:** 10-14; **თამაშგარე:** 10-1; **კარში დარტყმა:** 4-15 (2-6); **ბურთის ფლობა:** 46%-54%

მაყურებელი: 22 300

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. აპოელ	4	2	2	0	6-4	8
2. ზენიტი	4	2	1	1	7-5	7
3. პორტუ	4	1	1	2	5-7	4
4. შახტარი	4	0	2	2	4-6	2

H ჯგუფი

ბაზე–მილანი 1:1

ბაზე: გუტორი – იურევიჩი, რადიკოვი, ბორდაჩევი, სიმიჩი, ბაგა (პავლოვი 76), ლიხტაროვიჩი (ოლეჰნოვიჩი 63), ვოლოდკო, ბრესანი, კონცევოი (გორდეიჩუკი 84), სკავიში

მილანი: აბიატი – ტაივო, ნესტა, სილვა, აბატე, აკვილანი, ნოჩერინო, ამბროზინი, ბოატენგი, იბრაჰიმოვიჩი, რობინიო

გოლები: 0:1 იბრაჰიმოვიჩი (22), 1:1 ბრესანი (55) პენ,

გაფრთხილება: ოლეჰნოვიჩი - ამბროზინი

კუთხური: 4-5; **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 4-6; **კარში დარტყმა:** 14-23 (7-9); **ბურთის ფლობა:** 41%-59%

მაყურებელი: 29 100

პლზენი–ბარსელონა 0:4

პლზენი: პავლიკი – ლიმბერსკი, ჩიშოვსკი, ბისტრონი, პილარუ, ჰორვატი (77. რეზნიკი), პეტრუელა, ირაჩეკი, კოლარუ (67. დურისი), რაიტორალი, ბაკოში (შევინსკი 25)

ბარსელონა: ვალდესი – ალვეში (70. მაქსველი), პიკე, პუიოლი, აბიდალი (73. სანჩესი), ფაბრეგასი, ალკანტარა, ბუსკეტსი (65. კეიტა), ადრიანო, მესი, კუენკა

გოლები: 0:1 მესი (24) პენ, 0:2 მესი (45), 0:3 ფაბრეგასი (72), 0:4 მესი (90)

გაფრთხილება: პილარუ, ლიმბერსკი, პავლიკი, ჰორვატი – ალვეში

გაძევება: ჩიშოვსკი (22)

კუთხური: 2-3; **ჯარიმა:** 15-10; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 3-18 (1-13); **ბურთის ფლობა:** 29%-71%

მაყურებელი: 20 140

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	4	3	1	0	13-2	10
2. მილანი	4	2	2	0	7-3	8
3. ბაზე	4	0	2	2	2-9	2
4. პლზენი	4	0	1	3	1-9	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ალპინიზმი

უშბაზე ნაპრალთა ლაბირინთებით

ის იყო, პატარა უშბა დალაშქრეს და საბაზო ბანაკში აპირებდნენ დაბრუნებას, მაგრამ კარგი ამინდი იყო და „მთის ჯიქმა“ თქვა, მთავარ მწვერვალზე ავიდეთო, სხვებმაც აუბეს მხარი. მეხუთე კატეგორიის სირთულის მარშრუტი აირჩიეს. ძნელად გასავლელი იყო მყინვარი და ნელა მიდიოდნენ. ერთი ღამე ყინულის საუფლოში გაათიეს, მეორეც - უშბის კედელზე. მიზანს მაინც მიაღწიეს - უშბის თავზე ილიაუნის დროშა ააფრიალეს...

სამთო ტურიზმი ქვეყანაში სულ უფრო პრიორიტეტული მიმართულება ხდება, ამიტომაც მის განვითარებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშიც დიდ ყურადღებას აქცევენ. ჯერ კიდევ გაზაფხულზე ჩამოაყალიბეს ალპური კლუბი (დირექტორი **არჩილ ცინცაძე**) და რამდენიმე საინტერესო ღონისძიებაც მოაწყვეს: იყვნენ ჭაუხში საწვრთნელ შეკრებაზე, მაისის ალპინიადისას მყინვარწვერი დალაშქრეს. **ანა დულარიძე** (ალპური კლუბის დირექტორის მოადგილე), **ირაკლი გუჯაბიძე, ილია ბერულავა, არჩილ ბადრიაშვილი** და **ლაშა კვეკვესკირი** უშბაზეც ავიდნენ სახელოვანი მთამსვლელის, ევერესტისა და რვაათასიანი მწვერვალების მრავალგზის დამპყრობის, ორგზის „მთის ჯიქად“ მონათლული **ბიძინა გუჯაბიძის** ხელმძღვანელობით.

- ყოველთვის ვფიქრობდი, სტუდენტებთან ერთად დამელაშქრა მწვერვალები, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხე, - გვითხრა ბიძინა გუჯაბიძემ. - წლეულს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივითა და საქართველოს ალპური კლუბის, საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით დაფუძნდა ეს კლუბი, რომლის წევრებიც აქტიურად ჩაებნენ სპორტულ ღონისძიებებში. ალპური კლუბები სხვაგანაც არსებობს, მაგრამ მათი მიზანია ბუნების წიაღში გასეირნება, რაც სტუდენტებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად აუცილებელია, ილიაუნელთა ალპური კლუბი კი სპორტული მიმართულებისაა. მჯერა, რომ აქ კარგი მთამსვლელები გაიზრდებიან. დასტურად უშბის დალაშქვრაც გამოდგება. ექსპედიციის წევრები არ შეუშინდნენ სიძნელეებს, არადა, ნაპრალთა ლაბირინთებით ვიარეთ მწვერვალამდე, როგორც ეს ევერესტზეა. გლობალურმა დათბობამ უშბის მყინვარსაც დაატყო ხელი. ყინულის ხიდები, რომლებიც ის-ის იყო გავიარეთ, ჩვენ თვალწინ ინგრეოდა, იმავე გზით უკან დაბრუნება საფრთხეს შეგვიქმნიდა, ამიტომ სხვა მარშრუტით დავეშვით საბაზო ბანაკისკენ.

1984 წელს უშბაზე ერთ-ერთი ასვლისას ღამისთევის შემდეგ კარავი და აღჭურვილობა, მახსოვს, უსაფრთხო ადგილას საგულდაგულოდ შევინახე. უკან დაბრუნებისას იქაურობა თოვლით იყო დაფარული, ბევრი ვეძებეთ, მაგრამ კარავს ვერსად მივაგენით. და აი, 27 წლის შემდეგ უშბამ გადამალული აღჭურვილობა - კარავი, რკინის პალოები, კარაბინები - გამომიჩინა.

ილია ბერულავა, სამთო გამყოლი: - უშბაზე მეოთხედ ვიყავი. წინა სამისგან განსხვავებით, ეს ექსპედიცია უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, რადგან სხვა მყინვარი და კლიმატი დაგვხვდა. როგორც ბატონმა ბიძინამ თქვა, გლობალური დათბობის გამო შესამჩნევია მყინვარების დნობა და ნაპრალებად დაჩეხვა, მომატებულია ქვათა ცვენა. გართულებულია კედლამდე მისასვლელი გზა. შესაძლოა, სულ მალე ზოგიერთი მარშრუტით უშბაზე ასვლა შეუძლებელიც გახდეს. ყოველივეს მიუხედავად, ყველა სიძნელე გადავლახეთ და მწვერვალზეც ავედით. ახლა, მთავარია, ახალგაზრდები მოვიზიდოთ, რადგან მთამსვლელობის, როგორც სპორტის სახეობის პოპულარიზაციისა და განვითარების გარდა, ილიაუნის ალპური კლუბი მიზნად ისახავს ალპინიზმისა და სამთო ტურიზმის შესაძლებლობათა ფართო გამოყენებას, ახალგაზრდების ბუნებასთან ზიარებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

ანა დულარიძე: - უშბაზე ასასვლელად რთული მარშრუტი ავირჩიეთ ორი ღამისთევით. პირველი ღამე მყინვარზე გავათიეთ, მეორე - უშუალოდ უშბის კედელზე. ასეთი გზებით უნინ არასდროს მივლია: ეს საკუთარი თავის გამოცდაც იყო და საინტერესოც. წლეულს ილიაუნელებმა მყინვარწვერი და უშბა დავლაშქრეთ, რამაც ჩვენი ალპური კლუბისადმი ინტერესი გაზარდა, ბევრი სტუდენტი შემოგვიერთდა.

ამას წინათ გვენვია სახელოვანი პოლონელი ალპინისტი კრუიშტოფ ვალიცკი, პირველი ადამიანი, რომელმაც ზამთარში შეძლო K2-ის და ევერესტის დალაშქვრა, მსოფლიოს თოთხმეტივე 8-ათასიანი მწვერვალი აქვს დაპყრობილი. საინტერესო ამბები გვიამბო და რჩევებიც მოგვცა. ყაზბეგში ნავიყვანეთ და ალპური კლუბის წევრებთან ერთად გერგეთის სამებაზე ავედით. ძალიან მოეწონა იქაურობა. მომავალ კონტაქტებზე შევთანხმდით და მალე ქართულ-პოლონური ექსპედიციებიც დაიგეგმება.

ვაჟა დანელია

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3
FM 96.3
WWW.RADIOJAKO.GE

ძიუდო

გორში სამეერმისო ჭაბუკები შეკრიბეს

29-30 ოქტომბერს გორში, ანზორ ქიბროწაშვილის სახელობის ტურნირზე მთელი საქართველოს ჭაბუკმა ძიუდოისტებმა მოიყარეს თავი. სახელოვანი ქართველი ფალავნის მემორიალი გორში მისი გარდაცვალების შემდეგ იმართება და ახლა მესამედ ჩატარდა.

ტრადიციულად ქცეულმა შეჯიბრებამ ორგანიზატორების ძალისხმევით უკვე საერთაშორისო სტატუსი შეიძინა. შიდა და ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, აჭარის, სამეგრელოს, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, სვანეთის წარმომადგენლების გარდა, ტურნირში აზერბაიჯანიდან ძიუდოს სამი კლუბის აღზრდილებიც მონაწილეობდნენ.

1996-1998 წწ დაბადებული 400-მდე სპორტსმენები ცხრა წონით კატეგორიაში იბრძოდა წარმატებისთვის გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზის ტატამზე. ტურნირს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომაც, რომ ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელები აუცილებლად გაითვალისწინებენ მის შედეგებს გუნდის დაკომპლექტებისას. შეჯიბრებას ნაკრების ახალდანიშნული თავკაცი **გია თენაძე** და მისი თანაშემწე **გიორგი რევაზიშვილი,** ფედერაციიდან კი **ვლადიმერ ნუცუბიძე** და **სოსო ლიპარტელიანიც** ესწრებოდნენ.

ნაკრების ნევრმა, ამ ასაკში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა საგარეჯოელმა **თამაზ კირაკოზაშვილმა** (60 კგ) გორშიც გამოიჩინა თავი. ამჟამად მან 66 კგ-ში იჭიდავა და მაინც შეძლო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა. კარგად იასპარეზა და პირველობა არავის დაუთმო საქართველოს პირველობის ფინალისტმა ახმეტელმა **ვანო ჩურჩხელაშვილმა** (73). ზოგადადაც აღსანიშნავია ახმეტელი ძიუდოისტების ძალიან კარგი გამოსვლა. მათ ანგარიშზე ოქროს სამი მედალია. ყველასგან მოულოდნელად მხოლოდ მეორე - მესამე ადგილებით დაკმაყოფილდნენ გორელები. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ტატამზე არ გასულან ამ სეზონის ტრიუმფატორი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკებში **ბექა ღვინიაშვილი** (81) და ქვეყნის ჩემპიონი **გიორგი მუზაშვილი** (66). ღვინიაშვილი, ასაკობრივ ნაკრებში თანაგუნდელ მსოფლიოს და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ, თბილისელ **გურამ თუშიშვილთან** ერთად ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში კეიპტაუნს გაემგზავრა მსოფლიოს ჩემპიონატზე საასპარეზოდ. რაც შეეხება აზერბაიჯანელ სტუმრებს, მათ მხოლოდ ერთადერთი საპრიზო ადგილი ერგოთ.

ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული. ეროვნული კატეგორიის არბიტრები სჯიდნენ შეხვედრებს **გივი ზაუტაშვილის** ხელმძღვანელობით და პრეტენზიები ამიტომაც არ ყოფილა.

კვარცხლბეკი

42 კგ: 1. ზაზა ჭიკაძე (ახმეტა), 2. რობიზონ ბეგლარიშვილი (გორი), 3. გიორგი დოღონაძე (ქარელი) და ვახო მეტივიშვილი (ხაშური).

46 კგ: 1. ლევან შონია, 2. გიორგი ხმელიძე (ორივე - ქუთაისი), 3. შოთა ბესიაშვილი (თბილისი) და ავაზ გეიზალოვი (აზერბაიჯანი).

50 კგ: 1. ირაკლი ლიპარტელიანი (თბილისი), 2. ირაკლი კუპატაძე (საგარეჯო), 3. არჩილ ქარელიშვილი (გორი) და ზურაბ ონიანი (თბილისი).

55 კგ: 1. გიორგი კაციაშვილი (კასპი), 2. ბექა ნათთარალიშვილი (თბილისი), 3. ოთარ კაციაშვილი (საგარეჯო) და ლაშა ბუნტური (დედოფლისწყარო).

60 კგ: 1. გიგა გიგაური (თბილისი), 2. გიორგი მეტრეველი (ხაშური), 3. ზვიად ხუბულური (გორი) და ბექა ჩიქავა (ზუგდიდი).

66 კგ: 1. თამაზ კირაკოზაშვილი (საგარეჯო), 2. ბაჩანა ბოლქვაძე (ბათუმი), 3. ჯემალ ბუჩუტელი (თბილისი) და ლევან დარძული (ახმეტა).

73 კგ: 1. ვანო ჩურჩხელაშვილი (ახმეტა), 2. ზაზა მეგრელიშვილი, 3. მიხეილ ბუზალაძე და გიორგი ქანთარია (სამივე - თბილისი).

81 კგ: 1. გიორგი ქურდიანი, 2. სულიკო სეთურიძე (ორივე - თბილისი), 3. ბექა შერაზადაშვილი (ქარელი) და ჯაბა მუმლაძე (ახმეტა).

+81 კგ: 1. დავით რამაზაშვილი (ახმეტა), 2. შაქრო კუხიანიძე (ქუთაისი), 3. გიორგი ძებისაშვილი და გიორგი გველესიანი (ორივე - თბილისი).

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ჭიდაობა

მახაჩყალა მსოფლიოს უმიზნებს

საქართველო - ისევ ქართულ პრობლემებში

დაღესტნურმა მახაჩყალამ საკუთარი კანდიდატურა ჭიდაობაში მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე წარადგინა. ეს მას შემდეგ გადაწყდა, რაც დაღესტნის რესპუბლიკის პრეზიდენტი **მაგომედსალამ მაგომედოვი** ადგილობრივი თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს, ჩვენთვის არცთუ სასიმოვნოდ მოსაგონარ ოლიმპიურ ჩემპიონ **საგიდ მურთაზალიევს** (ალბათ, ყველას კარგად გახსოვთ, 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადაზე მან რამდენად მიუღებელი, ფაქტობრივად, კეტჩის ილეთებით ჩამოიცილა ნახევარფინალიდან **ლუკა კურტანიძე**), რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებს, **გეორგი ბრიუსოვსა** და დაღესტნელ ვიცე-პრეზიდენტ **ომარ მურთუზალიევს** შეხვდა. ამ გადაწყვეტილების შესახებ მედიას ბრიუსოვმა აცნობა, რომელმაც შემდეგიც განაცხადა: *„2011 წელი უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა დაღესტანში ჭიდაობის განვითარებისთვის. მაგომედოვმა პირად კონტროლზე აიყვანა ეს საქმე და უსწრაფესად გადაჭრა ყველა პრობლემა. მურთაზალიევი სამეთვალყურეო საბჭოს ჩაუდგა სათავეში და მათ მურთუზალიევთან (ერთმანეთში არ აგერიოთ ეს ორი გვარი. ავტ.) ერთად მოაგვარეს წარმატებულ სპორტსმენთა - მსოფლიოს და ევროპის მედალოსანთა პრემიებით უზრუნველყოფის პროგრამა“.*

მარტინეტმა დაუბარა...

დაღესტნელებმა ბოლო დროს სპორტში, კერძოდ კი ჭიდაობაში დიდი ნაბიჯები გადადგეს. მახაჩყალასა და ხასავიურტში ორი დიდი ცენტრი ჩამოყალიბდა, რომლებიც არა მხოლოდ ავტონომიაში, მთელი ჩრდილოკავკასიის რეგიონშიც კი ლიდერობისთვის ერთმანეთს ებრძვიან - ორივე მაღალი საპრიზო ფონდით ატარებს ერთმანეთზე უფრო პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირებს. აქედან გამომდინარე, ისეთ სიმაღლესთან შეჭიდება, რაც მსოფლიოს პირველობის მასპინძლობაა, მოსალოდნელიც იყო. ჯერ არაა ცნობილი, ვინ იქნება მათი მეტოქე ამ ბრძოლაში, თუმცა ვინც უნდა იყოს, დაღესტნელების მარცხი ძალიან გვეეჭვება - მათ ხომ ზურგს დიდი ფული, ავტონომიის უმაღლესი ხელისუფლება და რუსეთის ჭიდაობის ფედერაცია ერთობლივად უმაგრებენ. ვთქვათ და ახლა ნააგეს, ეჭვიც ნუ შეგეპარებათ, რომ სამომავლოდ მაინც მიიღებენ ამ ტურნირს.

დაღესტნელებმა თავიანთი სურვილის შესახებ წლეულს მარტში მახაჩყალაშივე გამართულ მსოფლიოს თასზე განაცხადეს - ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ **რაფაელ მარტინეტის** ეს პირადად რესპუბლიკის პრეზიდენტმა მაგომედოვმა განუცხადა. მარტინეტი წინააღმდეგი არ წასულა და უთხრა, რომ ჩემპიონატის სამასპინძლოდ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დარბაზი მართლაც ჰქონდათ - მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ **ალი ალიევის** საჭიდაო არენა, მაგრამ იქვე მიუთითა, რომ თუ მართლა სურთ ამ რანგის შეჯიბრების მასპინძლობა, მაშინ ქალაქში სხვა სახის ინფრასტრუქტურის განვითარებაზეც უნდა იზრუნონ - მოაწესრიგონ გზები, აეროპორტი, იზრუნონ სასტუმროს აშენებაზე... რამდენადაც ჩვენი მოჭიდავეებისგან ვიცი, მახაჩყალაც, ხასავიურტიც და სხვებიც მართლაც ვერ დაიკვეხნიან მსგავსი სიკეთით, ქალაქის ცენტრი თუ კიდევ რაღაცას ჰგავს, ოღნავ მოშორებით და მით უფრო ქალაქგარეთ, კრიტიკული მდგომარეობაა. მარტინეტიმაც ამაზე მიანიშნა დელიკატურად, რამაც შედეგი მყისვე გამოიღო. საერთაშორისო ფედერაციაში (FILA) განაცხადის წარდგენას თან დაერთო ქალაქის განვითარების გეგმა, რომელიც ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს აშენებას, აეროპორტის, საქალაქო გზებისა და ზოგადად, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ითვალისწინებს. არადა, რუსები თავიდან თურმე სოჭის კანდიდატურის წამოყენებას აპირებდნენ, მაგრამ სოჭის ოლიმპიადის ბაზების მშენებლობასთან დაკავშირებული სკანდალის ფონზე დაღესტნელებმა FILA-ს ბევრად უფრო მყარი არგუმენტები წარუდგინეს.

და პარალელები...

მსოფლიოს პირველობის მასპინძლობაზე მათი განაცხადის წარდგენამ ჩვენი ყურადღება იმით არ მიიქცია, არიქა, მახაჩყალა ახლოსაა და ჭიდაობის ქართველი ქომაგები მიაწყდებიან იქაურობასო. რუსეთ-საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ვითარების ფონზე ჩვენთვის იქ ჩასვლა არც ისე იოლია, მაგრამ თუ მაინც მოახერხებს ვინმე, იმასაც მაინც მოსკოვის გავლით მოუწევს ჩასვლა და დაღესტანთან ტერიტორიული სიახლოვე არაფერ შუაშია. მოგეხსენებათ, ჩვენთვის იქ ჩასვლა მხოლოდ საჰაერო გზითაა შესაძლებელი, სტამბოლიდან მახაჩყალისკენ ავიარეისები არ სრულდება, ბაქოდან კი იყო ადრე, მაგრამ ეკონომიკურმა კრიზისმა ესეც შეიწირა და ამ შემოდგომაზე თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენი ნაკრები ხასავიურტში მოსკოვის გავლით გადაფრინდა.

მოკლედ, ამ ფაქტმა ჩვენი დაინტერესება უფრო სხვა გარემოებით გამოიწვია - მსგავს სიმაღლეებზე ჩვენ ჯერ მხოლოდ ვოცნებობთ. მართალია, ვუმასპინძლეთ ევროპის პირველობას ძიუდოსა და სამბოში, 2013 წელს ჭიდაობებშიც ჩავატარებთ, ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობებისთვის გვიმასპინძლია სამბოსა და იმავე „თავისუფალ“-ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში, მაგრამ ეს მაინც არაა ის დონე, რასაც მახაჩყალა უმიზნებს.

>> მე-11 გვერდზე

ქართული სპორტი

● ძალოსნობა

ფიცარნაგზე პირველი დებიუტანტი გავა

შარშან ანტალიაში ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველმა ათლეტებმა 57 ქულა მოაგროვეს და ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის 3 საგზურის მოსაპოვებლად მყარი საფუძველი შეიქმნეს. ნაკრების მთავარი მწვრთნელის - **ვანო გრიქუროვის** ხელმძღვანელობით ჩვენი ბიჭები იანვრიდან მონდომებით ემზადებიან 2011 წლის მსოფლიოს პირველობისთვის, რომელსაც 5 ნოემბრიდან საფრანგეთის დედაქალაქი უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები პარიზში ექვსი სპორტსმენით გაემგზავრება.

ჩვენებურთაგან პირველი გავა ფიცარნაგზე 69 კილოგრამწონით კატეგორიაში ქუთაისელი დებიუტანტი **გიორგი ლომთაძე,** რომელიც 20-წლამდელთა წლევანდელი ევროპის პირველობის ვერცხლის მედალოსანია. იგი საპრიზო ადგილებისთვის 8 ნოემბერს იასპარეზებს.

11 ნოემბერს მოსინჯავს ძალებს 85 კილოში 20 და 23-წლიანებში ევროპის პრიზიორი, პეკინის ოლიმპიადის მონაწილე **რაულ ცირეკიძე** (ქუთაისი).

12 ნოემბერს 105 კილოში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის სამი ვერცხლის მფლობელი **გია მაჭავარიანი** (აჭარა) და ზუგდიდელი დებიუტანტი **დავით გოგია,** რომელმაც წლეულს 23-წლამდელების ევროპაზე ორჭიდში მეორე ადგილი დაიკავა.

13 ნოემბერს პლანეტის უმძიმეს ათლეტებს მეტოქეობას გაუწევენ ატაცში წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი **ირაკლი თურმანიძე** (აჭარა) და 18 წლის საჩხერელი **ლაშა ტალახაძე.** შარშან მან ჭაბუკებსა და წლეულს კი ახალგაზრდებში 3-3 ოქროს მედალი მოიპოვა.

ოთხ ნოემბერს პარიზში ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართება, რომელსაც სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **კახი კახიაშვილი** დაესწრება.

ვაჟა დანელია

« მე-10 გვერდიდან

მათგან განსხვავებით, ჩვენთვის მთავარი პრობლემა თანამედროვე დარბაზის არქონაა - გვინდა თუ არა, მთელ ქვეყანაში თბილისის სპორტის სასახლის მეტი არც ერთი სხვა ბაზა არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. სპორტის სასახლე გარეგნულად ძალიან კარგია, მაგრამ მოძველებული და მოუხერხებელია. თვალსაჩინოებისთვის შეგიძლიათ შეადაროთ ალიევის სახელობის დარბაზს იმავე მახაჩყალაში, რომელიც შარშან ააშენეს მისივე სახელობის ტურნირისთვის, შესასვლელთან კი თავად ალიევის ძეგლი დგას. თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატს თავი დავანებოთ, 2015 წელს თბილისში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის დონესაც არ შეესაბამება არც ერთი ბაზა. არადა, სპორტული ინფრასტრუქტურის აშენებაზე ქვეყანაში რამდენიმე ასეული მილიონი ლარია დახარჯული. საწყენია, რომ მათი მშენებლობის პროცესში არ გაითვალისწინეს მთელი რიგი შედარებით უმნიშვნელო დეტალები, რაც ამ ბაზებს საერთაშორისო სტანდარტების დონემდე მიიყვანდა - ზოგან ტრიბუნები არაა საკმარისი, ზოგან - ჭერის სიმაღლეა პრობლემა, ზოგს სათადარიგო დარბაზი არ გააჩნია. ამ დროს დაღესტანს იმავე ჭიდაობებში, რაც მათთვის პრიორიტეტულია, მსგავსი პრობლემა არ აწუხებს - მახაჩყალაში ალიევის სახელობის 5-ათასიანი დარბაზი, ხასავიურტშიც იმავე ტევადობის გამიდ გამიდოვის დარბაზია (თუმცა ის უფრო ძველია და ალიევისას ჩამორჩება), სხვა დიდ ქალაქებშიც არის ისეთი არენები, სადაც მნიშვნელოვანი ტურნირების ჩატარება შეიძლება, თუმცა არც სხვა სახეობებში განიცდიან ბაზების დეფიციტს, თუმცა ამ მხრივ გამოცოცხლება მთელ რეგიონში შეინიშნება დაძაბული ვითარების მიუხედავად. დაღესტანი ხომ ლამის მუდმივი სამოქალაქო ომის რეჟიმში ცხოვრობს, თუმცა ამ მხრივ ჩეჩნეთში ბევრად რთული ვითარებაა, მაგრამ იქაც კი აიგო უზარმაზარი საჭიდაო კომპლექსი, ხოლო გროზნო, ალბათ, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალსაპრიზოფონდიან ტურნირს ატარებს.

სადღეისოდ იქაურ რესპუბლიკებს მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლობის თვალსაზრისით რაშიც ვჯობნით, ეს საგზაო ინფრასტრუქტურაა, მაგრამ სასტუმროები კი ჯერაც გვრჩება თავსატეხად. ყველას კარგად გვახსოვს თუნდაც იმავე ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობა ჭიდაობაში, როცა უცხოელთა ნაწილი დუშეთში მოათავსეს. თუმცა ასეთ ტურნირებში უფრო დიდ პრობლემას მაღალი კლასის სასტუმროთა დეფიციტი ქმნის - ვიპ-სტუმრებისთვის საგანგებო სერვისია საჭირო, თორემ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს შედარებით დაბალი რანგის ნომრებში კი მოათავსებ როგორმე.

ირაკლი თავაძე

● ჩოგბურთი

ორი მერვედფინალში

სტამბოლში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. 23 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (467) საკვალიფიკაციო ბადეში ჩაება, სადაც მან ჯერ რუსი **ევგენია პაშიკოვა** დაამარცხა - 6:7 (0), 7:5, 6:4, შემდეგ კი უკრაინელ **ანასტასია ვასილიევასთან** წააგო - 2:6, 0:6. ამის მიუხედავად, ქვაცაბაია ძირითად ბადეში მაინც მოხვდა, როგორც „იღბლიანი დამარცხებული". პირველ წრეში ქვაცაბაიამ ხორვატ **ტერეზა მრდეზას** სძლია - 2:6, 6:3, 7:6 (3) და ახლა, მერვედფინალში ბულგარელ **იზაბელა შინიკოვას** შეხვდება. ძირითად ბადეში მეორე ქართველიც თამაშობს, 22 წლის **სოფიო შაფათავამ** (277) პირველ წრეში უკრაინელ **კატერინა კოზლოვას** მოუგო - 7:6 (3), 4:6, 6:3. მერვედფინალში ჩვენებურის მეტოქე მე-4 ნომრად განთესილი სერბი **ალექსანდრა კრუნიჩია** (221). წყვილთა ბადეში შაფათავასა და ქვაცაბაიას დუეტი უკვე მეოთხედფინალშია.

ნიკოლოზ ნეფარიძე



თვალდასადები



კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი

მიხეილ ჭიაურელი

პელე... მე ვარ, ბიჭო, მე!!!

ეს ფილმი საკავშირო ტელევიზიის დაკვეთა იყო. ამდენად, საორგანიზაციო საკითხები სახტელერადიოს უნდა მოეგვარებინა - დაემყარებინა კავშირი ბრაზილიის სატელევიზიო კომპანია „გლობოსთან", მოემზადებინა ვიზები არგენტინასა და ბრაზილიაში გასამგზავრებლად და ა.შ. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. უნდა გავმგზავრებულიყავით 16 თებერვალს, უნდა ჩაგვესწორო ცნობილი კარნავალისთვის რიო-დე-ჟანეიროში, მაგრამ გავემგზავრეთ 23-ში. ჩავფრინდით ბრაზილიაში კარნავალის დამთავრების წინადღეს.

ტელეკომპანია „გლობოს" არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდა ჩვენი ჩასვლის შესახებ. ბუნებრივია, არავინ დაგვხვედრია. იძულებულნი გავხდით, დამოუკიდებლად გვემოქმედა.

პირველი, რაც მოვიფიქრეთ, გავიგეთ სად იყო კარნავალი და გავეშურეთ გადასაღებად. ადვილია თქვა - გავეშურეთ. ძალიან გაგვიძნელდა აპარატურის გადატანა და გადასაღები ჯგუფის გადაადგილება. როგორც იქნა, აღმოვჩნდით სამბადრომის მისადგომებთან.

ბრაზილიელები ძალიან თბილი, სტუმართმოყვარე და მოღიმარი ხალხია. თავს უცხოდ ვერ იგრძნობ. სწორედ ამ ადამიანების დახმარებით მოვხვდით სამბადრომის ტრიბუნებზე, სადაც გადავიღეთ ჩვენი გმირი კარნავალის დროს.

იქაურებს ვუყვებოდით ჩვენს ქვეყანაზე, რომელიც მუხლჩაუხრელად იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის, რაც ძალიან გაუკვირდათ - როგორო, თქვენისთანა ხალხი არაა დამოუკიდებელი და თავისუფალი?! - კინაღამ გადაირივნენ. ამ ამბებზე რომ ელაპარაკობდით, ყველას გვეცინებოდა, ოღონდ ჩვენ... სიმწრით.

მესამე დღეს, მარაკანას სტადიონზე უნდა შემდგარიყო კალენდარული მატჩი ლიდერებს - „ვასკო და გამასა" და „ბოტოფაგოს" შორის. ასეთ მატჩებზე ბილეთის შოვნა „ფანტასტიკის ჟანრს" განეკუთვნება. ჩვენ კი უბილეთოდ აღმოვჩნდით, ცენტრალურ ლოჟაში ვართ უკვე...

ქართველი მაყურებლისთვის უცხო არაა ჩვენი უბადლო მსახიობის, კახი კავსაძის ნატურა. მისი სამსახიობო ოსტატობა. არავის გაუკვირდებოდა, თუ მოვუყვებოდით, რომ კახი კავსაძემ ბაყბაყდევი ჩხუბში „ბოი ბეზ პრავილ" გამოინვია და პირველსავე რაუნდში „ვაი დედა" აძახებინა.

არც ის გაუკვირდებათ, თუ კახიზე უამბობთ, რომ მუშტის ერთი დარტყმით ნაიალაღარი ხარი გააკრა მიწას.

კახიზე არც იმას გაიკვირვებენ, რომ უთენია დგება და ეშმაკს დაეძებს, რათა მოატყუოს, გააბრიყვოს და დააბეჩავოს, მაგრამ რაც მან სტადიონზე მოახერხა და მოიმოქმედა, ვინ, ვინ და არც მე დავიჯერებდი, ჩემი თვალით რომ არ მენახა და ჩემი კამერი არ დამეფიქსირებინა. თუმცა იქ მაშინ კამერით არანაირი კადრის გადაღების უფლება არ ჰქონდა არავის და მათ შორის არც ჩვენ. ეს ისტორიული ამბები მხოლოდ ვიდეოთი დავაფიქსირეთ.

ვიმეორებ, ეს დაუჯერებელი იყო.

კახიმ დაგვიბარა, ახლა მე ვიცი, ყურადღებით იყავით, პელეს თვალი არ მოაცილოთ და მეც იქ მიხილავთო და... გაშპა... გაუჩინარდა.

ცოტა ხანში ტრიბუნებს თითქოს ქარიშხალმა შემოუტიაო - უჩვეულო ჟრიამული ატყდა. ეს იმის საპრელუდიო ხმაურია, რაც ფეხბურთის მეფის გამოჩენას უძღვის წინ. დიახ, მსოფლიო ფეხბურთის მეფე უნდა გამოჩნდეს მოედანზე... მაგრამ ეს რა ხდება?! ხმელ-ხმელი, მაღალ-მაღალი, სანდომიანი შესახედაობის კაცი გამოჩნდა, რომელიც „მწმენდავის" როლშია და მოძალებულ ფოტორეპორტიორებს შესაშური მონდომებით, ჟესტით, მიმიკით და თქვენ წარმოიდგინეთ - მუჯლუგუნებითაც იგერიებს, გზა მიეცით ფეხბურთის მეფეს, ედსონ-არანტეს-დე-ნასიმენტო-პელეს.

ალბათ დაცვაა... სხვა ვინ უნდა იყოს? - იფიქრებთ თქვენ?

- არა, ბატონებო, ნურც ახლა გაგიკვირდებათ... ეს ჩვენი კახი გახლავთ, - კავსაძე! იგივე სწორუპოვარი რაინდი - „დონ-კიხოტი".

თვით პელეც უხერხულად აცეცებს თვალებს. ვერ გაუგია და ვერ აუხსნია, თუ საიდან ჩამოფრინდა ეს სწორუპოვარი რაინდი.

- გზა, გზა! გზა მიეცით მეფეს! - იგერიებს კახი რეპორტიორებს. მერე პელესთან მიდის, ცალ თვალს ჩვენკენ აპარებს და მოულოდნელად გადაეხვევა ფეხბურთის დიდოსტატს.

მაყურებელთა შორის მხოლოდ ჩვენმა გადამღებმა ჯგუფმა იცის ვინაა ის და რას ახერხებს.

თვალნათლივ ჩანს და ვიდეოკამერაც აფიქსირებს პელეს შეცბუნებულ სახეს, მაგრამ კეთილ ღიმილს. რა გასაკვირია, რომ მას კახი გადაეხვია, იგი ხომ მთელ მსოფლიოს უყვარს.

- მე ქართველი ვარ, „ჯორჯია! ჯორჯია!" - უხსნის ჩვენი „დონ-კიხოტი".

იმის დრო არაა, გაგვიკვირდეს, თუ რა ჯოჯოხეთური მანქანებით მოახერხა კახიმ ამდენი.

წამის დაკარგვაც არ შეიძლება.

- მეო - უმტკიცებს კახი პელეს - მამაშენს ასე ვიცნობდიო - ორივე ხელის საჩვენებელ თითებს უხახუნებს ერთმანეთზე.

- საიდან? - მომენტალურად უკვირს დე ნასიმენტოს.

- ვაი შენ რა გითხარი - ღიმილით და აღტაცებით (ნაჩქარევად უხსნის კახი), მამაშენს არაფერი უთქვამს შენთვის ჩემ შესახებ? („შენობიდ" მიმართვა სიახლოვის ხაზგასმაა).

- არა, რაღაც არ მახსენდებაო - პელემ.

- უჰ, შენ რა გითხარიო - უსწრაფესად უხსნის კახი - ბიჭოო (!?). მე ახალგაზრდობაში ბრაზილიაში ვმუშაობდი, ელექტროტექნიკოსი ვიყავი მაშინ და მამაშენთან, იმ ტკბილ და მურაბა კაცთან რამდენი ჭიქა ამიწევია, მიმიჭახუნებია, დამიცლია, იმდენი... შენ რა გითხარი, შენ-ო.

პელე უძახე შენ და ამის გაგონებაზე, მამის გახსენებაზე და კახის სანდომიან, დამაჯერებელ და მომხიბლავ ღიმილზე გული უჩუყდება, თუმცა გამარჯვებული კახი აღარ აცლის...

- ეგ რაა, პატარა რომ იყავი, მოგნათლე, კიდევაც, ნათლია ვარ, ბიჭო (!) შენი მე, ნათლია!

პელეს გადარევა კულმინაციის აღწევს.

- ნათლია? - არ უჯერებს ყურებს (ალბათ ფიქრობს - ამდენ ხანს სად იყავი, შე კაცოო).

კახის გაჩერება მამაღმერთსაც კი აღარ ძალუძს:

- ბავშვობაში მე გავარჯიშებდი ფეხბურთშიო, მეო... მეეე-ო!

ამხელა დამსახურებას რომ კაცს წყალში ჩაუყრი - პელე გქვია მერე შენ?! - ალბათ ეს გაიფიქრა იმ წუთებში მსოფლიო ფეხბურთის დიდოსტატმა და „ნათლიას" გულამოსკვნილი გადაეხვია.

რაც ახლა გიამბეთ, ამის ნაკითხვას თქვენ ალბათ 2 წუთი, ჰა, ჰა - 3 წუთი მოანდომეთ, მაგრამ ყოველივე ეს ალბათ უფრო ნაკლებ დროში მოხდა.

ტყუილი ყოველთვის არაა მავნებელი. უწყინარი ტყუილიც არსებობს და კახიმ ეს ხუთი თითივით იცოდა. კახის „ფანტასტიკიზმზე" (თუ ასეთი სიტყვა არსებობს), ისიც მეტყველებს, რომ ყოველივე ამის შემდეგ ქართული მეცხვარის ნაბადიც შემოახურა „ნათლულს" მხრებზე და ასე დასრულდა ეს ისტორიული ამბავი.

მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია

გასულ საუკუნეში გადიოდა ასეთი დასახელების ფილმი, რომელიც სულ სხვა (საომარ) თემატიკაზე იყო აგებული, მაგრამ სათაური ჩემს თავგადასახდენილ ამბავსაც მიესადაგება.

ცნობილ მთამსვლელს, გია თორთლაძეს (ახლა პარლამენტის მწვერვალზეა) ვახლდი ექსპედიციაში. რა თქმა უნდა, გადასაღებად. ცოტათი უკან დავიხევ და აღვნიშნავ.

გია თორთლაძეს დაუპყრია ევროპის უმაღლესი მწვერვალი - „იალბუზი", ჩრდილოეთ ამერიკის „სახურავი" „მაკკინლი", სამხრეთ ამერიკის უმაღლესი პიკი - „აკონკაგუა" და სხვა... აფრიკის უმაღლეს მწვერვალ „კილიმანჯაროზე" მხოლოდ ლეოპარდს აუღწევია. ისიც არა მთლად წვერზე, რამდენიმე... მეტრის დაშორებით ჩავარდნილა ყინულებში.

გია თორთლაძეს კი ეს არ აკვირვებს. იგი „კილიმანჯაროს" მეგობრობს. „კილიმანჯარო" გიამ „დაიმეგობრა".

...ჰოდა, მეც გადავწყვიტე, გიას ექსპედიციაში გავყოლოდი.

მწვერვალამდე ხომ ტრანსპორტი გვჭირდება. უფრო სწორად, მწვერვალის ძირთან მისასვლელად.

ინგლისური ჯიპით „ლენდროვერით" გავუტიეთ.

ლომები... სწორედ იქ ვნახეთ ცოცხალი ლომების გუნდი, თუ - ოჯახი... რომლებიც ისე გვიყურებდნენ, როგორც ყოველდღიურად თავის მომაბეზრებელ ბუზებს.

სულ ახლოს მივედით ლომების ოჯახთან. აინუნშიაც არ გვაგდებენ...

ის ღამე კარავში გავათიეთ - ლომების გარემოცვაში. მთელი ღამე ლომის ღრიალი არ გვაძინებდა (სავარაუდოდ, კბილი სტკიოდა საწყალს). გამცილებელი ადგილობრივები კი გვიმტკიცებდნენ - ლომები უწყინარი არსებები არიანო, მაგრამ ისე შეგვეშინდა, შავკანიანები რომ ვყოფილიყავით, შიშზე მომენტალურად გავთეთრდებოდით.

ერთ-ერთი გადაადგილების დროს ჩვენს „ლენდროვერს" შემთხვევით გვერდი გაჰკრა უფრო მაგრამა ჯიპმა (სხვა ექსპედიციიდან) და გადავყირავდით. მე მთელი სახე და სხეული შუშის ნამსხვრევებით დამეკანრა. თუმცა რა სახეზეა ლაპარაკი. ფანჯრიდან გადაშვერილი იდაყვი ისე დამემსხვრა, რომ ძვლები გარეთ გამოიჩხლართა.

გონს ძლივს მოსული ბიჭები დატრიალდნენ.

ძნელი გადმოსაცემია (წარმოდგენა უფრო ძნელია) თუ რა განვიცადე.

- არიქა, ჩქარა! - ჩამესმის და გონებას ვკარგავ.

- ჩქარა, სამედიცინო ყუთი! - ყვირის ვიღაც.

- ჩქარა, სპირტი!

- იოდი... ბამბა!.. (ვიძირები რძისფერ ბურუსში).

- როგორ ბრძანდებით?! - არ შეშინდეთ!

ეს გია თორთლაძეა და ცდილობს გამამხნევოს.

მთელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და ვიყვირე:

- რა დროს იოდი და ბამბაა, ჩქარა, ჩქარა კამერა! გადაიღეთ, ეს ყველაფერი გადაიღეთ.

გია თორთლაძეს თვალები გაუფართოვდა:

- ვაიმე... უკვე ბოდავს...

- გადაიღეთ! - ვთქვი და გონება დავკარგე...

...აი, ასეთი ამბავი მე გადამხდა, პარლამენტში კი... გია გაიჩითა!!!

მკითხველი მიხვდება, რომ ეს ბოლო ფრაზა ჩემი პროფესიული ხუმრობაა, „ლელოს" ეს რუბრიკაც ხომ მხიარული მოგონებებისაა.

კეთილი სურვილებით, მიშა ჭიაურელი.

მურმან მერკვილიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ვლადიმერ ბოისასთან

უკმაყოფილო ვარ!

საქართველოსნაკრებში ყველაზე გამოცდილი **ვლადიმერ ბოისაა** (30 წლის), რომელიც ეროვნულ გუნდში 1998 წლიდან თამაშობს. მას საკლუბო კარიერაც მრავალფეროვანი აქვს - სლოვენიის „ოლიმპიასთან" ერთად ევროლიგაზე წარმატებითაც უთამაშია და სლოვენიის ჩემპიონიც არაერთხელ გამხდარა, ხოლო „მონტეპასკის" მაისურით იტალიის ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასიც ალუმართავს.

მიმდინარე სეზონში იგი ჯერაც არსად თამაშობს, ამიტომ გადავწყვიტეთ ბოისასთან დაკავშირება, საკლუბო ამბების გამოკითხვა და სანაკრებო პერიპეტიების გახსენება.

- სლოვენიაში ვარ, ჯერჯერობით „ჰელიოსში" ვვარჯიშობ. თუმცა არ ვთამაშობ, რადგან სხვა ვარიანტს ველი.

- კარიერის „ჰელიოსში" გაგრძელებას გამორიცხავ?

- ამის მცირე შანსი არსებობს, თუმცა „ჰელიოსში" მხოლოდ იმ შემთხვევაში დავრჩები, თუ ისეთ კონტრაქტს გავაფორმებ, რომლის მიხედვით სხვა ვარიანტის გამოჩენის შემთხვევაში „ჰელიოსის" დატოვების უფლება მექნება. თუმცა, არის ერთი ნიუანსიც - მსგავსი ხელშეკრულებებისას ხელფასი გაცილებით დაბალია, ვიდრე სეზონის ბოლომდე გარანტირებული კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში. „ჰელიოსმა" სეზონი ცუდად დაიწყო, უკვე ხუთი მატჩი წააგო და კლუბის ხელმძღვანელობა გაძლიერების მიზნით კალათბურთელს ეძებს.

- „ოლიმპიაში" რა სიტუაციაა?

- შარშანდელთან შედარებით ფინანსურად უარესი მდგომარეობაა, თან გუნდი უკვე შევსებულია და კარიერის „ოლიმპიაში" გაგრძელება გამორიცხულია.

- ევრობასკეტის მერე არაერთი ქართველი კალათბურთელი დარჩა უკლუბოდ. დღეს ნიკა ცქიტიშვილს ველაპარაკე, ისიც მსგავს სიტუაციაშია...

- საკალათბურთო თვალსაზრისით ახალგაზრდა აღარ ვარ. ვფიქრობ, 3-4 წელი კიდევ ვითამაშებ, თუმცა საკითხავია რა დონეზე. ეს მეც ძალიან მაინტერესებს, ამიტომაც მინდა „ჰელიოსზე" ძლიერი გუნდი, რომელშიც სათამაშო დროც მექნება და საკუთარ გამოცდილებას სათანადოდ მოვახმარ. არადა, მეც მეგონა, ევრობასკეტის შემდეგ ქართველ კალათბურთელებს შესაფერისი კლუბების მოძებნა არ გაგვიჭირდებოდა.

- ევროპის ჩემპიონატზე ნაკრების გამოსვლით რამდენად კმაყოფილი ხარ?

- მიღწეულით კმაყოფილი არასოდეს უნდა იყო. მით უმეტეს, რომ ჩვენს ნაკრებს ლიტვაში უკეთესი შედეგის მიღწევა შეეძლო - ფინეთისა და მაკედონიის ძლევა რეალური იყო, მაგრამ არის მიზეზი, რამაც მიზნის მიღწევაში ხელი შეგვიშალა: სასტარტო ხუთეულის ორი კალათბურთელი დაგვემტვრა. მჯერა, ზაზა ფაჩულია და გიორგი ცინცაძე რომ გვყოლოდა, საბერძნეთს თუ არა, ფინეთს მაინც მოვუგებდით. ზაზა წლების განმავლობაში გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა, მასზე კომბინაციათა უმეტესობა აეწყო და ფაჩულიას არყოფნაში თამაშის სწრაფად გადაწყობა ვერ მოხერხდა.

- როგორ გაიხსენებ სლოვენიასთან მატჩს, რომელსაც დიდი ხანი ელოდი...

- ჯერ აღვნიშნავ, რომ საქართველოს ნაკრები ევრობასკეტის დებიუტანტი გახლდათ, მთავარი ამოცანა ჯგუფიდან გასვლა იყო. ამისთვის კი პირველი ნაბიჯი ევრობასკეტის სადებიუტო მატჩის მოგება უნდა ყოფილიყო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად წარიმართა, ბელგია დავამარცხეთ და საბოლოოდ მეორე ეტაპზეც გავედით. საერთოდ, ყველა მატჩში ბოლომდე ვიბრძოლეთ, ნებისმიერ მეტოქეს, მათ შორის ფავორიტებს დიდი თავსატეხი გავუჩინეთ. სლოვენიასთანაც კარგად გავისარჯეთ. ნამდვილად შეგვეძლო გამარჯვება, მაგრამ სლოვენიელებმა სამქულიანები მაინცდამაინც ჩვენთან ისროლეს მაღალი პროცენტული სიზუსტით - 15 ჩააგდეს. არადა, სამიანების რეალიზების საერთო მაჩვენებლით სლოვენიის ნაკრები ევრობასკეტის ერთ-ერთი აუტსაიდერი იყო.

- საქართველოს ნაკრების გამოსვლას სლოვენიელებმა რა შეფასება მისცეს?

- აქაურები ჩვენს გუნდს კარგად იცნობენ, მე, ნიკა ცქიტიშვილს, მანუჩარ მარკოიშვილს, გიორგი შერმადინს, ზაზა ფაჩულიას... ამიტომ, ნამდვილად არ გაჰკვირვებიათ, რომ მათ ნაკრებთან ერთად მეორე ეტაპზე გავედით. ამას თავად სლოვენიელი კალათბურთელებიც ამბობენ. შესაძლოა, საქართველოში გუნდის გამოსვლით ზოგი უკმაყოფილოა, მაგრამ სლოვენიაში ყველა მილოცავს - ევრობასკეტზე კარგად ითამაშეთო.

- ლიტვაში საკუთარი თავისგან ალბათ მეტს ელოდი.

- ასეა. მეტი უნდა გამეკეთებინა, საკუთარი თამაშით კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ. სწორედ ამიტომ მინდა წლეულს რომელიმე კარგ კლუბში სათანადოდ ვითამაშო, რომ მომავალ წელს ნაკრებს მეტად გამოვადგე.

- ბოლოს შენი ძმის, ანატოლის გუნდზე გკითხავ. „არმია" ევროჩელენჯის მატჩებისთვის სლოვენიაში ემზადებოდა. რა შთაბეჭდილება დატოვა საქართველოს ჩემპიონმა?

- „არმია" ლაშკოში ვარჯიშობდა. მისი ამხანაგური მატჩები ვნახე და მომეწონა. ძლიერი შემადგენლობაა შეკრებილი და შეხვედრებიც კარგად ჩაატარა. ევროჩელენჯზე გაცილებით სერიოზული მეტოქეები ეყოლება, გერმანული „გოტინგენი", თურქული „ბეშიქთაში"... ჯგუფიდან გასვლა იოლი არ იქნება, მაგრამ მიმაჩნია, რომ „არმიას" ეს შეუძლია.

ვაჟა სიმონიშვილი

ცვლილება

ეჰ, ბაგატსკისიც წავიდა

გუშინ „სოხუმის" პრესცენტრმა მეტად არასასიამოვნო ინფორმაცია გაავრცელა - გუნდიდან წავიდა ბოლო ორი ლეგიონერი, მთავარი მწვრთნელი **აინარს ბაგატსკისი** და მისი თანაშემწე **არნის ვესვარგასი.** აი, რა წერია გუნდის განცხადებაში:

„საკალათბურთო კლუბ „სოხუმის" ხელმძღვანელობამ გუნდის სამწვრთნელო შტაბში ცვლილებები განახორციელა.



გუნდის პრეზიდენტმა **მინდია გულუამ** და მთავარმა მწვრთნელმა **აინარს ბაგატსკისმა** მიაღწიეს შეთანხმებას, რომ 2011 წლის 2 ნოემბრიდან ბატონი ბაგატსკისი აღარ იმუშავებს გუნდის მთავარ მწვრთნელად. ურთიერთშეთანხმების თანახმად 2 ნოემბრიდან ასევე შეწყვეტს მუშაობას „სოხუმის" ერთ-ერთი ასისტენტი არნის ვესვარგასი.

გუნდის პრესსამსახურის ცნობით, ბაგატსკისს აქვს მოწვევა რამდენიმე უცხოური კლუბიდან და „სოხუმის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, არ შეაფერხოს იგი. თავის მხრივ, მწვრთნელებს არ გააჩნიათ პრეტენზია "სოხუმის" მიმართ და არც „სოხუმს" - მათდამი.

ლატვიელი სპეციალისტი „სოხუმის" მთავარ მწვრთნელად 2011 წლის თებერვლის დასაწყისში დაინიშნა. ბაგატსკისის და მისი ასისტენტის, - **ვაჟა კვარაცხელიას** ხელმძღვანელობით გასულ სეზონში „სოხუმი" პირველად კლუბის არსებობის ისტორიაში სუპერლიგის ნახევარფინალში გავიდა და საბოლოოდ მეოთხე ადგილი დაიკავა.

მიმდინარე სეზონში „სოხუმს" საქართველოს ჩემპიონატში სამივე მატჩი მოგებული აქვს, მაგრამ ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო რაუნდში ბელარუსის ჩემპიონის „მინსკის" დამარცხება ვერ შეძლო და ევროსარბიელს გამოეთიშა.

2 ნოემბრიდან „სოხუმის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია შეასრულებს, რომელიც 1995-2010 წლებში გუნდის უცვლელი ხელმძღვანელი იყო და ქართველი კალათბურთელების მთელი პლეადა აღზარდა, რომლებიც გამოდიოდნენ და ამჟამადაც გამოდიან საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების შემადგენლობაში.

არ არის გამორიცხული, რომ 2012 წლის იანვრიდან გუნდის მთავარ მწვრთნელად სხვა სპეციალისტი დაინიშნოს, ხოლო ვაჟა კვარაცხელია კვლავ მთავარი მწვრთნელის ასისტენტად გადავიდეს."

ვაჟა სიმონიშვილი

ახალი პარტნიორი

არმია ასაფრენ ზოლზე

საკალათბურთო კლუბ "არმიას" პარტნიორობას ავიაკომპანია "აირზენა" გაუწევს. ამასთან დაკავშირებით კლუბის წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია სასტუმრო "ჰოლიდეი ინში" გამართეს, სადაც "არმიის" პრესსპიკერმა **გიო ხუციშვილმა** გუნდის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და კომპანიას თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა. შეხვედრაზე "აირზენას" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა **ნინო გიორგობიანმა** კომპანიის სახელით გუნდს მხარდაჭერა გამოუცხადა და ევროჩელენჯის ტურნირში წარმატებული ასპარეზობა უსურვა.



საკალათბურთო კლუბი "არმია" ევროტურნირისთვის ემზადება, პირველი თამაში 8 ნოემბერს გერმანულ "გოტინგენთან" აქვს. ჯგუფურ ეტაპზე, "გოტინგენის" გარდა, "არმიის" მეტოქეები თურქული "ბეშიქთაში" და ჰოლანდიური "ლეიდენი" იქნებიან.

არმიის პრესსამსახური

● ლეგიონერები

ქართველი ფედერალების საბი ლელო

მოლის ცენტრში შალვა სუთიაშვილი

საფრანგეთის **სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში სამკვირიანი შესვენების შემდეგ მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა გუნდები ორ, A და D ჯგუფში ლიდერობენ. A ჯგუფში სატურნირო ცხრილის პირველი ოთხი საფეხური სულაც ქართველ მორაგბეთა გუნდებისაა.**

აქ ლიდერი **დავით ბოლღაშვილის** „ლილია“, რომელმაც შინ დაამარცხა **ავთანდილ კოპალიანისა** და **შოთა საყვარელიძის** „ორლეანი“ - 22:9. საყვარელიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, კოპალიანი და ბოლღაშვილი განაცხადში არ იყვნენ. „ორლანს“ 6 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილზეა. „ლილი“ კი, როგორც უკვე ვთქვით, ლიდერია და 18 ქულა დააგროვა.

ლილელებს სამი ქულით ჩამორჩება უახლოესი მდევარი, **შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასი“, რომელმაც შინ დაამარცხა „ნევერი“ - 31:22. სუთიაშვილმა სრულად ითამაშა და 55-ე წუთზე ლელო გაიტანა, აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს, კობაურს არ უთამაშია.

ელიზბარ ყუფარაძისა და **დევი დათუნაშვილის** „მონლუსონმა“, რომელიც 14 ქულით მე-3 ადგილზეა, სტუმრად გაანადგურა დებიუტანტი, **რეზო გიგაურის, ნიკოლოზ გიორგაძისა** და **დიმა ხოჭოლავას** „ბულონი“ - 69:9. ყუფარაძემ, რომელიც 78-ე წუთზე შეცვალეს, 55-ე წუთზე ლელო გაიტანა, გიგაურმა სრულად ითამაშა, ხოჭოლავა მატჩში 51-ე წუთიდან ჩაერთო, გიორგაძე და დათუნაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

„მონლუსონს“ ერთი ქულით ჩამორჩება მეოთხეადგილოსანი **გიორგი მჭედლიშვილის** „დიჟონი“, რომელმაც ურთულეს ბრძოლაში შინ დაამარცხა „ბობინი“ - 16:13. მჭედლიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს.

შოთა მელიქიძის „მაკონმა“ სტუმრად მოუგო „სტრასბურს“ 16:13 და 9 ქულით ამჟამად მე-6 ადგილზეა.

A ჯგუფი

ლილი-ორლეანი 22:9, მასი-ნევერი 31:22, დიჟონი-ბობინი 16:13, ბულონი-მონლუსონი 6:69, სტრასბური-მაკონი 6:13.

საბურნირო მდგომარეობა

1. ლილი - 18 ქულა, 2. მასი - 15, 3. მონლუსონი - 14, 4. დიჟონი - 13, 5. ბობინი - 11, 6. მაკონი - 9, 7. სტრასბური - 6, 8. ორლეანი - 6, 9. ნევერი - 5, 10. ბულონი - 0.

B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საუკეთესო შედეგი **გია ლაბაძის, ვახტანგ მაისურაძისა** და **რეზო ბელქანიას** „ლა სეინს“ აქვს. ჩვენებურთა გუნდმა, რომელიც 13 ქულით მე-3 ადგილზეა, შინ დაამარცხა გიორგი კუთარაშვილის „შატორენარი“ - 19:13.

ბელქანია ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს, იმავდროულად თამაშში ჩაერთნენ ლაბაძე და მაისურაძე, კუთარაშვილი კი მოედანზე ექვსი წუთის შემდეგ გამოჩნდა. ის არბიტრმა 66-ე წუთზე გაასინბინა.

ირაკლი მაჩხანელის „სენტ ეტიენმა“ შინ მოუგო **დავით კაჭარავასა** და **ნიკოლოზ მაღალდაძის** „ნიცას“ - 38:16. მაღალდაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 47-ე წუთზე შეცვალეს. მაჩხანელს და კაჭარავას არ უთამაშიათ. „სენტ ეტიენი“ 11 ქულით მე-5 ადგილზეა. „ნიცას“ კი 2 ქულა აქვს და მისთვის უჩვეულო, ბოლო ადგილზეა.

ირაკლი ნინიძის „რომანმა“ ასევე შინ მოუგო **თემურ გელანტიას** „ნიმს“ - 20:16. ნინიძე თამაშში 46-ე წუთზე ჩაერთო და მატჩის არბიტრმა 71-ე წუთზე გაასინბინა, გელანტია ძირითად შემადგენლობაში იყო და 45-ე წუთზე შეცვალეს.

B ჯგუფი

რომანი-ნიმი 20:16, პოკენი-მონტობანი 9:63, სენტ ეტიენი-ნიცა 38:16, ბურგ ან ბრესი-კასტანე 39:19, ლა სეინი-შატორენარი 19:13.

საბურნირო მდგომარეობა

1. ბურგ ან ბრესი - 18 ქულა, 2. მონტობანი - 17, 3. ლა სეინი - 13, 4. კასტანე - 12, 5. სენტ ეტიენი - 11, 6. შატორენარი - 8, 7. რომანი - 4, 8. ნიმი - 3, 9. პოკენი - 3, 10. ნიცა - 2.

C ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ერთი გუნდია და ისიც აუტსაიდერია. **მერაბ კვირიკაშვილის, რობერტ აბესლამიძის, გიორგი ჩხაიძისა** და **დავით ოზგებაშვილის** „სენ ჟუნიენი“ 6 ქულით სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა. ჩვენებურთა გუნდმა მე-4 ტურში შინ წააგო „სენ ნაზერთან“ - 25:32.

ჩხაიძემ 77-ე წუთზე ლელო გაიტანა, კვირიკაშვილმა გუნდს 9 ქულა შესძინა (სამი საჯარიმო). აბესლამიძესა და ოზგებაშვილს არ უთამაშიათ.

C ჯგუფი

სენ ჟუნიენი-სენ ნაზერი 25:32, ვანი-კოლომიე 10:13, სენ მედარი-სენ ჟან დე ლუზი 18:14, აგეტმო-მორლაა 22:23, ლავორი-ლანჟონი 25:23.

საბურნირო მდგომარეობა

1. კოლომიე - 17 ქულა, 2. ლავორი - 12, 3. სენ მედარი - 12, 4. სენ ჟან დე ლუზი - 10, 5. სენ ნაზერი - 10, 6. მორლაა - 8, 7. ლანჟონი - 7, 8. ვანი - 6, 9. აგეტმო - 6, 10. სენ ჟუნიენი - 6.

D ჯგუფშიც ერთი „ქართული გუნდია“, თუმცა „სენ ჟუნიენისგან“ განსხვავებით, **დიმიტრი ბასილაიასა** და **გიორგი ნემსაძის** „ვალანს დაჟენი“ გათამაშების ლიდერია. ვალანსელებმა მე-4 ტურში შინ მოუგეს „ლანამეზანს“ 21:17. ბასილაიამ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნემსაძე თამაშში 47-ე წუთიდან ჩაერთო.

„ვალანს დაჟენი“ 14 ქულით ამჟამად პირველ ადგილზეა, ამდენივე ქულა აქვს „ლურდსაც“.

D ჯგუფი

ბლანიაკი-მოლეონი 22:8, მარმანდი-ტიროსი 15:23, ლურდი-რიბერაკი 29:21, ოლორონი-ლიმოჟი 21:22, ვალანს დაჟენი-ლანამეზანი 21:17.

საბურნირო მდგომარეობა

1. ვალანს დაჟენი- 14 ქულა, 2. ლურდი - 14, 3. ტიროსი - 13, 4. ლომოჟი - 13, 5. ბლანიაკი - 9, 6. ოლორონი - 6, 7. ლანამეზანი - 6, 8. მარმანდი - 5, 9. რიბერაკი - 5, 10. მოლეონი - 5.



მარჯვნივ გიორგი ჩხაიძე

● ევროპის ჩემპიონატი, U-18

საქართველო-ბელგია

გზა ელიტისკენ გაიკაფეს

საქართველო-ბელგია 27:9

საქართველო (15-9) ფრუიძე, ამაშუკელი (გურგენიძე 49), ლაშხია, ჩიხლაძე, მოგელაძე, გოგლიძე, ბროძელი (ნათელაშვილი 59). (1-8) ხარებავა, ფირიაშვილი, ცისკარიშვილი, მაზმიშვილი, მასხარაშვილი (ჯინჭველაშვილი 52), შაშიაშვილი (ამირანაშვილი 47), გასვიანი.

4ლ: თევზაძე (2), ლაშხია, შაშიაშვილი. 2გ,ს: ბროძელი

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მიმდინარე 18-წლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებულ ასპარეზობას განაგრძობს საქართველოს ნაკრები. „პატარა ბორჯღალოსნებმა“ მეორე ტურის მატჩში ბელგიელ თანატოლებს სძლიეს - 27:6 და მომავალ წელს ევროპის ელიტურ, ექვსი ერის ქვეყნებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება ასპარეზობის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდეს.

ქართველმა მორაგბეებმა, ისევე როგორც პირველ შეხვედრაში მასპინძელთა გუნდს, ბელგიელებსაც ყველაფერი აჯობეს. ჩვენებმა მეტოქეს პირველ ტაიმში სამი ლელო გაუტანეს და შეხვედრა 22:6 მოიგეს. მეორე ნახევარში კი მთავარი მიზანი თუნდაც ერთი ლელოს გატანა იყო, რაც სატურნირო ცხრილში დამატებით ერთ პრემიალურ ქულას მოგვიტანდა. ქართველმა ბიჭებმა დასახულ მიზანს მიაღწიეს და გათამაშებას ათი ქულით ლიდერობენ.

ტურნირის მეორე შეხვედრაში მასპინძლებს ყველასათვის მოულოდნელად პორტუგალიის ნაკრებმა დამაჯერებლად 27:3 მოუგო და ჩვენი ნაკრების მსგავსად ელიტაში თამაშის უფლება მოიპოვა.

ბოლო ტურში ქართველი მორაგბეები სწორედ პორტუგალიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილზე გავალთ და მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატის B ჯგუფში ინგლისის, უელსისა და იტალიის ნაკრებებთან ვითამაშებთ. თუ წავაგებთ მაშინ მეორე ადგილს დავჯერდებით და A ჯგუფში ირლანდიის, საფრანგეთისა და შოტლანდიის ნაკრებებთან მოგვიწევს ასპარეზობა.

ევროპის ჩემპიონატი, U-18

II ტური

საქართველო-ბელგია 27:9
პორტუგალია-რუმინეთი 27:3

საბურნირო მდგომარეობა

1. საქართველო - 10 ქულა, 2. პორტუგალია - 8, 3. ბელგია - 1, 4. რუმინეთი - 0.

III ტური

4 ნოემბერი

საქართველო-პორტუგალია
რუმინეთი-ბელგია

ელიტური

A ჯგუფი: ირლანდია, საფრანგეთი, შოტლანდია (II ადგილზე გასული)

B ჯგუფი: ინგლისი, უელსი, იტალია (I ადგილზე გასული).

● მსოფლიოს რაგბის ექო

გრემ ჰენრი ოფიციალურად გადადგა

„მორჩა, ჩემთვის საკმარისია“, - განაცხადა მსოფლიოს თასის გათამაშების ამჟამინდელი გამარჯვებულის, ახალი ზელანდიის მთავარმა მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ**.

უელსურ რაგბიში მოღვაწეობის შემდეგ ჰენრი ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდს 2003 წლიდან ხელმძღვანელობდა. „ოლ ბლექსთან“ ერთად ჰენრიმ ყველაფერი მოიგო, მათ შორის „ვებ ელისის“ თასიც, რომელიც ახალზელანდიელებს ხელში 1987 წლის მერე აღარ სჭერიათ.

„ოლ ბლექსის მწვრთნელობა დიდი პრივილეგიაა, ამაზე საპატიო მისია არა მგონია, ვინმეს ჰქონდეს. ახალი ზელანდიის ნაკრები გამორჩეული გუნდია. ჩემი ხელმძღვანელობით მან 103 შეხვედრა გამართა, ვფიქრობ, რომ საკმარისია.

ვამაყობ იმით, რომ საუკეთესო პიროვნებებთან, მაღალი ინტელექტისა და შინაგანი კულტურის მქონე ადამიანებთან მინევდა მუშაობა და ურთიერთობა. მინდა, სათითაოდ გადავუხადო მადლობა ყველა იმ მოთამაშეს, რომელიც სხვადასხვა დროს ახალი ზელანდიის ნაკრებში თამაშობდა და ამ დიადი გამარჯვებისკენ მიჰყავდა. განსაკუთრებით ხაზი მინდა გავუსვა კაპიტნების - ტანა უმაგასა და რიჩი მაქოას დამსახურებას,“ - თქვა ახალი ზელანდიის ნაკრების ან უკვე ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ.

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა **სტივ ტიუმ**, ცხადია, სათანადოდ დააფასა გრემ ჰენრის ღვაწლი.

„ის „ოლ ბლექსიდან“ მიდის, როგორც რაგბის ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელი. გრემმა ბეჯითად და ნაყოფიერად იმუშავა და ახლა საშუალება ეძლევა, მეტი დრო გაატაროს ოჯახთან, მეგობრებთან და თავისი საყვარელი თევზაობით იჯეროს გული.

ამასთან ერთად, მიხარია, რომ გრემ ჰენრი აპირებს ისევ ახალზელანდიურ რაგბის მოახმაროს თავისი ცოდნა და გამოცდილება“, - თქვა სტივ ტიუმ.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

● ᲙᲠᲘᲕᲘ

სუპერბრძოლა იქნება?

უკრაინელი ვიტალი კლიჩკოსა და ბრიტანელი **დევიდ ჰეის** სუპერბრძოლა, შესაძლოა, მაინც ჩატარდეს. ვებგვერდმა Ringtv.com-მა ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით დაწერა - 31 წლის დევიდ ჰეი, რომელმაც ცოტა ხნის წინ პროფესიული კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა, სერიოზულ მოლაპარაკებებს აწარმოებს სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონის ვიტალი კლიჩკოს გუნდთან. წინასწარი ინფორმაციით ბრძოლა მომავალ წელს, კერძოდ, 3 მარტს გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში უნდა გაიმართოს.

აღსანიშნავია, რომ 17 სექტემბერს აშშ-ში ვიზიტის დროს ჰეი შეხვდა ძმებ კლიჩკოების მრჩეველ **შელი ფინკელს** და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ, შესაძლოა, კიდევ ერთი ბრძოლა გამართოს თებერვალში ან მარტში, თუმცა თავის 31-ე დაბადების დღეზე ბრიტანელმა კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

"დიახ, მე ველაპარაკე შელი ფინკელს, - ამბობდა სექტემბერში ჰეი. - ჯერ ისევ მომწონს ჩემი სპორტული ფორმა და ვფიქრობ, წასვლის წინ კიდევ ჩავატარებ ერთ ბრძოლას. თუ ყველაფერი წესრიგში იქნა, თებერვალში ან მარტში გავალ რინგ ზე".

ლეგენდა გეგმებს არ ცვლის



ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲛᲐ ამერიკელმა მოკრივემ, სუპერმძიმე წონაში ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა, 49 წლის **ევანდერ ჰოლიფილდმა** ინტერვიუ მისცა ფრანგულ გაზეთ "ეკიპს". კრივის ლეგენდა არ ცვლის თავის გეგმებს და სპორტიდან წასვლა აბსოლუტური ჩემპიონის რანგში სურს. ამისთვის ჰოლიფილდი მზად არის სუპერმძიმე კატეგორიის ლიდერებთან გამართოს ბრძოლა.

"ორივე კლიჩკოს დამარცხება შემიძლია. ისინი მხოლოდ საკუთარ ჰონორარებზე ზრუნავენ და არ სურთ საუკეთესო მოკრივეებთან ჩხუბი", - ამბობს ჰოლიფილდი.

ძმებ კლიჩკოების მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** გერმანული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში გამორიცხა ამერიკელ ვეტერანთან შეხვედრის პერსპექტივა: *"ასეთი რამ არასოდეს მოხდება. მსგავსი შეხვედრა დიდ ზიანს მიაყენებს კრივის იმიჯს. რა თქმა უნდა, ევანდერი კრივის ცოცხალი ლეგენდაა, მაგრამ რომელიმე კლიჩკოსთან ბრძოლა სერიოზულ ზიანს მიაყენებს მის ჯანმრთელობას, ამიტომაც ჩვენ ვერ ავიღებთ საკუთარ თავზე ასეთ პასუხისმგებლობას".*

● ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲟᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘᲡ ᲡᲔᲠᲑᲘ ᲒᲐᲜᲔᲠᲗᲘᲜᲘᲡ

ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲘᲡ "ჟალგირისის" ხელმძღვანელობამ ახალ მთავარ მწვრთნელად **ალექსანდრ ტრიფუნოვიჩი** დაასახელა. ხელშეკრულება ამ სეზონის ბოლომდე იქნება ძალაში - წერს ლიტვური გაზეთი Krepsinis.

44 წლის სერბი სპეციალისტი გასულ სეზონში მეორე ლიტვურ გრანდს - "ლეტუვოს რიტასს" ავარჯიშებდა.

შეგახსენებთ, რომ ახალი სეზონის სტარტზე "ჟალგირისის" მთავარი მწვრთნელი იყო ბერძენი **ილიას ცუროსი**, რომელიც არადამაკმაყოფილებელი შედეგებისთვის თანამდებობიდან დაითხოვეს.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲠᲝᲯᲔᲠᲘ ᲛᲘᲥᲡᲑᲖᲔ ᲐᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ მეოთხე ჩოგანმა, შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა განაცხადა, რომ ჯერ გაურკვეველია ოლიმპიადის მიქსტში **მარტინა ჰინგისთან** ერთად გამოსვლის საკითხი.

"ჯერჯერობით ადრეა ამ საკითხთან დაკავშირებითთ გადაწყვეტილების მიღება. ამჟამინდელი მდგომარეობით კმაყოფილები ვართ და არ ვაკეთებთ აქცენტს ოლიმპიადის მიქსტში გამოსვლაზე", - განაცხადა "დიდი სლემის" ტურნირების 16-გზის ჩემპიონმა.

ᲡᲔᲠᲔᲜᲐᲡ ᲑᲝᲚᲘᲨᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **სერენა უილიამსმა** "ტვიტერზე" თავისი ბავშვობის "ცოდვები" გაიხსენა და მათ გამო უფროს დას - **ვენუსს** პატიება სთხოვა.

"ვენუს, გახსოვს ხუთი წლის ასაკში შენი ვარდისფერი ყულაბა გავტეხე უბრალოდ იმიტომ, რომ მანამდე შემთხვევით ჩემი ყულაბა გამიტყდა. ბოდიშს გიხდი ამის გამო.

კიდევ, შვიდი წლის რომ ვიყავი, მამას ჩოგბურთის ბურთი მოვარტყი. ის ჩვენს მხარეს არ იხედებოდა და მე ვუთხარი, რომ შენ იყავი დამნაშავე. მან ამის გამო დაგსაჯა. ამისთვისაც პატიებას გთხოვ", - დაწერა სერენამ.

● ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1. ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲞᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ფეტელი რეკორდებს აგროვებს

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ გრანპრის შემდეგ საენციკლოპედიო ბაზამ - Forix-მა ახალი სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა...

რედ გულისა და ფეტელის რეკორდები

- **სებასტიან ფეტელის** მე-16 პოულმა "რედ ბულს" "მაკლარენის" მიერ 1988 და 1989 წლებში დამყარებული რეკორდის გაუმჯობესების საშუალება მისცა, როცა **აირტონ სენამ** და **ალენ პროსტმა** 15-15 პოულის მოპოვება შეძლეს. "მაკლარენის" მიღწევა 1992 და 1993 წლებში "უილიამსმა" გაიმეორა.

- ინდოეთში სებასტიან ფეტელმა კარიერაში პირველად მოიპოვა "დიდი სლემი" - სტარტი პოულიდან აიღო, სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობდა, საუკეთესო წრე გაიარა და გამარჯვება მოიპოვა. ფეტელი ისტორიაში "დიდი სლემის" ყველაზე ახალგაზრდა მფლობელია - 24 წლის და 119 დღის. მანამდე ეს რეკორდი აირტონ სენას ეკუთვნოდა - ბრაზილიელმა 1985 წელს პორტუგალიის გრანპრიზე "დიდი სლემი" 25 წლისა და 34 დღის ასაკში მოიპოვა.

- ფორმულა 1-ის ისტორიაში "დიდი სლემი" მხოლოდ 24-მა პილოტმა მოიპოვა. მოქმედ მრბოლელებს შორის **მიხაელ შუმახერს** აქვს ხუთი "სლემი" და ერთი - **ფერნანდო ალონსოს**. რეიტინგს სათავეში უდგას **ჯიმ კლარკი** - რვა "დიდი სლემი".

- ფეტელმა დაამხო **ნაიჯელ მენსელის** რეკორდი სეზონში ლიდერის რანგში გატარებული წრეების რაოდენობით. 1992 წელს მენსელი ჯამში 692 წრე ლიდერობდა, ფეტელს კი წელს 711 ასეთი წრე ჰქონდა. თუმცა 1992 წელს სეზონი 16 ეტაპისგან შედგებოდა.

- ინდოეთში ფეტელმა გაიმეორა მიხაელ შუმახერის სარეკორდო მიღწევა - შუმი 2004 წელს 16 ეტაპის დროს იყო ლიდერი.

- წელს ფეტელმა 16-ჯერ აიღო სტარტი პირველი რიგიდან - ეს არის აირტონ სენას (1989), ალენ პროსტისა (1993) და **დეიმონ ჰილის** (1996) რეკორდის გამეორება.

კვალიფიკაცია

- ზედიზედ მეოცე რბოლაა "ფერარის" ორივე პილოტმა პირველი ათეულიდან აიღო სტარტი - ეს ვერც ერთმა მოქმედმა გუნდმა ვერ შეძლო.

- "რედ ბული", "მაკლარენი" და "ფერარი" დომინირებენ კვალიფიკაციის დროს. შარშანდელი სეზონიდან მოყოლებული, მათ დავაში ყველაზე უარესი პოზიცია - მეექვსე ადგილი - **ფელიპე მასას** ეკავა. ბრაზილიელი ცხრაჯერ იყო ამ პოზიციაზე.

რბოლა

- ზედიზედ მეცხრამეტედ "რედ ბულის" პილოტი პოდიუმზე ავიდა, რითაც გუნდი შესაბამის რეიტინგში გაუთანაბრდა "მაკლარენს", რომელიც ამ მაჩვენებლით მესამე ადგილზეა. პირველ ორ ადგილს "ფერარი" იკავებს: 53 პოდიუმი (მალაიზია 99-იაპონია 02) და 22 პოდიუმი (იტალია 03-ავსტრალია 05).

- ამჟამად ფეტელის ანგარიშზე 35 პოდიუმია - ის ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა **ხუან-მანუელ ფანხიოსა** და **ემერსონ ფიტიპალდის**. ეს სამეული მე-20 ადგილს იყოფს.

- **ლუის ჰემილტონმა** შეწყვიტა პოდიუმების სერია ყველა ტრასაზე, რომელზეც ის ფორმულა 1-ში გამოდიოდა. ახლა ამგვარი მიღწევის ავტორები მხოლოდ ფანხიო და **ლუიჯი ფაჯოლი** არიან.

- ზედიზედ მეცხრე რბოლაა ფერნანდო ალონსომ იმაზე მაღალი ადგილი დაიკავა, ვიდრე სასტარტო პოზიცია ჰქონდა. თუმცა ინდოეთში ესპანელმა მესამე პოზიციიდან აიღო სტარტი და ფინიშზეც იმავე ადგილზე აღმოჩნდა.

- ინდოეთში შეწყდა ფელიპე მასას სერია, რომლის დროსაც ის ზედიზედ ათ რბოლაში ხვდებოდა ქულათა ზონაში.

● ᲐᲕᲢᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ᲜᲐᲡᲙᲐᲠᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ

ბრძოლა იძაბება

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ უიკენდზე ფორმულა 1-ის რბოლის პარალელურად, მარტინსვილში ნასკარის სერიის მორიგი ეტაპი გაიმართა.

ამ სერიის ყველაზე პატარა და ყველაზე ძველ ტრეკზე პოულიდან სტარტი საერთო ჩათვლის ლიდერმა **კარლ ედვარდსმა** აიღო.

როგორც წესი, ნასკარის რბოლებში ავარიები ჩვეულებრივი მოვლენაა. პირველად სტიუარდებმა ყვითელი დროშები მერვე წრეზე ააფრიალეს, როცა ერთმანეთს შეეჯახნენ **კურტ ბუში** და **დეილ ერნჰარდტ-უმცროსი**. მათ შორის ავარიის გამო კიდევ რამდენიმე პილოტი დაზარალდა - ჯამში, ამ ინციდენტში რვა ავტომრბოლმა მიიღო მონანილეობა.

ერთ-ერთი დაზარალებული **ბრაიან ვიკერსი** იყო, რომელიც 85-ე წრეზე კიდევ ერთხელ მოხვდა ავარიაში. მან კედელს მიაჯახა **ჯეიმი მაკმიურეი**. ამ ავარიის შემდეგ ვიკერსმა შეძლო რბოლის გაგრძელება, მაკმიურეისთვის კი ეს ეტაპი დასრულებული იყო.

464-ე წრეზე კონტაქტი იყო საერთო ჩათვლის ერთ-ერთი ლიდერის - **მეტ კენსეტისა** და **კაილ ბუშის** მანქანებს შორის. ამ ავარიაში ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი, კოლუმბიელი **ხუან პაბლო მონტოიაც** იქნა ჩათრეული. ინციდენტის ინიციატორები სერიოზულად დაზარალდნენ. კენსეტმა 31-ე ადგილზე დაასრულა რბოლა, ბუშმა - 27-ზე.

რბოლის ბედი კი ფინიშამდე სამი წრით ადრე გაირკვა. მორიგი რესტარტის შემდეგ **ტონი სტიუარტმა** ნასკარის სერიის ხუთგზის ჩემპიონს **ჯიმი ჯონსონს** აჯობა და მარტინსვილის ეტაპის გამარჯვებული გახდა.

ახლა სტიუარტი მეორე ადგილზეა საერთო ჩათვლაში და 19 ქულით ჩამორჩება კარლ ედვარდსს. ნასკარის სერიის დასრულებამდე სამი ეტაპია დარჩენილი.

რბოლის ფინიში

● ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

კანდიდატი ოთხია

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა იმ ქვეყნების სია, რომლებმაც განაცხადი შეიტანეს ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირის (2-8 ივლისი, 2012 წელი) მასპინძლობაზე. ამ 12-გუნდიან შეჯიბრებაში ლონდონის თამაშების სამი დარჩენილი საგზური გათამაშდება.

საერთაშორისო ფედერაცია 10-11 დეკემბერს, მადრიდში FIBA-ის აღმასკომის სხდომაზე აირჩევს საკვალიფიკაციო ტურნირის მასპინძელს. კანდიდატი ოთხი ქვეყანაა: ლიტვა, მაკედონია, ანგოლა და ვენესუელა.

საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ ეტაპზე მონაწილეები ოთხ ჯგუფში (სამ-სამ გუნდი) იქნებიან განაწილებული. წილისყრის ნინ განთესვა გეოგრაფიული პრინციპით მოხდება: 1. რუსეთი, საბერძნეთი, ლიტვა, მაკედონია; 2. პუერტო რიკო, ვენესუელა, დომინიკის რესპუბლიკა, ახალი ზელანდია; 3. ანგოლა, ნიგერია, იორდანია, კორეა.

თითო ჯგუფიდან მეოთხედფინალში ორ-ორი საუკეთესო გუნდი გავა. ნახევარფინალების გამარჯვებულები, აგრეთვე მესამე ადგილისთვის მატჩში საუკეთესო ოლიმპიადის საგზურს მოიპოვებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



ერთი კვირა ყინულზე

ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალი სეზონი საბოლოოდ ჩადგა თავის ჩვეულ კალაპოტში. ის გუნდები, რომლებიც ჩემპიონატის სტარტზე ძალიან კარგად გ[illegible]იყურებოდნენ, მთლად კარგები არ ყოფილან, ერთი შეხედვით უიმედოების ჩამონერა კი ჯერ ნაადრევი ყოფილა.

მაგალითად, აბსოლუტურმა აუტსაიდერმა "კოლამბუსმა" გასულ კვირას თავისი მეორე გამარჯვება მოიპოვა. ამ გუნდს მალე ჩამოაშორებენ მთავარ მწვრთნელ **სკოტ არნიელს**. ცნობილია, რომ "ბლუ ჯეკეტსის" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აწარმოებს **კენ ჰიჩკოკთან**. რაც შეეხება ამ გუნდის კრიზისს, როგორც ჩანს, ბევრს ელოდნენ "ფილადელფიადან" შეძენილ **ჯეფ კარტერისგან**, მაგრამ ამ ფორვარდს ჯერ წესიერად არ უთამაშია - მხოლოდ ხუთ მატჩში მიიღო მონაწილეობა, სულ რაღაც 20 დარტყმა შეასრულა და სამი საგოლე პასი ჩაინერა აქტივში.

■ ■ ■

რთულად აქვს საქმე კარტერის ყოფილ კლუბს - "ფილადელფიას". ამ გუნდმა წინა კვირას საოცარი მატჩი გვაჩუქა - 8:9 "ვინიპეგთან". ფანტასტიკური იყო მატჩის სიუჟეტი - 1:0, 1:5, 2:6, 7:6, 7:8, 8:9. ამდენი გოლი ერთ შეხვედრაში 90-იანი წლების შემდეგ არ გასულა. ხანდახან ასეთი ანგარიშებიც იყო - 10:4, 8:6, 9:1, მაგრამ 17 გოლი არსად გაუტანიათ.

მართალია, "ფილადელფიამ" ფორვარდები ჯეფ კარტერი და **მაიკ რიჩარდსი** გაუშვა, მაგრამ ამ გუნდს არა შეტევაში, არამედ დაცვაში უჭირს. "ფლაიერზი" საშუალოდ მატჩში 3.73 გოლს იტანს (უფრო მეტი მხოლოდ "ვანშინგტონს" აქვს), მაგრამ დაახლოებით ამდენივეს უშვებს. ხოლო მაშინ, როცა **კრის პრონგერი** არ თამაშობს, გაშვებული შაიბების რაოდენობა ყოველგვარ დაშვებულ ლიმიტს აჭარბებს. ასე რომ, საქმე გვაქვს ერთ მოთამაშეზე დამოკიდებულებასთან, ეს კი "მფრინავებს" კარგს არაფერს მოუტანს.

■ ■ ■

"პიტსბურგი" ყველას (პირველ რიგში, „ფილადელფიას") თვალნათლივ დაანახა, როგორ შეიძლება არ იყო დამოკიდებული ერთ მოთამაშეზე. არ აქვს მნიშვნელობა გამოჯანმრთელდა თუ არა **სიდნი კროსბი**, ისევ ტკივა თუ არა მუხლი **ევგენი მალკინს**. ჯერჯერობით, "პინგვინები" მშვიდად ლიდერობენ დივიზიონშიც, კონფერენციაშიც და ლიგაშიც. როცა იქნება, კროსბიც დაბრუნდება და თუ ეს პლეი ოფის მატჩების წინ მოხდება, კიდევ უკეთესი "პიტსბურგისთვის" - კანადური ჰოკეის მთავარი ვარსკვლავი ჯან-ლონით სავსე შეხვდება სეზონის გადამწყვეტ მატჩებს.

■ ■ ■

ყველაზე დიდი უცნაურობა ის არის, რომ სტენლის თასის ამჟამინდელი მფლობელი "ბოსტონი" ბოლო ადგილს იკავებს აღმოსავლეთში - სწორედ ეს არის რეგულარული ჩემპიონატის პირველი სამი კვირის მთავარი სენსაცია. "დათვებს" სტარტზე იოლი კალენდარი არ ჰქონიათ, მაგრამ 10 მატჩში შვიდი წაგება - მეტისმეტია. ბოლო ორი მატჩი "ბოსტონმა" არც ისე ძლიერ "მონრეალთან" წააგო. სხვათა შორის ამ უკანასკნელმა უკვე გაათავისუფლა მწვრთნელი, ოლონდ მეორე (**პერი პირნი**) და მას შემდეგ "კანადიენსს" ქულა არ დაუკარგავს.

■ ■ ■

დასავლეთში სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს "კოლორადო" (ექვსი მოგება შვიდ გასვლით შეხვედრაში) და განსაკუთრებით "დალასი", რომელიც ზაფხულში გაკოტრდა და მისი შემადგენლობაც გაღარიბდა. თუმცა შარშანდელი სეზონის სტარტზეც ეს გუნდები კარგად გამოიყურებოდნენ ("დალასი" ერთი პირობა კონფერენციის ლიდერიც იყო), მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე პლეი ოფში ვერ გავიდა. ასევე ბევრზე არაფერზე ლაპარაკობს "დეტროიტის" დროებითი ჩავარდნა - ლიგის ერთ-ერთი ფავორიტი ჯერჯერობით პლეი ოფის ზონის მიღმა იმყოფება.

კვირის სამი ვარსკვლავი

გასული კვირის პირველი ვარსკვლავი გახდა "მონრეალ კანადიენსის" მეკარე **ჯერი პრაისი**, რომელიც საშუალოდ მატჩში 1.33 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 95.0 პროცენტს იგერიებდა. "ფილადელფიასთან" (5:1) მატჩში მან 20 დარტყმა მოიგერია და კარიერაში მე-100 გამარჯვება მოიპოვა.

კვირის მეორე ვარსკვლავიც მეკარეა - რუსმა **ნიკოლაი ხაბიბულინმა** "ედმონტონს" სამიდან სამი მატჩი მოაგებინა. ვეტერანმა საშუალოდ 1.67 შაიბა გაუშვა და დარტყმების 95.1 პროცენტი მოიგერია.

მესამე ვარსკვლავია "ფილადელფიას ფლაიერზის" ფორვარდი **იარომირ იაგრი**. 39 წლის ჩეხმა გასულ კვირას ხუთი გოლი გაიტანა, სულ კი 11 მატჩში 11 ქულა (5+6) აქვს.

რენჯერსი-სან ხოსე 5:2

2:1, 3:1, 0:0

გოლები: 1:0 მაკდონალი-3 (კელეჰანი-1, ჟირარდი-4), 2:0 სტეპანი-1 (დუბინსკი-4, ჟირარდი-5), 2:1 პაველსკი-8 (დ. მიურეი-3, ჯ. ტორნტონი-6), 2:2 კუტური-4 (პაველსკი-5, ვლასიჩი-2), 3:2 კელეჰანი-4 (კრისტენსენი-1, დუბინსკი-5), 4:2 ანისიმოვი-1 (კრისტენსენი-2, ვოივიტკა-1), 5:2 კელეჰანი-5 (ბ. რიჩარდი-6).

ფლორიდა-ვინიპეგი 3:4 (ბ)

1:2, 0:0, 2:1, 0:0

გოლები: 0:1 უელვუდი-5 (ლედი-1, მ. სტიუარტი-3), 0:2 ე. კეინი-3 (ანტროპოვი-7, ბოგოსიანი-3), 1:2 გარისონი-5 (ბ. კემპბელი-10, ფლიშმანი-5), 2:2 ფლიშმანი-4 (უეისი-6, ვიეერი-4), 3:2 ფლიშმანი-5 (კულიკოვი-7, ბ. კემპბელი-11), 3:3 ე. კეინი-4 (უელვუდი-3, ბოგოსიანი-4).

ბულიტები გაიტანეს: ლედი (ვინიპეგი), უელვუდი (ვინიპეგი).

ჩიკაგო-ნეშვილი 5:4

1:1, 1:2, 2:1, 1:0

გოლები: 0:1 ჰორნკვისტი-3 (ლეგუანდი-8, კლაინი-3), 1:1 პ. კეინი-3 (შარპი-6, მარიან ჰოსა-3), 1:2 კ. სმიტი-4 (ერატი-1, ბერგფორსი-1), 2:2 ლედი-2 (პ. კეინი-7, მარიან ჰოსა-4), 2:3 ჰორნკვისტი-4 (პ. სატერი-4, რინე-1), 3:3 პ. კეინი-4 (მარიან ჰოსა-5, შარპი-7), 4:3 ბიკელი-3 (ფროლიკი-4, სიბრუკი-3), 4:4 ლეგუანდი-3 (ტუტუ-3, ჰილენი-3), 5:4 სტალბერგი-3 (ტეუვზი-3, სიბრუკი-4).

აღმოსავლეთი

	თ	მ	წ	ო	ქ
1. პიტსბურგი*	13	8	3	2	18
2. ტორონტო*	11	7	3	1	15
3. ვაშინგტონი*	9	7	2	0	14
4. ოტავა	12	7	5	0	14
5. ფილადელფია	11	6	4	1	13
6. ფლორიდა	11	6	4	1	13
7. ბაფალო	10	6	4	0	12
8. ტამპა ბეი	11	5	4	2	12
9. რენჯერსი	10	4	3	3	11
10. კაროლინა	11	4	4	3	11
11. მონრეალი	11	4	5	2	10
12. ნიუ ჯერსი	9	4	4	1	9
13. ვინიპეგი	11	4	6	1	9
14. აილენდერსი	9	3	4	2	8
15. ბოსტონი	10	3	7	0	6

დასავლეთი

	თ	მ	წ	ო	ქ
1. ჩიკაგო*	11	7	2	2	16
2. ედმონტონი*	11	7	2	2	16
3. დალასი*	11	8	3	0	16
4. ლოს ანჯელესი	11	6	3	2	14
5. კოლორადო	11	7	4	0	14
6. სან ხოსე	10	6	4	0	12
7. ფინიქსი	10	5	3	2	12
8. ნეშვილი	11	5	4	2	12
9. მინესოტა	10	4	3	3	11
10. ვანკუვერი	11	5	5	1	11
11. ანაჰაიმი	11	5	5	1	11
12. დეტროიტი	9	5	4	0	10
13. სტ. ლუისი	11	5	6	0	10
14. კალგარი	9	4	4	1	9
15. კოლამბუსი	12	2	9	1	5

* - დივიზიონის ლიდერი

ბომბარდირები

გოლი+პასი	
ფილ კესელი (ტორ)	18 (10+8)
ტომაშ ვანეკი (ბაფ)	15 (8+7)
ჯეისონ სპეცა (ოტა)	15 (7+8)
კლოდ ჟირუ (ფილ)	15 (7+8)
ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ)	14 (6+8)
ჯეისონ პომინვილი (ბაფ)	14 (5+9)
ჯო პაველსკი (ს-ხოს)	13 (8+5)
მილან მიხალეკი (ოტა)	13 (7+6)
ჰენრიკ სედინი (ვან)	13 (4+9)
დანიელ სედინი (ვან)	13 (4+9)
ერიკ კარლსონი (ოტა)	13 (1+12)

გოლები	
ფილ კესელი (ტორ)	10
ჯეიმს ნილი (პიტ)	9
ტომაშ ვანეკი (ბაფ)	8
ჯო პაველსკი (ს-ხოს)	8
მილან მიხალეკი (ოტა)	7
კლოდ ჟირუ (ფილ)	7
ჯეისონ სპეცა (ოტა)	7
ჯონ ტავარესი (აილ)	7

პასები	
ერიკ კარლსონი (ოტა)	12
ბრაიან კემპბელი (ფლო)	11
მ-ა. ბერჟერონი (ტ-ბეი)	10
კრის ლეტანგი (პიტ)	10
ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ)	10
ჰენრიკ სედინი (ვან)	9
სერგეი გონჩარი (ოტა)	9
დანიელ სედინი (ვან)	9
კიმო ტიმონენი (ფილ)	9
დიონ ფანოფი (ტორ)	9
ჯეისონ პომინვილი (ბაფ)	9

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ცხელი ხაზი

უნიბერთი

ჩემპიონთა ლიგა

გენკი-ჩელსი	1:1
ვალენსია-ლევერკუზენი	3:1
არსენალი-მარსელი	0:0
დორტმუნდი-ოლიმპიაკოსი	1:0
ზენიტი-შახტარი	1:0
აპოელ-პორტუ	2:1
ბატე-მილანი	1:1
პლზენი-ბარსელონა	0:4

ინგლისი

ჩემპიონშიფი

ბარნლი-ჰალი	2:1
ბარნლი-ლესტერი	1:3
დონკასტერი-მიდლსბრო	1:3
მილუოლი-ქოვენთრი	3:0
ნოტინგემი-რიდინგი	1:0
საუთჰემპტონი-პიტერბრო	2:1
უოტფორდი-ბრაიტონი	1:0
ვესტ ჰემი-ბრისტოლი	0:0
კრ. პალასი-პორტსმუთი	0:0

II ლიგა

ალდერშოტი-ბარტონი	2:0

ინგლისის თასი

ბლიტი-დროილსდენი	2:1
ფლიტვუდი-მენსფილდი	5:0
ლინკოლნი-ალფრეტონი	1:2
ჰინკლი-დარლინგტონი	3:0
გლოუჩესტერი-ჩელმსფორდი	0:1
ლიზერჰედი-სატონი	2:2 ძ.დ.

იტალია

სერია B

პადოვა-ლივორნო	1:0
ალბინოლეფე-ასკოლი	1:0
ემპოლი-ნოჩერინა	2:0
ბრესიტო-ბარი	0:1
გუბიო-ჩიტადელა	1:0
იუვე სტაბია-ვიჩენცა	1:0
მოდენა-სასუოლო	2:5
პესკარა-ვარეზე	3:1
სამპდორია-კროტონე	2:0
ვერონა-ბრეშა	1:0
რეჯინა-ტორინო	0:1

გერმანია

რეგიონალლიგა (სამ)

კარლსრუე A-კასელი	0:1
ფრანკფურტი A-აინტრახტი A	1:2

პორტუგალია

ჟილ ვისენტე-მარიტიმუ	0:0

ირლანდია

პლეი ოფი

მონეგანი-გალვეი	2:0

სლოვაკეთის თასი

ტატრანი-ჟილინა	2:1 პენ. 4:5
ბისტრიცა-ტრნავა	1:1

რუსეთი

II დივიზიონი

შინიკი-დინამო (რა)	5:0

ესტონეთი

ფლორა-ვილანდი	4:0

პოლონეთი

კუბოკი

ამური-დინამო (ბ)	2:6
სიბირი-ტორპედო	3:4 (ბ)

ბოლოდროინდელი

ესპანეთი

ალბა-ვენა	1:3
ვილახი-გრანადი	4:1
ზალაგაზრგი-ზნოიმო	5:3
კლაგენფიურტი-ზაგრები	4:6
ლინცერი-აკრონი	3:2 (ო)

გერმანია

დიუსელდორფი-მანჰაიმი	5:4
აისბარენი-ინგოლშტადტი	3:2 (ო)
აუგსბურგი-ჰანოვერი	4:3
იზერლონი-კრეფელდი	2:3
კიოლნი-მიუნხენი	1:2
შტრაუბინგი-ვოლფსბურგი	4:2

დანია

ჰერნინგი-ფრედრიკშავნი	4:3
ესბერგი-ჰერლევი	5:4 (ო)
ოდენსე-კოპენჰაგენი	5:4
სონდერიისკი-როდოვრე	4:1

ნორვეგია

ლორენსკოგი-ვოლერენგა	2:3

ფინეთი

იოკერიტი-ტპს	6:5
ლუკო-კალპა	2:3
პელიკანსი-კერპეტი	4:1
ჰიფკ-ესეტი	2:5
ჰპკ-ბლუზი	1:3
იუვიასკიულა-ილვესი	4:0

რუსეთი

ტრუნეცი-ბოლესლავი	6:3
კლადნო-ვიტკოვიცე	3:4
სპარტა-ბრნო	3:0

შვეიცარია

ამბრი პიოტა-ბერნი	0:4
ბილი-ცუგი	2:4
კლოტენი-ფრიბურგი	1:3
ლუგანო-რაპერსვილი	7:2
სერვეტი-დავოსი	4:0
ციურიხი-ლანგნაუ	4:2

შვედეთი

ბრინასი-ვაძსიო	5:2
მოდო-ტიმრა	4:2
ფერიესტადი-ლულეა	2:1
ჰ371-ლინჩოპინგი	4:1
შელეფტეო-აიკ	4:3
იურგორდენი-ფრიოლუნდა	2:3

ჩიგბურთი

ATP. ბაზელი

ბლეიკი-ფიში	6:1, 6:0
იუჟნი-ლამერი	4:6, 3:6
დოდიგი-ვავრინკა	4:6, 4:6
ბელუჩი-ნიემინენი	7:6, 4:6, 3:6
სეპი-მიულერი	7:6, 6:7, 6:2
ჯოკოვიჩი-მალისე	6:2, 4:6, 7:5
ლოდრა-ლუბიჩიჩი	5:7, 4:6

ATP. ვალენსია

ანდერსონი-კლიჟანი	6:1, 6:4
მარტი-ცონგა	6:4, 5:7, 2:6
კუერი-გულბისი	6:3, 6:4
ფერერი-ვერდასკო	6:3, 6:2
დოლგოპოლოვი-გრანოლერსი	3:6, 4:6
ფერერო-კუნიცინი	6:4, 7:6
მონფილსი-მონტანიესი	6:3, 6:1

● TV პროგრამა

2 ნოემბერი. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
11:00 ინგლისის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. მაინცი-ვერდერი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. X ტური. კატანია-ნაპოლი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტური. ლიონი-სენტ ეტიენი.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. ევერტონი-მანჩესტერ იუნაიტედი.
21:00 იტალიის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XI ტური. სოსიედადი-რეალი.
00:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-კიევი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ჩიკაგო-ატლანტა.
14:35 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
15:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ატლეტიკო რაფაელა.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი.
18:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სარაგოსა.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
22:30 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ჩიკაგო-ატლანტა.

GMG-სპორტი 2

10:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
10:25 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ვულვერჰემპტონი.
15:00 სპორტ-NEWS.
15:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი.
18:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერაკლესი-ალკმაარი.
20:00 ცურვა. მსოფლიოს თასი. ბერლინი. გერმანია.
22:00 საჩოგბურთი პროგრამა - მატჩპოინტი.
22:45 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი.

I არხი

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლიონი-რეალი (LIVE).

რუსთავი 2

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური (LIVE).
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.

HTB-კლუბი (ფეხბურთი)

23:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბაიერნი-ნაპოლი (LIVE).

HTB-კლუბი (სპორტი)

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ინტერი-ლილი (LIVE).

HTB-კლუბი (ონლაინი)

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ON-LINE-ტრანსლიაცია. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტი (LIVE).

HTB-კლუბი (ჩვენი ფეხბურთი)

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ვილიარეალი-მანჩესტერ სიტი (LIVE).

HTB-კლუბი (ჩოგბურთი)

21:00 ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).

HTB-კლუბი (კალათბურთი)

16:55 ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ქალები. უგმკ-ვიში (LIVE).
23:40 ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ზაგრები-ცსკა (LIVE).

SPORT+

16:55 კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. უგმკ-ვიში (LIVE).
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ტრაბზონი-ცსკა (LIVE).

ATP-მ ნომინანტები დაასახელა

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ნომინანტთა სია, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ წლის პრესტიჟული პრიზების მიღებაზე.

"სტეფან ედბერგის პრიზი" - სანიმუშო სპორტული ქცევისა და პატიოსანი თამაშისთვის. ეს ჯილდო გადაეცემა მოთამაშეს, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში აჩვენებდა უმაღლეს პროფესიონალიზმსა და თან Fair Play-ის პრინციპებით მოქმედებდა.

ნომინანტები

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი
2. როჯერ ფედერერი
3. რაფაელ ნადალი
4. აიშამ ძიურეში

"წლის პროგრესი". გადაეცემა მოთამაშეს, რომელმაც ყველაზე დიდი პროგრესი განიცადა ATP-ის რეიტინგში და გააუმჯობესა თამაშის დონე.

ნომინანტები

1. ალეძს გოგომოლოვი (166-დან 36-მდე)
2. მარდი ფიში (16/8)
3. კეი ნიშიკორი (98/31)
4. იანკო ტიპსარევიჩი (49/13)

"წლის ახალბედა". პრიზი გადაეცემა ჩოგბურთელს, რომელსაც ყველაზე გრძელი ნახტომი ჰქონდა ATP-ის რეიტინგში.

ნომინანტები

1. მეტიუ ებდენი (196-დან 79-მდე)
2. რაიან ჰარისონი (173/75)
3. მილოშ რაონიჩი (156/28)
4. ბერნარდ ტომიჩი (208/42)

"წლის დაბრუნება". პრიზს გადასცემენ ჩოგბურთელს, რომელმაც მძიმე ტრავმა გადაიტანა და პროფესიულ ტურში უძლიერესებს შორის დაბრუნდა.

ნომინანტები

1. ხუან მარტინ დელ პოტრო (258-დან 15-მდე)
2. ჟილ მიულერი (134/49)
3. ჟილ სიმონი (41/12)
4. დმიტრი ტურსუნოვი (197/39)

გარდა ამისა, დაჯილდოების ცერემონიაზე შემდეგ პრიზებს გადასცემენ: "წლის მოთამაშე" (ჩოგბურთელი, რომელმაც წელი პირველი ჩოგანის რანგში დაასრულა); "წლის საუკეთესო წყვილი" (გადაეცემათ წლის შედეგების მიხედვით წყვილთა რეიტინგის ლიდერებს); "წლის საუკეთესო ჩოგბურთელი გულშემატკივართა ვერსიით" (სპეციალური გამოკითხვა ტარდება ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე); "წლის ტურნირი"; "არტურ ეშის პრიზი" (საქველმოქმედო ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა); "რონ ბუკმანის პრიზი" (გადაეცემა ჩოგბურთის თემაზე მომუშავე საუკეთესო ჟურნალისტს").

ვეტერანებში პირველი მოიაა

პროფესიული საჩოგბურთო ტურნირების პარალელურად, ვეტერანი ჩოგბურთელები სპეციალურად მათთვის შექმნილ სერიაში იღებენ მონაწილეობას. წარსულში ცნობილ მოთამაშეებს საკუთარი რეიტინგიც გააჩნიათ, რომელშიც გასულ კვირას ცვლილება მოხდა - ვეტერანებს შორის ახალი პირველი ნომერი გახდა ესპანელი **კარლოს მოია**. მან ეს სტატუსი ავსტრალიელ **მარკ ფილიპუსისს** ჩამოართვა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც როლან გაროსის ყოფილმა ჩემპიონმა ჩინეთის ქალაქ ჩენგდუში ვეტერანთა სერიის მორიგი ტურნირი მოიგო. ესპანელმა ფინალში მაროკოელი **იუნეს ელ აინაუი** დაამარცხა. ეს უკანასკნელი ტურნირის მთავარი სენსაცია გახდა - ჯგუფში რუს **მარატ საფინსა** და ლეგენდარულ ამერიკელ **პიტ სამპრასს** მოუგო, მაგრამ ფინალში ვერაფერი გააწყო მოიას წინააღმდეგ.

ფინალის პირველი სეტი კარლოსმა იოლად მოიგო - 6:2, სამაგიეროდ, მეორე პარტიაში საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. შემოკლებულ გეიმშიც დაძაბული ბრძოლა იყო და მოიამ 6:6-ზე ზედიზედ ორი ქულის აღებით პარტია და მატჩი თავის სასარგებლოდ დასრულა - 6:2, 7:6.

ჩენგდუს ტურნირამდე მოიამ სან პაულუსა და ნოუკ-ჰაისტში იმარჯვა და ამან ვეტერანთა ტურის საუკეთესო ჩოგბურთელის სახელი მოუტანა.

ასევე გაიმართა მესამე ადგილისთვის მატჩი პიტ სამპრასსა და შვედ **ტომას ენკვისტს** შორის. ასაკში სოლიდური სხვაობის მიუხედავად, ამერიკელმა 52 წუთში მოუგო სკანდინავიელს - 6:4, 6:4.

ახლა ვეტერანთა ტური ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში გადაინაცვლებს, დასკვნითი ტურნირი კი ლონდონში 30 ნოემბერს დაიწყება.

იქნება მეჩვიდმეტე სლემი?

ამერიკელი საჩოგბურთო ანალიტიკოსი **დუგლას პერი** საკუთარ ბლოგში აფასებს შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** შანსებს "დიდი სლემის" მე-17 ტიტულის მოგებაზე.

"როჯერ ფედერერის კარიერაში რამდენიმე გარდამტეხი მომენტი ყოფილა - დაწყებული 2001 წლის უიმბლდონზე პიტ სამპარსის დამარცხებით და გაგრძელებული 2008 წელს ამავე ტურნირის ფინალში რაფაელ ნადალთან წაგებით. შემდეგ იყო 2010 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ენდი მიურეიზე ტრიუმფი. სინამდვილეში, ისევე როგორც ბევრი სხვა მოთამაშის, როჯერის კარიერაც აღზევებისა და დაცემის პერიოდებისგან შედგება. მაგრამ სხვა ბევრისგან განსხვავებით, შვეიცარიელს არ ჰქონია აშკარა ჩავარდნა (მაგალითად, ფედერერს არასოდეს წაუგია უიმბლდონის მეორე წრეში ყორუ ბასტლის დონის ჩოგბურთელთან და არ ჩავარდნილა ფსიქოლოგიურ ორმოში ისე, როგორც ეს ანდრე აგასის ემართებოდა).

შესაძლოა, როჯერისთვის დასასრულის დასაწყისი იყოს 2011 წელს ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩთან წაგება. ფედერერი სეტებში 2:0-ს იგებდა, საკუთარ მოწოდებაზე ორი მატჩბოლი ჰქონდა - და საბოლოოდ, 30 წლის ლეგენდა თავჩაქინდრული მივიდა ბადესთან და სახეგაბადრულ ჯოკოვიჩს ხელი ჩამოართვა. ბედის ასეთი დარტყმა რთული გადასატანია თუნდაც მორალურად ისეთი განონასწორებული სპორტსმენისთვის, როგორიც შვეიცარიელი გახლავთ.

მაშ ასე, რისი იმედი უნდა ჰქონდეთ მომავალში როჯერ ფედერერის ფანებს?

2010 წელს ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ ფედერერი იმედიანად იყურებოდა წინ და "დიდი სლემის" ტიტულების რაოდენობის ოცამდე აყვანას აპირებდა. დღეს ამის წარმოდგენა ძნელად თუ შეიძლება. საკითხს ასე თუ დავსვამთ: შეძლებს თუ არა „დიდი სლემის" რიგით მე-17 ტიტულის მოგებას?

ვფიქრობ, ეს შესაძლებელია. ბოლოს და ბოლოს, ფედერერმა წელს ორჯერ ითამაშა ნახევარფინალში და ერთხელ ფინალშიც გავიდა. მთავარი პრობლემა იმაშია, რომ ეს შედეგები არ არის გამორჩეული. ნებისმიერი საშუალო დონის მოთამაშისთვის „დიდი სლემის" ტურნირის ნახევარფინალში გასვლა კარიერის მწვერვალი იქნებოდა (გაიხსენეთ რობი ჯინეპრის წარმატება 2005 წელს აშშ-ის ღიაზე ან ამავე ტურნირზე 2002 წელს სიენგ შალკენის გარღვევა). დიადი ჩოგბურთელისთვის კი ეს ჩვეულებრივი საქმეა. აქედან დასკვნა: „დიდი სლემის" ტურნირზე მეორე კვირაში გადასვლა არ ნიშნავს იმას, რომ ასაკოვანი ჩოგბურთელი მზად არის ტიტულის მოსაპოვებლად.

ამის მაგალითიც არსებობს: ჯონ მაკინროის გამოსვლა, რომელიც 30 წლის ასაკში უიმბლდონის ნახევარფინალში გავიდა, 31 წლისამ კი ამავე ეტაპზე ითამაშა აშშ-ის ღია პირველობაზე, მაგრამ ამასთან, მაინც არ განიხილებოდა გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად. დიახ, ის ძველებურად ძლიერი იყო ტურის დანარჩენ მონაწილეთა უმრავლესობაზე, მაგრამ საუკეთესოთა შორის საუკეთესოები უკვე წინ იყვნენ წასული. ასე რომ, 30 წლის ასაკი ერთგვარი რუბიკონია პროფესიონალი მოთამაშისთვის და ეს წესი დღემდე მოქმედებს.

ერთ-ერთმა უკანასკნელმა ეს სქემა ანდრე აგასიმ დაარღვია, რომელმაც ორჯერ გაიმარჯვა ავსტრალიის ღია პირველობაზე და ერთხელ რომის მასტერსზე მაშინ, როცა 30 წელს იყო გადაცილებული. რა თქმა უნდა, ეჭვი არავის ეპარება აგასის სიდიადეში, მაგრამ მისი გვიანი წარმატებების მიზეზი ფიზიკურ მომზადებაში არ უნდა ვეძებოთ. დიახ, მან ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ მწვერვალზე დაბრუნებულიყო, სწრაფად აუღო ალღო თამაშის ცვლილებას და ფიზიკური კონდიციებიც აკრიფა. მიუხედავად ამისა, ანდრეს ძალიან დაეხმარა ჩოგბურთში თაობათა ცვლა. სამპრასის ეპოქა (რომელსაც ეკუთვნოდა აგასი) დასასრულს მიუახლოვდა, ფედერერის ეპოქა კი ჯერ დაწყებული არ იყო. მხედველობაში მყავს მარსელო რიოსის, ტიმ ჰენმანის, მარკ ფილიპუსისის დონის მოთამაშეები. როგორც წესი, ვარსკვლავების ახალი თაობა ყოველ ხუთ წელინადში ერთხელ ჩნდება, ე. წ. „საშუალედო ეპოქაში" კი ჩნდებიან კარგი, მაგრამ არა დიადი ჩოგბურთელები. სწორედ ამიტომაც, მაშინ აგასისთვის უფრო იოლი იყო მწვერვალზე ასვლა, ვიდრე დღეს ფედერერისთვის.

ფედერერის უკან მყოფმა თაობამ წინ უდიდესი ნაბიჯი გადადგა. შესაძლოა, ეს იყოს ჩოგბურთის ისტორიაში საუკეთესო პლეადა (თუ მიურეი მოიგებს „დიდი სლემის" ტურნირს; თუ დელ პოტრო სტაბილურობას მოიპოვებს; თუ რობინ სიოდერლინგი სერიოზულად გააძლიერებს თამაშს)...

გამოდის, რომ შვეიცარიელს ძალიან გაუჭირდება „დიდი სლემის" მე-17 ტურნირის მოგება. მაგრამ, პრინციპში, ყველაფერი მის ხელშია - ის ხომ მაინც როჯერ ფედერერია. და თუ როჯერი შეძლებს ამის გაკეთებას, მასზე ლეგენდებს შეთხზავენ. ბაბუები შვილიშვილებს მოუყვებიან, როგორ გაიღვიძა ბებერმა ლომმა და ჩასაფრებულ მონადირეს დაანახა, ვინ არის ჯუნგლების ბატონ-პატრონი. ასე იყო 1970 წელს, როცა ჯონი იუნიტასმა სუპერბოულში გაამარჯვებინა თავის გუნდს, როცა 1988 წელს დიადმა ბეისბოლისტმა კირკ გიბსონმა მსოფლიოს სერია მოიგო... ფედერერის დაბრუნება კიდევ უფრო ხმაურიანი იქნება, ვიდრე ამერიკული სპორტის მაგალითები, რადგან შვეიცარიელს არ ექნება პარტნიორების იმედი - მან ყველაფერი მარტომ უნდა გადაწყვიტოს".

ჯოკო: დაუმარცხებელი არ ვარ

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, რომელიც ამ კვირას ექვსკვირიანი შესვენების შემდეგ ბაზელში უბრუნდება პროფესიულ ტურს, მიიჩნევს, რომ აშშ-ის ღიაზე მიღებულმა ტრავმამ მასზე დადებითად იმოქმედა.

„არაჩვეულებრივი მიღწევაა ის, რომ როლან გაროსამდე არც ერთი მატჩი არ მქონდა წაგებული. ამით ძალიან ვამაყობ, მაგრამ ვიცი, რა ძალისხმევად დამიჯდა ეს. ყოველთვის მჯეროდა, რომ საკუთარ თავზე მუშაობის შემთხვევაში შევძლებდი საუკეთესო გავმხდარიყავი და ეს მომენტი დადგა. მიუხედავად ამისა, არ მიმაჩნია საკუთარი თავი დაუმარცხებელ ჩოგბურთელად. ჩემი მოგებათა სერია - ძალების სწორად გადანაწილებისა და საკუთარ თავში დამაჯერებლობის დამსახურებაა", - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

„რა თქმა უნდა, ტრავმა არასოდეს არის სასიამოვნო, მაგრამ ამ დაზიანების წყალობით შევძელი დასვენება და ძალების აღდგენა. ასი პროცენტით მზად არ ვარ და ვერ გპირდებით, რომ ბაზელში ჩემს საუკეთესო თამაშს ვაჩვენებ, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, შევეცდები გამარჯვებას", - ამბობს 24 წლის სერბი ჩოგბურთელი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ნოვაკ ჯოკოვიჩი